

მიწად. მოქმედების კომპლექსის სასოფლო მეურნეობის განყოფილების გამოსცემა.

ლევან ლოინიძე

მეცნიერული

ლექსიკონი

ტფილისი
1925

მეცნიერ-მეცნიერების კომისიის სასოფლო მეურნეობის გან-
ყოფილების გამოსცემა

ლეონ ლომიძე.

მეცნიერული ლექსები.

პოლიგრაფტრესტის 2-ე სტამბა, ლენინის ქუჩა № 3.

შთაფლიტი --816

ჭირაფი --1000

ღრბად პაცოვცეჟულ პათოჯესორს

ივანე ჯავახიშვილს

ამ მცირე შრომას უბღწნის

აჭყალბ.

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

მესაქონლეობის ლექსიკონის შედგენა ნაკარნახევია ასეთი ლექსიკონის უქონლობით და იმავე დროს მის მეტის-მეტ საჭიროებით. იბეჭდება მრავალი წიგნი მესაქონლეობის დარგში, მაგრამ ხმარებული ტერმინები არ არის დამაკმაყოფილებელი, როგორც ხელოვნურად შეთხზული და ან პირდაპირ ნათარგმნი რუსულ ენიდან და სრულიად მოშორებული (უმეტეს შემთხვევაში) მშობლიურ ბუნებას და ნიადაგს. საქმის ასეთი მდგომარეობა უსათოოდ შეიტანს სიმღვრიეს ქართულს ენაში, რაც მიუტყევებელ ცოდვად ჩაეთვლება ჩვენს თაობას. რომ ხელი შეეწყოს ასეთ სიმახინჯის თავიდან მოშორებას, საჭირო არის ხალხში გასვლა და სათანადო მასალების იქ შეგროვება, ვინაიდან „თვით ამ ენაზე მოიპოებიან ჯეროვანნი და უფრო მარჯვე სახელწოდებანი“. ამ დიდ საქმეში მცირე წვლილის შესატანად, მე განვიძრახე საქართველოს ყველა კუთხის მოვლა, რომ მთაში თუ ბარში გაბნეული სიტყვები მესაქონლეობის დარგში შეგვეგროვებინა და შემეკრა ყოველ მესაქონლისთვის მისაღები სიტყვის კონა. რასაკვირველია, მარტო ხალხში შეკრეფილ სიტყვებით ვერ დაკმაყოფილდება თანამედროვე მესაქონლე-მეცნიერი, რადგანაც მრავალ ცნებებს შესატყვისი ტერმინები არ ზოგვეპოება საერთოდ, მაგრამ ის რაც გვაქვს საუკუნოებით ჩამოყალიბებული, მისთვის გვერდის ახვევა ყოველად დაუშვებელი იქნებოდა.

მართალია, დღევანდელ პირობებში მგზავრობა და მით უმე ჯეს მცირე ხანში სალექსიკონო მასალის შეკრება მეტად ძელია, რის გამოც ჩემ მიერ შეკრებილი მასალა მეათედი არ არის ხალხში შენახულ სიტყვებისა, მაგრამ ეს ნაკლი არ მაშინებს, ყინაიდან ჯერ ერთი ეს მცირე შრომა პირველი, მაგრამ აუცილებელი ნაბიჯია,

რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს მესაქონლეობის მომავალ სრულ ლექსიკონს და მეორეც, მასალის სიმცირე თანდათანობით ჩემს ან სხვის მიერ იქნება შევსებული.

გარდა შეკრებისა, საჭირო იყო სიტყვების შემოწმება ძველ თუ ახალ წერითი ძეგლებით, რაც შეძლების დაგვარად შევასრულე. ზოგი სიტყვისთვის მომეყვანა ერთდროულად ძველი და ახალი ძეგლი, რომ ერთის მხრივ დამტკიცებულიყო სიტყვის თანამედროვე არსებობა და მეორეს მხრივ, ნათელ ყოფილიყო მისი დაახლოებითი სიტყველი, ხნოვანება. შემდეგ—ზოგი სიტყვა თუმცა საკუთრივ ჩემ მიერ იყო ნაპოვნი, მაგრამ წიგნში შევიტანე იმ ავტორის სახელით, რომლის ლექსიკონში იგი უკვე შეტანილი აღმოჩნდა. სიტყვების ახსნის დროს უპირატესობას ვაძლევ საბა ორბელიანის კლასიკურ განმარტებებს. არსებულ ლექსიკონებიდან მთლიანად ამოკრიბე მესაქონლეობის დარგის სიტყვები იმ მიზნით, რომ მიზანშეწონილად მიმაჩნია ამ დარგის ცალკე ლექსიკონის არსებობა და მეორეც, საბას, თუ სხვა ლექსიკონებით სარგებლობის საშუალებას ბევრი არის მოკლებული. რაც შეეხება ასეთ ამოკრებილ სიტყვებს, იგინი აქმნა ხელმეორედ შემოწმებული. ის სიტყვა კი, რომელიც რომელიმე ავტორის მიერ იყო ნაჩვენები, მაგრამ ჩემთვის სრულიად გაუგებარი აღმოჩნდა, იგი შევიტანე იმ ავტორის გვართ და, მაშასადამე, პასუხისმგებლობით.

ვინაიდან განძრახული მაქვს საქართველოდან უცხოეთში გასვლა, ამ შრომის დამუშავება სწარმოებდა სიჩქარით, რის გამოც იგი ვერ არის ჯეროვანად დამუშავებული. ამავე მიზეზის ბრალია, რომ ამ შრომით ვაქვეყნებ შეკრებილ მასალის მხოლოდ დამუშავებულ ნაწილს. საჭიროა აქვე ითქვას, რომ გარდა ვიწროდ მესაქონლეობისა, შიგ შეტანილია სხვა დარგების (მაგ., ვეტერინარია, წველა—დღევნა და სხ.) ტერმინებიც, იმის და მიხედვით, თუ რამდენადაა იგინი საჭირო მესაქონლისთვის.

დასასრულს გულითად მადლობას ვუხდით ღრმად პატივცემულ პროფ. აკაკი შანიძეს, რომელმაც ნება დამართო მესარგებლა მის ხელთნაწერ სალექსიკონო მასალით, თავს იდგა ჩემი ხელთნაწერის წაკითხვა, შესწორების შეტანა და მიხელმძღვანელა, რომ ლექსიკო-

ლოგის თანამედროვე მეთოდის მიხედვით ყოფილიყო დალაგებული მასალა.

გულითად მადლობას ვუხდით აგრედვე: წარმოკავშირის გამგეობას, რომელმაც ამ გაჭირების დროს არ დაიშურა საგრძნობი თანხა, რ-მ შეძლება მქონოდა მასალების შესაყრებად მომეარა საქართველოს თითქმის ყოველი კუთხე.—მიწად-მოქმედების კომისიარიატის სასოფლო-მეურნეობის განყოფილებას, რომელმაც თავს იდვა გამოცემის ხარჯები.—ლექსიურ მასალის დალაგებაში მეშველებოდა ნინო ვიქტორის ასული ლეონიძისა.

ლევან ლეონიძე.

დედა-ქალაქი
1925 წ. ივლისი.



შ ე მ რ კ ლ ე ზ ა თ ა ზ ა ნ მ ა რ ტ ე ზ ა *)

აბდულ-მესია==აბდულ-მესიანი, თხზ. იოანე შავთელისა. გამოც. მ. ჯანაშვილის რედაქტ.

აბულ==იუსტ. აბულაძე - 1) შაჰ-ნამეს ლექსიკონი; 2) მე XII საუკ. ქართული საერო მწერლობა და ვეფხის ტყაოსანი 1922.

ათ. ივერ. მონ. 1074 წ. ხელთნაწ. ალაპ.==ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერ ალაპებით, მუხეუმის გამოც. 1901 წ.

აღუდა ქეთელ.==ვაჟა-ფშაველა —აღუდა ქეთელაური (პოემა), გამოც. კერესელიძის მიერ.

აღლუზ.==აღლუზიანი. გამრეკელის გამოცემა.

ამირ. დარეჯ.==ამირან დარეჯანიანი, კიკინაძის გამოც. 1896 წ.

არჩილ.==არჩილ მეფე—არჩილიანი ანუ მეფის თეიმურაზის I ცხოვრება. გამოც. 1888 წ.

ა. შან.==პროფ. აკაკი შანიძე.

აპარ.==აპარა.

ბარუქ.==წინასწარმეტყველება ბარუქისი.

ბერ.==გ. ბერიძე—სიტყვის კონა, 1912 წ.

ბეს. გაბ.—ბესარიონ გაბური—ხევისურული მასალები. (ქართული საენათმეცნიერო საზოგად. წელიწადეული I—II—1924 წ.)

ბესიკი==ბესიკი, ს. გორგაძის რედაქტ. გამოც. 1912 წ.

გამოსგ.==წიგნი გამოსვლათა.

გამოცხად.==გამოცხადება იოანესი.

განყ.==განყოფილება.

გველის მკამელი==ვაჟა-ფშაველა—გველის მკამელი (პოემა), წ. კ. ს. გამოც. 1920 წ.

გ—კახ.==გარე-კახეთი.

გომარ.==გომარეთი (ბორჩალოს მაზრა).

გულ.==გუდამაყარი.

დაბ.==დაბადება, სინოდალურ კანტორის გამოცემა 1884 წ.

დანიელი==წინასწარმეტყვე. დანიელისა.

დასტ.==დასტურლამალი მეფის ვახტანგ მეექვსისა, პ. უმიკაშვილის რედაქტ. გამოც, 1886 წ.

ეზეკ.==წინასწარმეტყვე. ეზეკიასი.

ეზდრ.==წიგნი ეზდრასი.

ვაჟა-ფშ.==ვაჟა-ფშაველა--თხუზულებანი, გამოც. 1924 .

*) აქ არ არის მოყვანილი გამოყენებული წყაროების სხვა შემოკლებანი, როგორც ტექსტშივე ადვილ გასაგებნი.

ვეფხ. ტყ.—ვეფხის ტყაოსანი, დ. კარიკაშვილის რედაქტ. გამოც. 1903 წ.

ვისრ., ვისრამ.—ვისრამიანი, ილ. კავკავაძის და სხ. რედაქტ. გამოც. 1884 წ.

წაქ.—წინასწარმეტყვე. ზაქარიასი.

ზ—იმ.—ზემო იმერეთი.

თ.—თუშეთი.

თავ-გადას. იესე ოსეს შვ.—თავ-გადასავალი იესე ოსეს შვილისა, ს. კაკაბაძის რედაქტ. გამოც. 1913 წ. **თეიმ.**—თეიმურაზი ვეფხ. ტყ. ლექსიკ.

თიმსარ.—თიმსარიანი, თაყაშვილის რედაქტ. გამოც. 1903 წ.

თ. რაზ.—თედო რაზიკაშვილი—ქართული ენის საუნჯის მასალად. ივერია 1900 წ. №№127—168.

ივერ.—ივერია (გაზეთი)

ივლ.—წიგნი ივლითისა.

იერემ.—წინასწარმეტყვე. იერემიასი.

იმ.—იმერეთი.

ინგ.—ინგილოური.

იოზ.—წიგნი იოზისა.

იხო ზირ.—წიგნი სიბრძნისა იხოსიასი ზირაქისა.

ისტ. საბუთ.—ისტორიული საბუთები წ. I, II, III, IV, V. ს. კაკაბაძის რედაქტ. გამოც. 1913 წ.

ისუ ნავ.—წიგნი ისუსი ძისა ნავესი.

კარიკ.—კარიკაშვილი დავიდ—მისივე გამოც. ვეფხ. ტყ. ლექსიკონი.

კახ.—კახეთი.

კირ.—სალექსიკონო მასალა ებისკ. კირიონისა. (ძველი საქართველო ტ. II თაყაიშვ. რედაქტ. 1911—1913 წ.)

კრებ.—კრებული (ჟურნალი).

ლევიტ.—წიგნი ლევიტელთა.

ლექს.—ლექსები.

მალაქ.—წინასწარმეტყვე. მალაქიასი.

მარკ.—სახარება მარკოზისა.

მეგრ.—მეგრული.

მესხ.—მესხეთი.

მეფ. 1, 2, 3, 4—წიგნი მეფეთა.

მთ.—მთიულეთი.

მიქ.—წინასწარმეტყვე. მიქიასი.

მოგზ.—მოგზაური (ჟურნალი).

მოხ.—მოხვევურად.

მსაჯულ.—წიგნი მსაჯულთა.

ნ.—ნახე.

ნაუმ.—წინასწარმეტყვე. ნაუმისა.

ნემ.—წიგნი ნემიასი.

ნეშტ.—წიგნი ნეშტთა.

პაპ. ორბ.—პაპუნა ორბელიანი. (ქართლის ცხოვრება გამოც. უ. ჩუბინოვის მიერ 1854 წ.)

პლ. იოსელ.—პლატონ იოსელიანი—ცხოვრება მეფე გიორგი XIII. ჭიჭინაძის გამოც. 1895 წ.

რაქ.—რაქა.

რიცხ.—წიგნი რიცხვთა.

რუსულ.—რუსულდანიანი. წ. კ. ს. მუზეუმის ხელთნაწ. №3698.

საბა—ქართული ლექსიკონი შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან. გამოც. რ. ერისთავის რედაქტ. 1884 წ.

სამართ. ალბულ.—სამართალი ალბულასი პირველი. (ჩუბინაშე. ქრესტომატია ნაწ. I).

საქ. სიძვ.—საქართველოს სიძველენი ტ. I, II, III, ე. თაყაიშვილის რედაქტ.

სვან.—სვანეთი.

სეხნია ჩხ.—სეხნია ჩხეიძე—საქართველოს ცხოვრება. (ქართლის ცხოვრ. გამოც. ჩუბინოვის მიერ 1854 წ.)

სიბრძნ.-სიცრ.—საბა-სულხან ორბელიანი—წიგნი სიბრძნე-სიცრუვისა. გამოც. მთვარელიშვილის მიერ 1892 წ.

ტობ.—წიგნი ტობიასი.

ფსალმ.—დავითნი.

ფშ.—ფშავეთი.

ქართ. მწ. I—გომელაური—ქართული მწერლობა წიგ. I—1907 წ.

ქართლ.—ქართლი.

ქართლ. ცხ.—ქართლის ცხოვრება.

ქება-ქებათა—წიგნი ქება-ქებათა მეფისა სოლომონისა.

ქვ—იმ.—ქვემო-იმერეთი.

ქიზ.—ქიზიყი.

ქილ.—ქილილა და დამანა. ილჟყონიას რედაქტ. გამოც. 1886.

ქრონიკ. I—ქრონიკები, თ. ჟორდანიას მიერ ახსნილნი და გამოცემულნი 1892 წ. წიგნი პირველი.

ქრონიკ. II—„ „ „ გამოც 1897 წ. წიგნი მეორე.

ყაზბ.—ა. ყაზბეგი (სრული თხზ.) გამოც. 1904 წ.

ყაზბ. I, II,—ალ. ყაზბეგი—რჩემული მოთხრობები გამოც. სახვა-1924.

შ. არაგვ.—შიო არაგვისპირელი შაჰ-ნამე—შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, იუსტ. აბულაძის გამოც. 1916 წ.

შიო თავადი—შიო არაგვისპირელი—შიო თავადი, გამოც. 1905 წ.

შიო. მღ. საბ—ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონასტრისა, თ. ჟორდანიას რედაქტ. გამოც. 1896 წ.

შჯულ.—წიგნი მეორე შჯულისა ჩაზრუხ.—თამარ მეფის შესხმა ჩაზრუხადისაგან. (ჩუბინაშვილის ქრესტომატია ნაწ. II).

ჩუბ.—დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი გამოც. 1887 წ.

ცისკ.—ცისკარი (ჟურნალი).

ძვ.—ძველი.

წამ. წმ. შუშან.—წამებაჲ წმინდისა შუშანიკისა, ს. გორგაძის რედაქტ. გამოც. 1917 წ.

წერილ. და მასალ. საქ. ისტ.—წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, ს. კაკაბაძის გამოცემა.

ქან.—ქანეთი.

კიკინ.—ზ. კიკინაძე.

კყ.—ილია ჟყონია—სიტყვის კონა 1910 წ.

ხალხ.—ხალხური.

ხალხ. სიტყვ.—ხალხური სიტყვიერება (ლექსები, ანდაზები და

სხვ.), თაყაიშვილის რედაქტ. წიგ-
ნი I.

ხახან. ფუჯრ.—ალ. ხახანაშვილი
—გუჯრები, გამოც. დ. ლამბაში-
ძის მიერ 1891. წ.

ხეცს.—ხეცსურეთი.

ხელმწ. კარ. გარ.—ხელმწიფის

კარის გარიგება, თაყაიშვილის რე-
დაქტ. გამოც. 1920 წ.

ჯავახ.—ჯავახეთი.

ჯან.—მ. ჯანაშვილი — ინგი-
ლოური ლექსიკონი („ძველი საქა-
რთველო“ გამოც. თაყაიშვილის
რედაქტ. 1911 -1913 წ. ტ. II).



აბაი—მდიდრულად ნაკერი ცხენის ჩული (აბულ.). „ათას ოთხასი ტაიჭი არაბთა დახედნილია, აბაი—ასალებზე ევლო ხალასი მილია“ (შაჰ-ნამე 198).

აბარება (ქართლ.) [(დაზიარება (კახ.)]—საქონლის საშენებლად აყვანა.

აბლაყ (ინგ.)—1) უფერული ცხენი, ქათამი და სხ. (ჯან.); 2) ქრელი ცხენი (ჩუბ.). შდრ. ამლაკი.

აბუანდა (ზ-იმ.), აბუანტი (ლეჩხ).—ნ. ავუანდა. „ადე ბიჭო, შემიკმაზე ჩემი თამაშა ცხენია, ზედ იარალი შემიდგი, წინ აბუანდები გძელია“ (ხალხ. სიტყვ. 3).

აბრაში—თეთრი ცხენი შავ ან წითელ ხალებიანი (ჩუბ); ქრელი ცხენი (აბულ.) „მას კვიცი აბლდა ტერფ—ბასრი, აბრაში თვალ მშვენიერი“ (შაჰ-ნამე 2026).

• **ავგართა** (გურ., მეგრ.)—მწყემსების ქოხი (ჭყ.).

• **ადრეული** (ფშ., მოხ.),—[ადრიული (მთ.)—**მაღლეული** (ხევს.) ნაადრევი (იმ.)]—საქონელი, რომელც მოკლე ხანში ასრულებს ზრდას.

ავარდნა (იმ.)—ნ. ახურება.

ავუანგა (გურ.)—ნ. ავუანდა.

ავუანდა (საბა, ქართლ.)—[ავუანტა (ფშ., მთ. გულ.)—აბუანტი (ლეჩხ.)—აბუანდი (ზ-იმ.)—ავუანგა, უუანგი (გურ.)—აუუანგ (სენ.) უუანგი (ქართ-კახ.)]—უნაგირის ნაწილი რაიმე ლითონისა თასმებზე ჩამოკიდებული, რომელშიაც მხედარი ჰყოფს ფენს. „გაიყენა ცხენი, აიდგნა ფერხნი ავუანდათა ზედან და ჰკრა ხმალი ჩაბლახსა ზედან“ (ამ. დარეჯ. 179.)

• **ავუანტა** (ფშ., მთ., გულ.)—ნ. ავუანდა. „სოლოლა გვერდზე მოექცა, შადგა ცალს ავუანტაზედა“ (ივერ. 1890 № 148).

ავკაში—(ფშ., კახ., თ.)—ქათმის ძვალი, რომელსაც სანაძლეოდ სტებენ ხოლმე; ლავიწი.

ავშარა (ქართლ., კახ.)—[ქორაკა (ხევს., თ.)]—აღვირის მაგვარი, რომელსაც არა აქვს საპირე რკინა და სადავის მაგივრად თოკი აბია. ავშრით ცხენს აბამენ მხოლოდ საძოვარზიდ. ქორაკაც ავშრის მაგვარია, მაგრამ გვერდებზე ატანია ხის ჩხირები. ქორაკას ხმარობენ მხოლოდ ჯორისთვის.

• **ავშარის ასხმა** (ფშ.)—ავშარის გაკეთება ცხენის თავზე. „ნასხეს ცხენებს აღვირ-ავშარა;“ (ვაჟა ტ. 1—183).

აზადი (მთ., ფშ.)— ნ. უზვი. „ზატ-კან აზადი ცხვარი“, ე. ი. ბერწოდ დაჩენილი ცხვარი ან რომელიც არ იწველება. ხევსურები აზადს ეძახიან მხოლოდ უღელში შეუბმელ მოზვერს (ა. შან.).

აზავერი—საკიდარი ხარი. აბულაძით—გახედნილი მოზვერი, უღლის ხარი (ვეფხ. ტყ. ლექსიკ.). „წამოვიხვენ საჭურჭლენი, სახელმწიფო დავაავრე, ვერ მოვეყავ აქლემითა, აზავრები ვააზავერ“ (ვეფხ. ტყ. 449 გ.).

აზატი (გულ. ქიზ.)— ნ. უზვი.

აზლაკი (ფშ., თ., ქიზ.)—[აძღლ-ტი (საბა)].—ნ. ნადუღალი.

აზმანი—ერთი წლის ცხვარი (საბა.).

აკაჭმულობა (კახ., ფშ.)—ცხენის უნაგირი ყოველივე მორთულობით. „სული დაიღო მან ქალმან, დასთმო გულისა წყლულობა, ქვაბს შეიყვანა ტაიკი, მოჰბადა აკაჭმულობა“ (ვეფხ. ტყ. 222).

აკაპი, აკაფი (ჩუბ.)—ნ. ალიკაპი.

აკენკვა, კენკვა (ქართლ., კახ.)—ფრინველის მიერ მარცვლეულის ნისკარტით ჭამა.

აკეპა (ქართლ., კახ.)—ხორცის წვრილ ნაჭრებად დაჭრა, დაკუწვა (ჩუბ.).

აკეცილაი (ხევს.)—მეორედ გადაჩეჩილი მატყლი (ა. შან.).

აკუში—ქალაბიჭა, პერმაფროდიტი. „მებადურმა მოახსენა მეფეს ჟეს თევზი აკუშია, რომელი არც

მამალია და არც დედალი“ (ქილ. 495).

ალა—უკანა ფეხებზე დაჯდომა, მაგ. ძაღლისა (ჩუბ.).

ალაგმვა—ცხენისთვის ლაგმის ამოდება.

ალათი (გურ.)—ნ. სარია.

ალიფი (კახ., ინგ.) 1) საქონლის საკვებავი (თივა, ბზე და სხ.); 2) ხორბლეულისა და საქონლის საკვების მოვაჭრე.

ალაჩა (ხევს.)—ნ. ბაჩა.

ალვენი (კახ.)—ლორი, რომელსაც ზურგზე თეთრი ფერი აქვს ვიწროდ გავლებული.

ალიკაპი (საბა)—[აკაპი (ჩუბ.)]—ნის აღვირი. შდრ. ქორაკა.

ალიყი—ცხენის საუბზე (საბა).

ალტამა (მობ.)—სიწინდის ფქვილის ცომი გუნდებად მოხარშული, რომელსაც სქამენ ჩენი მეცხვარეები მთელს ზამთრის განმავლობაში ყიზლარის ველზე [შეადარე: ატრია (საბა), ანტრია (ქყ.) და ალტამა (ჩუბ.—ა. შან.)].

ალხი (მობ.)—მკლე, გამხდარი (ა. შან.); ნაზაჟთრი, მკლე პირუტყვი (საბა.).

ამბოლი—უკანა უღლეული (საბა).

ამილახორი, მილახორი, მილახვარი—მეჯინიბეთ უზუცესი. „ამილახორო, მოახსნი რემა, ჯოგი და ცხენია“ (ვეფხ. ტყ. 54).

ამლაკი (ქართლ.)—ჭრელი ცხენი (საბა); შდრ.—აბლაყი.

ამლიკი (ფშ.) [—თავბატკანი (ჯუღ.)—ბიჭბატკანი (მთ.)] — გათამამებული ბატკანი.

ამოცოხნა — მცოხნავ საქონლის მიერ ჩაყლაპულ საქმლის ნაწილ-ნაწილად ამოღება ფაშვიდან და ბელმეორედი გადაღეკვა.

ამრეზა — ფრინველთ განხურება დაპეკვლამდე (საბა).

ამრეზი — მთარშიყე ფრინველი (საბა). კახეთში იცინან. „რას იმრი-ზები?“ ე. ი. რას იბერები, რას ყოყლოჩინობ.

ამხანაგი (მოხ.) — ნ. ბუდე.

ანგალა (კახ.) — სკლავის ნაწილი, ამოკრილი იდაყვიდან ბეჭის საღსრამდე. ჩუბინაშვილს ბეჭად აქვს განმარტებული.

ანლლი (საბა) — [ხრინწი (კახ.)] — ქათმის ენის უკანა ნაწილზე ამოსული მუწუჭი, რომელსაც ხელით აკლიან ხოლმე. ადვილად შეეძლიან მოკლას ფრინველი.

ანჩახი (ქყ.) — ნ. კეხი.

ანძლადი (საბა) — ნ. ნაღულალი.

აპეური (ქართლ., კახ.) — უღლის ტაბიკების მოსაპირებელი თოკი (ჩუბ.). „უღელი და აპეური მოსდრაკენ ქედსა“ (ისო ზირ. 33, 27).

აპკი (იმ.) — [აფკი, აფსკა (საბა) — სკა (ხევს.)] — მეტის მეტად თხელი რამ კანი, რომელიც აკრავს სხედასხვა შიგნითა ორგანოს.

აპოხტი (საბა) — ზოგადი სახელია ბელოენურად გამხპარ ხორცისა. (შეად. საპოხი).

არაუანი — 1) ნაღები (ჯაფახ., ქვ. ქართლ.); 2) დამყავებული მოხდილი ნაღები (ქართლ.); СМЕТАНА.

არდი-გარდა გურ. — საქონელი ფეხებ გარედ გაწეული.

არგე (საბა — ცხვრის და თხის ფარა. „და იყო მისსა პირუტყვი: არგე ცხოვართა და შროწლე ძროხათა“ (დაბ. 26, 14.)

არტალა (კახ., ქართლ.) — საკლავის ნაწილი ლილიდან წვივამდე. „კამეჩების არტალაო საკნიაზო გამხდარაო“ (ხალხ. სიტყვ. 262).

არყანი (მოხ., მთ.) — ნ. საგდე-ბელი.

არხაჯი (ქიზ.) — ნ. ნაწილარი.

ასალი — ძვირფას ფარჩეულის-გან ნაკერი ცხენის ჩული, გავაზე გადასაფარებელი (აბულ.); ქალის უნაგირის ქვეშ საერთოდ გადასაფარი ნაკერი (ლენხ). „აბაიებ — ასალეზზე ევლო ხალასი მილია“ (შაპ — ნამე 198).

ასახელეზული (ხევს.) — ნ. ბერ-ზორა.

ასერვა — აქრა, დაკოდვა (ჩუბ.) აქედან — სერი (ნახე).

ასვლა, გასვლა (კახ.) — [მაკინ-ტლობა (საბა) — გოლავი (რქ. ბერ.) — დალახვა (ინგ. — ცხენწვე)] — მამალ საქონლის დედალზე ახტომა უკანასკნელის დასამაკებლად. „და იხილენ ვაცები ესე და ვერძები აღმავალნი ცხოვართა მიმართ და თხათა“ (დაბ. 31, 12).

ასო-ასო (გულ., ქართლ., კახ.) [—დრონი (საბა)]—ხორცის დიდრონი ნაჭრები. „და ვერძი იგი განაგო ასოდ-ასოდ“ (გამოსვ. 29, 16). ახლად დაბეჭდილ დაბადებაში ის ალაგი, სადაც „დრონი“ იხმარება, შეცვლილია „ნაწილად“: „და განუყო კაცი თვან ვიდრე დედაკაცამდე თვითეულსა ნაწილი მწვრისა“ (2 მეფ. 6, 19).

ასპარეზობა — მხედართა მიერ ანძათა სროლა ისრითა, გინა ბურთითა (საბა).

ასფურცელა (ქართლ., გულ., მთ., ფშ.)—ნ. მრავალფურცელა.

ატეხა (იმ., ლეჩხ.)—ნ. ახურება. აუზი (იმ.)—საქონლის გავის ნახევარი მხარი.

აური—უპეს ქვეით ნაწლევია, მოკლე და ფართო და ერთი პირი აქვს (საბა); ПУШОВИНА.

აფი (საბა)—ნ. აპი.

აფსკა (საბა)—ნ. აპი. მაგ. კვერცხის აპსკი—კვერცხის თხელი კანი, რომელიც კარგად ემჩნევა მოხარშულ კვერცხს. „და დაიწყო სითეთრემან თვალისაგან მისისა განსვლიდ, ვითარცა აფსკა კვერცხისა“ (ტობ. 11, 15).

ალარო (გურ.)—ნ. ზანდაროზი.

ალვირედი—1) ოქროს ლაგამი (საბა); 2) რახტი ოქროთ დაფერილი და მორთული ლაგამი (ჩუბ.).

ალვირე—უენო ლაგამი, რომლის საპირე რკინა, სადავეს გამოწვევისას, აწეება ქვედა და ზედა ტურჩე-

ბის შეერთების კუთხეს. „და დავა აღვირი პირსა შენსა“ (4 მეფ. 19, 28).

აღვირის ტორი (მოხ.)—ნ. სადავე.

ალოშნა, აღლუშნა—ბალახის ძირიანად ზოდოვნა. „ვითარცა აღლუშნის ზროხამან მწვანელი ველისაგან“ (რიცხვ. 22, 4).

აღრიბარლი—ნაწლავების დვრიტას მწვადი (საბა.).

აღცხენება — ცხენზე შეჯდომა (საბა). „ქაბუკნი გამორჩეულნი, ყოველნი ცხენებითა აღცხენებულნი ცხენთა ზედა“ (ეზეკ. 26, 6).

აყრა (გურ.)—ნ. ახურება

აშავერი—ბაყვი, თეძო (საბა).

აშრატება (გულ., მთ., ფშ.)—რძის აჭრა.

აშფაშაფი—ყაბახზე გაქციეთ, გინა გაქენებულ ცხენზე, ისრის საგნისთვის სროლა; ჯირითი (აბულ.) „ყაბახზედან ჯილდობდიან, აშფაშაფსა ისროდიან“ (შაჰ-ნამე 2110).

აჩია (ქართლ.)—ვირი (კირ.)

აჩუ (ქართლ., კახ.)—ცხენის გასარეკი ხმა.

აჩუა—ცხენი, ბავშვების ენაზე. „მოდო ბალო აჩუაზე შავსო“ (კახ.).

აჩუნჩი (ძვ.)—სამეჯინბოს მოხელე (თაყაიშვი.) „აჩუნჩი, მებჯრეთ უბუცესი და მერემეთ უბუცესი წინად იარებიან“ (ხელმწ. კარ. გარ. 9).

აცე, ჰაცე (ქართლ., კახ.)—ვირის გასარეკი ხმა.—(სახედარს) „აცე, შე სპარსელების მონაე“ (შიოთავე: 58).

აწილვა (ინგ.)—დღეებაში რომ მათონი საკარაქე წინწყლებს მოიკიდებს (ჯან.).

აჭიმა (საბა)—ნ. საცხვირე.

ახალი ყველი (გულ., მოხ., ხეც.)

—ნ. ნაკვეთი.

ახვირი (იმ.)—ნ. ახორი.

ახორი, ახური (კახ., ქართლ., მთ.)

—[ხინდახორი*] (გულ.—ახვირი (იმ.)—ქილახორი (იმ. ბერ.)—

ბაგა (გურ., ხეც. მოხ.)—თავლის კედელში, იატაკიდან 1½ არშ. სიმაღლეზე, ამოჭრილი ბაგა, სადაც ცხენს უყრიან საკვებს. „ცხენი ჩემი, რომელ კანჯარსა აჯობებდა, ახორსა ზედა ჩემებრ იგიცა დაუსუსურებულა“ (ვისრ. 335).

ახოსალარი—მეჯორე (საბა).

ახტა—დაყვერილი, იაბო ცხენი (აბულ.); „სისხლით მინდორი გაწითლდა, იყო ახტათა ხვიელი“

(შაჰ—ნამე 481.)

ახურება, ხურვა (ქართლ., კახ.)—[აეარდნა, ატეხა (იმ.)—აყრა (გურ.)]—საქონლის მაკების დროს დადგომა, როცა საფსჰური უწითლდება, გამოსდის ლორწო და საქონელი იჩენს ერთნაირ მოუსვენრობას. დამაკების შემდეგ ახურება სწყდება.

ახურმაგი—ახურამაგია (საბა) ხარის პირზე ასაკრავი თოფრა, რომ ძნა არ შესკამოს (ჩუბ.).

აჯა-ბაჯა (იმ.)—ნ. მოიმახე.

აჯილლა (ქართლ., კახ.)—ბედაური ულაყი ცხენი ჯოგში გაშვებულნი, კარგი ჯიშის მოსაშენებლად. (უმიკაშვ.—დასტურ. ლექსიკონი). „აწერილი ჯოგი რაც არის, თავულად ჯოგის თავლიდარს აწერია, მისს დროს აჯილლას გაუჩვედეს“ (დასტ. 61), ან—„მან საგდებელი დაწყვიტის დაჭირვით ვერა ვქენითა, ხუთი წელია,—აჯილლა არ გაუშეია კბენითა“ (შაჰ—ნამე 2033).

ბ

ბაგა (ქართლ., კახ.)—[საპირე (იმ) —სანაყრე (მთ.)]—გომის კედლის წინ, ნახევარ არშინის სიგანით დატოვებული და ფიცრით ან უბრალო ხით განსაზღვრული ალაგი, სადაც საქონელს უყრიან საკვებს.

*) საბათი „ხინდახორი“ ნიშნავს საერთოდ საქონლის ბაკს.

ბაგა, ბოგა (გურ.)—ნ. ზღაეი.

ბადექონი (გურ.)—ნ. ჩობალი.

ბაეტარი, პეტარი, ბეითალი—ცხენის მკურნალი (საბა).

ბაზბალ (ინგ.)—დიდ ღუმეიანი ვერძი (ჯან.).

ბაია—თვალის გუგა. „გიშრის მშვილდის მოზიდვით ისარს მკრავ ბაიათი“ (ბესიკ. 49), ან—„თვალის

ბაიათა სინათლესა უძღვნის“ (ქილ. 4.).

ბაკი (ქართლ., კახ.)—[ქ ა რ ბ ა ქ (სვან.)—ქ ა რ თ ა (გურ.)—ქ ა ლ ტ ა (იმ. ქყ.)—ჩ ი ხ ი (გურ.)—ჲ ზ ო (ხევს.)]—შემოლობილი ალაგი სსაქონლის დასამწყვედევად. „აწ იშენეთ თქვენ ქალაქები ვანისა თქვენისათვის და ბაკები საცხოვრისა თქვენისა“ (რიცხ. 32, 24).

ბაღანი (ქართლ., კახ.)—თხის, ძროხის და ცხენის ბეწვი, თმა.

ბაღლუმში (იმ., ლეჩხ.)—კურტნის საძეუ.

ბაღი—საპალნე (ჩუბ.).

ბაღიშის გარსაკრი (კახ., ფშ.)—ნ. შუა მოსართავი.

ბანცალა (იმ.)—ძაღლის ავადმყოფობა, ქარებივით გაუდგება ტანში (ბერ.).

ბანჯგვლიანი (იმ., ქართლ., კახ.)—ნ. მატყვიერი.

ბარგის ცხენი—სასაპალნე ცხენი. ვახტანგ გორგასლანმა არუქა სპარსთა მეფეს „ხდალი ცხენი ათი ათასი, ცხენი ბარგისა ხუთასი“ (ქართლ. ცხ. ჳიკინ. 189).

ბარდღლა (მთ.) [ბ ა ჯ უ ჯ ა (კირ.)]—ფეხებ ბუმბულიანი ქათამი.

ბართი (მობ.)—1) ნ. გემრა; 2. ხარფურის წივა (ხევს. ა. შან.)

ბარიღ (კირ.)—ნ. კიკინი.

ბარკალი (ქართლ., კახ.)—პირუტყვის უკანა კიდურის ნაწილი მათარიდან მენჯამდე. „და ცმელი იგი

მათზედა, რომელ არს ბარკალთა“ (ლევიტ. 1, 10), ან—„მოუკლეს ცხენი და გაუტყდა ხმალი, მაშინ მოსწყვიტის ცხენთა ბარკალი, მით იცემებოდა და ხოცდა ლაშქართა“ (ამ. დარეჯ. 245).

ბარკლის თავი (გ-კახ.)—ნ. კუბაჩი.

ბარნელა (ფშ.)—[ბ ა რ ი ნ ე ლ ა (ხევს. ა. შან.)—ბ უ რ ნ ე ლ ი (თ)]—ჯოხზე გაკეთებული ჯვარი რძის საღვებად ჩხუტნი.

ბარძაყი (ქართლ., კახ.)—მსხვილი ბარკალი.

ბარჭოიანი ნაბადი (გულ., მთ.)—გძელბეწვა ნაბადი (ა. შან.).

ბასტურმა (ქართლ., კახ.)—მსხვილ საკლავის ხორცს (უმთავრესად სუქს) სჭრიან ნაჭრებად (როგორც მწვადისთვის), აყრიან ბლომა პილპილს, ხახვს და მარილს. რამდენიმე საათით ან დღით სდებენ ქილაში ან ჯამფიელაში. შემდეგ სწვამენ შამფურზე მწვადად. „ამოილო დანა, თითონ დააჭრა (შეელს) სუკები, ცალქე თეფშზე დააწყო და დააბასტურმა“ (ვაჟა, ქართ. მწერლ. I—22).

ბატატური (ხევს.)—ფეხების განზე გადგომა (ა. შან.).

ბატკანი—კრავი—ცხვრის შვილი დაბადების დღიდან ექვს თვემდე. „ჭყეეს სახლშიგან, მათ ბატკანსა შემწვარს არსად არ აკმევედა“ (შაჰ-ნამე 2574).

ბატკანი საჯინიბო, კრავი სამე-
ჯინიბო—სახელმწიფო საჯინიბოს
სასარგებლოდ გადახდილი ბატკანი.
„არ ეთხოვებოდეს საჯინიბო ბატ-
კანი“ (ქრონიკ. II-518).

ბატკი (გურ. ჭყ.)—[შ'ენა ქცე-
ვი (გულ.) — შემოდგომურა
(ქიზ.)—კვებულა (ფშ.)—შემო-
დგომაზე ნაშობი საქონელი. (საბა-
თი „ბატკი“ ჩილი თიქანია.)

ბატრა (თ.)—ნ. ჩირბე.

ბალური - ცხენის სახურავი ლა-
ზლისა (ჩუბ.).

• ბაყაო (გომ.)—[ბაყაყი (ფშ.,
მობ. გულ.)—ყვატი (თ.)—სამ-
ყვრე (ხევს.)]—სამკუთხედის მაგვარ-
ი ხორცი ცხენის ქაჩაჩის უკანა ნა-
წილზე. ბაყაოს ძირი მოქცეულია
ნალის თავების შუა, წვეტი კი თი-
თქმის სალიას შუაგულამდე აღწევს.

• ბაყაყი (ფშ., მობ., გულ.)—ნ. ბა-
ყაო. „ადვილად შეამჩნევდით უნა-
ლო ცხენების ნაფეხურს და ჩლი-
ქების იმგვარ ბეჭდებს, რომელსაც
„ბაყაყ“-ს ეძახიან“ (ყაზბ. ტ. I-15).

ბაყვი (საბა, ზ-იმ.)—თეძოს ძვა-
ლი. „ბიისა მშვილდო ფიცხელო
ბარდის-ისრისა მძმუროდა, ბრანგ-
სა შეგტყორცე, ბაყვს ეცი, ვის
რჩევით სისხლი გწყუროდა“ (ბესიკ.
136), ან—„თუ მაინც თოფი მესრო-
ლო, შიგ მამახეთერე ბაყშია“ (ამ-
ბობს დათვი) (ხალხ. სიტყვ. 25).

ბაყლი (ძვ.)—ჩირქი. „მრავალი
სისხლი და ბაყლი ედინა და მორ-
ჩა.“ (სიბრ. სიცრ.—127).

• ბაშტაკი (მობ.)—ნ. გერგი.

• ბაშტე (თ.)—ნ. ბოსელი. „ცხე-
ნებს რა უყოთ? ტიალთა დაწყვი-
ტეს ლაგმის ტარები. ზოგთა სთქვეს:
ბაშტებს შეეყაროთ, მაგრად დაე-
გულოთ კარები“ (თ., ხალხ. სიტყვ.
72).

• ბაჩა—1) ნ. გერგი (ლექზ., გულ.,
მთ.); 2) ცხენი, რომელსაც ძუა-ფა-
ფარი გაკრეპილი აქვს (იმ., ჭყ.);
3) ნ. ნალიტა (ხევს.); 4) ნ. თოხა-
რიკი (მეგრ.)—„მხოლოდ შეძლებულ
მებატონეებსა ჰყავთ (სამეგრელო-
ში) გვარიანი ჯოგი, რომელშიაც
კარგი, ბაჩად წოდებული თოხარი-
კი ცხენები გამოერევა ხოლმე“ (მო-
ამბე 1900 № III 6. II-28.).

ბაჩაჩა (კირ.)—ნ. გერგი.

• ბაქოიანი ნაბადი (გულ., მთ.).
—მოკლე ბეწვა ნაბადი (ა. შან.).

• ბახი (იმ.)—[ბუხი (გულ.)—ფუ-
ხი (ხევს., მობ.)—ფათლახი (მთ.)
—ლოლა (თ.)]—უვარგისი ცხენი.
„ჯერ დავიჭერ, ცხვირ-პირს ვათ-
ლი, მერმე შ ..ეს ხუთმა ბახმა“ (ბე-
სიკი 126).

ბახური (იმ.)—მთლიან ხისგან
გამოთლილი კეხი (ბერ.).

ბაჯუჯა (კირ.)—ნ. ბარდლი.

ბელაური (ქართლ., კახ.)—კარგი,
გვარიანი ცხენი. „ბელაური დ-ი-
ხოცნენ, ვირებს დარჩათ მოედანი“
(ქართ. ანდაზა). საერთოდ „ბელაუ-
რი“ ითქმის სხვა პირუტყვზედაც
და აღამიანზედაც, მაგ. „მრავალი
ბელაური ძალლი ექირათ“ (რუსულ.

364) ან—„იყო ერთი კაცი, ჰყავდა ბედაური ცოლი“ (თიმსარ.).

ბევესი-ბევესი (რქ.)—ნ. მაამო.

ბევრა წიგნა (გურ.)—ნ. მრავალ-ფურცელა.

ბეკენწალი *) (იმ., გუდ.)—[მა-წუნკალი (გუდ.)—ხელუყარი (მთ.)]—უხეირო, ცუდი ფური.

ბეკნა—კუნტრუში, ხტომა (ჩუბ).

ბელეშა (საბა)—[ლაბა (კახ., ქიზ.)—რქადახრილი (თ.)] ქვეით რქადარეკილი საქონელი.

ბელწი (ლექს.)—ნ. უზვი.

ბეჟანია ანუ ბეჟანიხოი—ცხენის გვარია ერთი (საბა).

ბერა (ფშ., თ., გუდ., მთ.)—[საწველელა (მობ.)]—ცხვრის საწველი ალაგი ისე შემოფარგლული ლასტებით ან ქვის ყორეთი, რომ საწველი ცხვარი შედის ერთის მხრივ და გადის მეორეთი.

ბერ-ზორა (მთ., გუდ.)—ხატისთვის შეწირული ხარი, რომელიც სახლში იკვლება. ნ. ზვარა.

ბერწი—ნ. უზვი „ერთი წლის ბერწობით ფური არ დაიკვლის“ (ხალხ. სიტყვ. 159) ან—„და იყო სარა ბერწი და არა შვილის მშობელი“ (დაბ. 11, 30).

ბერჯა (თ.)—ნ. ნალიტა.

ბეწინიკაი (ხევს.)—უხეირო ცხენი (?)—„ამაგ სიმღერის მათქვამი კოჭლი ვარ, ვერსად დავალი, ხვადი მყავ ბეწინიკაი, არ გამეზარდა ტიალი“ (ივერ. 1891 № 90).

*) შეად. ბეწინიკაი.

ბეწმინდა (კახ.)—სადა ბალნის მქონე ღორი.

ბეჭი — სამკუთხედი, პრტყელი ხორციანი ძვალი, რომელიც ერთის მხრივ ეხება მხარმალალას და მეორეთი უკავშირდება საღსრით მხარს. „მბეცმან ფეხი შემოსტყორცა და ცხენის ორივე ბეჭები დაუმსხვრივა“ (ამ. დარეჯ. 282).

ბეჭის ფრთა (ქართლ., კახ.) ბეჭის ძელის კანკატელა. „შეჯდა სხვასა ცხენსა, მასცა ისარი უკრა, სამკერდული გაუხედაქნა და ფრთამდინ დაასო“ (ამირ. დარეჯ. 301), ან—„და უჩოქე და ვესროლე მოვარტყი ბეჭის ფრთაშია“ (ქართლ., ივერ. 1889 № 218).

ბეჭის თავი (იმ.)—ნ. მხარმალალი.

ბიბა-თვალი (მობ.)—ნ. თვალის გუბა.

ბიბილა (ქართლ.)—[ჯიჯლიბო (კახ.)—ჯიჯო, ჯიჯა (მთ., გუდ., მობ.)—ჯუჯა (ხევს.)—ჩინჩლო (ფშ.)—დუდი (გურ.)—ბიბილი (ზ-იმ.)—თვერი, თირთილო (იმ. ბერ.)]—შინაურ ფრინველის თავზე სავარცხელსავით წითლად ამოსული ხორცი (ჩუბ.).

ბიბინი (ფშ.)—ცხენის ქენება (ა. შან.) „ჩვენ არაყ შავსავთ, ჩალხიავ, დიაცთ საქმეა ქვითინი, ჩვენ კი—ხმლებისა ტრიალი და ლურჯეების ბიბინი“ (ვაჟა ტ. I—121).

ბიზიონა (ქიზ.)—ნ. ქუშა.

ბიზოვანი (საბა.)—ნ. ქუშა.

ბილდიგრა — მთრახის ყური. „მთრახის ბილდიგრა ხოხობს ყელს გარდაეცვა და წაეიდა“ (სიბრძ. სიკრ. 139).

ბიშილი (ზ-იმ.)—ნ. ბიბილო. „ჩიტი ლომზე შემოჯდა, ბიშილი ჩაუშავდაო“ (ზ-იმ. ხალხ. სიტყვ. 26).

ბინა (უშ., თ., ჭიზ.) მეცხვარის ბარგი.

ბინა (მობ.)—ნ. ფარები.

ბინის პირი (ჭიზ., ფშ.)—ადგილი ცხვრის ბინის გარშემო, სადაც აძობენ ლუბ და ავადმყოფ ცხვარს.

ბისტი (კახ.)—თვალზე რომ თეთრი გადაეკვრება.

ბიჭა-ბატანი (ფშ., გულ., კახ.)—[შეპარულა (ჭიზ.)—ნაბატკვარა (გურ.)]—უღროოდ განერბილ ცხვრის ნაშობი ბატანი. თუ დოღზე ადრე გაჩნდა—„ბიჭა“, თუ გვიან—ჭორფა. „თებერვალში დღეს იმდენი ემატება, რასაც ბიჭა-ბატანი გადახტება“ (გ-კახ., ხალხ. რიტყვ. 161).

ბობვა (საბა, ჭიზ.)—ნ. გოგვა.

ბოთხალი (იმ.)—ქართულ უნაგირის სამკაული (ჭყ.).

ბოიკი—ორი წლის ხარი (საბა).

ბოინა (გულ., ფშ.)—ნ. გუნდი. „კაკბის, შურთხის და როქოსი ბოინი გვიდგა კარზედა“ (ვაჟა ტ. I—87).

ბოკვი ჯერი (თ.)—ნ. იჯრა.

ბოკალა (გულ., ფშ.)—[ბუკუ (იმ.)—ჯიხვარჭა (გურ.)—დოლა (მობ., კახ.)—მოკლე და სქელ რქიანი საქონელი.

ბოლარლო—ნ. ოჩანი. „ბოლარლოსა ცხენისა ასრე იქნეს, თუ ბურლო ცხენი მიჰყიდოს კაცმან კაცსა ანუ მისცეს, თუ ბურლობა არა გამოანდოს, ზლოს“ (აღბულ. სამ. 64).

ბოლგენი (კახ.)—ლორი, რომელსაც თავსა და ბოლოზე ერთი ფერი აქვს, შუაზე კი მეორე. არჩევენ წითელ, შავ და მრეშ ბოლგენს.

ბოლუქი (კან.)—ჯგუფი. „ყოველი ოგური (ლორისა) ბოლუქ-ბოლუქად ეყრება“ (კახ.).

ბოფირი (ფშ.)—აყრა, წამოშლა, ქრიამული, აჩოჩქოლება (მაგ. ფრინველებისა დილით, ა. შან.)

ბორეა—ქართულ უნაგირის გადასაფარებელი ქსოვილი, ან ნაქსოვი ტყავი (ჭყ).

ბორკილი (კახ., ქართლ.)—ნ. დუშაყი.

ბორძიკი (კახ., ქართლ.)—[ბორწიკი (თ.)—ბრკოლება (საბა)—ბორჯი (გულ., მთ.)]—ცხენის ფეხის წამიერი ბრკოლება (საბა). „ცხენისაგან ერთი ბორძიკი საკმაო იყო, რომ მხედარი სულით ხორცაძღე დაკარგულიყო“ (ყაზბ. ტ. I—15).

ბორწიკი (თ.)—ნ. ბორძიკი.

ბორჯი (მთ., გულ.)—ნ. ბორძიკი.

ბოსელი (ქართლ.)—[გომი (კახ.) ბაშტე (თ.)]—შენობა, სადაც ზამთრობით უყენიათ საქონელი. „შუექქვენ ქვეთკირი ბოსელი ერთი და ქვეთკირი ფარები ერთი“ (ქრონიკ. II—46).

• **ზოტი** (გულ., მთ., ფშ., იმ.)—ნ. ვაცი. „რა გიჭირს ცხვარო, ტიალო, ძოვე ბალახი ხშირია, ზოტო, გაუძელ იქისკე, სადაც ალაზნის პირია“ (ვაჟა ტ. I—34).

• **ზოქა-ყოჩი** (მობ.)—მოქიდავე ყოჩი, ფალავანი (ა. შან.)

ზოქვენი—მუცელს ქვევით სასირ-ცხომდე (საბა).

ზოღვერა (ქიზ., კახ.)—ნ. თართი.

ზოყვი (იმ.)—საჯდომი ძვალი.

ზოჩიკი (რაჭ.)—ნ. ბოჩოლა.

ზოჩოლა (გულ., მთ., მობ.)—[ზოჩიკი (რაჭ. ბერ.)—დოჩი (გურ.)]—ზამთარ გამოვლილი ხბო, ე. ი. ერთ წლამდე. „საქონლის ჰირი ამიტყდა, ველარ გაგზარდე ბოჩოლა“ (ხალხ. სიტყვ. 317).

ზოცორი (იმერ. ბერ.)—[ზოცქვერი (რაჭ.)]—შინაურ კურდღლის ბაქია.

ზოცქვერი (რაჭ.)—ნ. ბოცორი.

ზოძური, **ისრის კილო** (ქიზ.)—სერი ცხვარზე, თუ ყურის წვეტში ამოჭრილია ისრის ბოლოს მსგავსად.

ზოხნა (რაჭ.)—გაფხეკილ მინდორზე საქონლის ძოვნა (ბერ.).

ზოხოხი (კახ., ქართლ.)—მოქნილ ცხვრის ტყავისაგან შეკერილი ქუდი. „ერთს ღამეს დედოფალმა... ბოხოხის თუშური ქუდი დაიხურა და ციხიდან ჩამოვიდა.“ (ქართლ. ცხ. (ჩუბ.) II—545).

ზრელო (ქართლ.)—ბუჩო, თივას რომ სცვივა (კირ.).

• **ზრეშა** (ფშ., გულ.)—[ზულრაობა (თ.)]—როცა ხარი ხართან ეშხადება საქიდაოთ, ეძახიან „ზრეშას იწყებს“-ო (ჟყ.), ეზულრება (თ.)

ზრეხ (ინგ.)—დაბრეცილ ფეხებიანი (ჯან.).

ზრკოლება (საბა)—ნ. ბორძიკი. „ცხენნი ესე ზომ საწყალნი იყუნეს, რომელ ხმელადცა დაუბრკოლებლად თითულსაცა ნაბიჯსა ზედა ვერ მოვალობდიან.“ (საკითხავი სვეტის ცხოველისა კუართისა საუფლ. და კათ. ეკლესიისა, გვ. 112).

ზუბკო—ფქვილი წყალში გახსნილი (საბა).

• **ზუბუნე** (მთ.) [ზულრაობა (მობ.)—ზულრანაობა (გულ.)—ჩხვერა (ფშ.)]—როცა ხარი მიწას რქით სთხრის.

• **ზუბუნე** (ფშ.) [ზმული (კახ., ლეჩხ.)—ღმული (გურ.)]—ხარის ყვირილი. „ხარს ვგვეარ ნაილალარს, რქით მიწასა ვჩხვერ, ვზუბუნებ“ (ვაჟა ტ. I—83.).

ზუბლი (იმ.)—ნ. ნალიტა.

ზუგანი (ქართლ.)—ადგილი, სადაც საქონელი დაეყრება (კირ.).

ზუდარა—(იმ)—ნ. ბუდე.

• **ზულაყი** [გაბზულაყებული, გაბზულახებული, გალადებული (მთ.)—გაბზულაყებული (თ. ა. შან.)—გადუყებული (მობ.)—გატყრომილი (ერწო)—გაკიტრებული (გულ.)—გასინტრიკებული (რაჭ. ბერ.)

—სვინტრივით გასუქებულ-
ლი (გურ.) — გათქვირებული
(გ-კახ.) — ძალზე გასუქებული სა-
ქონელი.

ბუდე (ქართლ., კახ., იმ.) — [დე-
დანი, პერანგი (მთ.) — სახბე,
ამხანაგი (მოხ.) — ბუდარა (იმ.,
ლორისა) — მომყოლი (გურ.,
ლექს.)] — ბუტი, რომელშიაც იმყო-
ფება ნაყოფი დედის მუცელში.
შილის გაჩენის შემდეგ, ბუდეც
გამოდის გარედ.

ბუკუ (იმ.) — ნ. ბოკოლა.

ბულღული (საბა) — ბურღული
(კახ.) — ხორბალი, მოხარშული, და-
ნაყული.

ბუჟუჟი — ცხვრის ტყავი დაგრუ-
ზეილი (საბა).

ბურაკი (ზ-იმ.) — ნ. ბურეაკი.
„მგელო რა ავი უოფილხარ, გვე-
მტერებოდი ჩვენცაო? გუშინ ბუ-
რაკი მოგქონდა, ზურგზე აფცქვნი-
დი ბეწესაო“ (ხალხ. სიტყვ. 25).

ბურვაკი (ქართლ., კახ.) — [ბურა-
კი (ზ-იმ.)] — ღორის წვილი სამი თვი-
დან წლამდე. დედალ ბურეაკს გუ-
რიაში ეძახიან „ნაზარდა“-ს. „ბურ-
ვაკებს წამოვეპარე, სალამი მივეც
ჩოქითა“ (ხალხ. სიტყვ. 119).

ბურწელი (ხევს.) — 1) ნებიერი,
უწყინარი, კეკიანი საქონელი (ა.
შან.), 2) ნ. ბარწელა.

ბურღო — ნ. ოჩანი. „თუ ბურღო
ცხენი მიჰყიდოს კაცმან კაცსა,
ზლოს“ (აღბულ. სამ. 64).

ბურძგი (ჩუბ.) — ნ. ჯაგარი.

ბურჭი (მეგრ.) — ნ. უზვი.

ბუსენაობა (იმ. ჰყ.) [ჯლიხაო-
ბა (თ.)] — საქონლის ჭიდაობა რქე-
ბით.

ბულა (ქართლ., კახ.) [კურო
(ლექს.)] — დაუყოდავი ხარი, რო-
მელსაც ინახავენ საქონლის მოსა-
შენებლად. „აქებენ მელიქიშვილსა,
ტანი მიუგავ ზულასა“ (ხალხ. სიტყვ.
375).

ბულრანაობა (ფშ., გულ.) — ნ. ბუ-
ბუნი.

ბულრაობა (მოხ.) — ნ. ბუბუნი.

ბუწი (საბა) — ნ. თოხლი.

ბუხი (გულ.) — ნ. ბახი.

ბუხუნი (საბა) — ღორის ხმიანო-
ბა, დრუხუნი.

ბლავილი (ქართლ., კახ.) — [ბლე-
ქელობა (გურ.)] — ცხვრის ხმიან-
ობა.

ბლევლობა (გურ. ჰყ.) — ნ. ბლა-
ვილი.

ბლილი (გურ., ლექს.) — ნ. ნა-
ლიტა.

ბწკალი (ქართლ.) — ბჯღალი (ფშ.).
— ძაღლისა და კაცის ფჩხილი ან
ფრინვლის კლანჭი (ფშ.) „ლამაზ-
ლამაზი მწვერებნი, ფეხის ბწკლებ-
ზედა დგებოდა“ (ხალხ. სიტყვ.
387), ან — „ასე აკაფეს მუცალი,
ყორნებს აჰქონდათ ბწკალითა“
(ფშ., ივ. 1887 № 144.)

ბჯღალი (ფშ.) — ნ. ბწკალი. „ფე-
ხები ჰქონდა კაცისა, ხელად — ბჯღა-
ლები ციცისა“ (ვაჟა ტ. I-XX.)

გ

გაბერწება (ქართლ., კახ.)—როდესაც მაკე საქონელი დაადგებს შვილს უდროით.

• გაბოტება (გუდ., მთ., კახ., თ.)—ნ. დამაკება.

გაბრა (საბა)—ცხენის საწმენდელი ჯაგრისა ან ძუისაგან გაკეთებული; ჩოთქი.

გაბრიყვენოლი კერატი (კახ.)—დაბერებული კერატი, რომელიც ხცდილობს ფარის გარეშე იაროს.

გაბტყვნა (ქართლ., კახ.)—ფრინვლისთვის ბუმბულის გაცლა.

• გაბუდაყებული (მთ.)—ნ. გადუყებული.

• გაბუდაყებული, გაბუდახებული (მთ.)—ნ. ბუდაყი.

• გაბუმბული (თ.)—[გაპტყვნილი (მთ., გუდ.)—კოლვიოსი (საბა)]—შიშველი, უბუმბულო ფრინველი.

• გაბუტყებული (თ.)—ნ. ბუდაყი.

გაგარება—გაქსება, გაველურება (ჩუბ.).

• გადაბანი (საბა)—[წელჩაქციული (გუდ.)—ზურგჩადნეცილი (მთ.)—წელგაზნეკილი (ქიხ.)—წელჩაქცილი (თ.)]—ზურგ ჩადრეკილი საქონელი.

• გადაგვარებული, [გადამცნილი (ქართლ.)—გადაჯიშებული (კახ.)—გვარშერეული (ფშ.)]—ჯიშ შეცვლილი საქონელი.

• გადუყებული (მობ.)—ნ. ბუდაყი.

• გავა—საქონლის ნაწილი დაყებული კუკუხიებიდან—კუბაჩამდე. „ჰკრა დეემა ლახტი, ცხენისა გავასა მოუხედრა, ცხენი და კაცი მიწასა გაესწორა“ (ამ. დარეჯ. 290), ან—„მიჩელიშვილო ლაგაზო შარჩი შენს დედა-მამასა, წყალსა შენ გამომახდინე შამისვი ცხენის გავასა“ (ივ. 1887, № 174.). თუმცა სიტყვა „გავა“ უმთავრესად მიღებულია ცხენის მიმართ, მაგრამ იგი ხალხში იხმარება სხვა საქონლის მიმართაც, მაგ. „საგულდაგულოთ გაბანდეს ხარის გავას ჯღანო“ (ხევს., ივერ. 1888 № 80).

გავაჭი—ირმის რქის ძირი (საბა).

• გაზა (ფშ., მთ., გუდ.)—ფრინვლის კლანჭი და საქონლის ფეხი, კვირისტავიდან ჩლიქამდე.

• გათქვირება (ჩუბ., გ-კახ.)—ნ. ბუდაყი.

გაკიტრებული (გუდ.)—ნ. ბუდაყი.

გაკეთება (ერწო, მთ.)—ნ. დაყვერვა.

გაკეთებული (ხევს.)—ნ. უსხი.

გალაღებული (მთ.)—ნ. ბუდაყი.

გალექება (კახ.) [გაშფოთება (ინგ. ჯან.)]—შებმულ საქონელს რომ დასცხება, ენას გადმოადგებს და ქოშინებს. გალექება იცის ზაფხულში უმთავრესად კამეჩმა. „მზე

კი თანდათან ზემოთ იწევდა და ისე აცხუნებდა, რომ ზოგი კამეჩი გააღეჭა და პირიდან ენა გამოაყოფინა“ (შ. არაგვ. ქართ. მწ. I—70).

გალი (ძობ.)—ნ. კადონი.

გალო (ფშ., ხევს., გუდ., თ.)—ძვალი. ნ. ჯრბნელის განმარტებით—ფეხის წვივი (ივერ. 1888, № 43; ბარკლის დიდი ნაჭერი (თ. რაზ.); ხელ-ფეხის ზემო ძვალი (იდაყვიდან ბეჭამდე და მუხლიდან მენჯამდე) (ფშ.); ფეხის და ხელის ძვალი (ხევს.); გამობრილი ძვალი (გუდ.); ძვალი (თ.)—„ყოთი გირჩეენია, თუ გალო?“ (ა. შან.).

გამაღება (ხევს.)—ნ. ლივლივი.

გამბული (მთ., მობ., ხევს., ფშ.)—მსუქან საქონელზე იტყვიან—„გამბულია, ზუმზუმი გააქო“ (მობ. ა. შან.).

გამდულვრა (კახ.)—[გა ფ უ ფ ქ ე ა (ქართლ., კახ.)]—ცხელ წყალში გაფუფქვა, ბალნის გაცლა. „წყალი წამოადულე, რომ ბურვაკი გავმდულროთ“ (კახ.).

გამლიავება (გუდ., მთ.)—ნ. ლივლივი.

გამოზამთრული (ქართლ.)—ზამთარ გამოვლილი ხბო, ე. ი. რამდენიმე თვისა. „ნახირის თავი სძეს დიდ სოფელს ხარი, შუათანას—ზროხა, პატარას —გამოზამთრული“ (დასტ. 65).

გამონალია (გურ.)—ნ. ნალევა.

გამოუყვრავი (ქართლ., კახ.)—ყვერებ გამოუტლელი საქონელი.

გამოუყვრავი—გაუხედნავი (ქებნი (ჩუბ.).

გამოფაშვა (ქართლ., კახ.)—ცოცხალ საქონლის ფაშვის გამოღება მუტლიდან, გამოწლვა. „იქნება მგლებმა კიდევ გამოფაშვეს ჩემი შვინდა“ (შ. არაგვისპ. ქართ. მწ. I—69).

გამოფერდილი—მიწშილით ფერდებ ჩაცვივებული საქონელი (ჩუბ.).

გამოჟნა (ქართლ., კახ.)—1) ტყავის ვაკეთება, გადამუშავება; 2) ხარის და კამეჩის გახედნა, ე. ი. უღელში შებმის მიჩვევა. „კაცის დარჩობის სანახავად გამოუქნელ მოზვერსავით კი გამომიწია და“ (ილ. ქავექ. ქართ. მწ. I—281).

გამოყვევა (ქართლ., კახ.)—საქონლის ან კაცის ყვერების ამოქრა, დაკოდვა. „რამეთუ პირველად თვალნი დასწვნეს და მერე გამოყვერეს“ (ქართ. ცხ. ჩუბ. I—202).

გამოშიგვნა (გუდ., მთ.)—[გამოწლვა (ქართლ., კახ.)]—საკლავის მუტლიდან ფაშვ-წაწლავების ამოღება.

გამოჩეკა (ქართლ., კახ.)—კრუხის მიერ წიწილების გამოყვანა.

გამოწლვა (ქართლ., კახ.)—ნ. გამოშიგვნა.

გამოწველა (ქართლ., კახ.)—ცურიდან რძის გამოყვანა.

გაძქდექებული (ხევს.)—ნ. დემფილა.

განარცხული (გ-კახ.)—მუტელში გახსნილი საქონელი.

განაყარი (კახ.)—საკლავის დანაწილების შემდეგ დარჩენილი უვარ-

გისი ნაპრები, მაგ. ნაწლაგები, თავ-
ფეხი და სხ.

განგური (საბა)—[ნ ა ზ ა მ თ რ ი
(მთ.)—ჯ ი გ რ ი (გურ.)—ნ ა ქ უ რ ც-
ნ ი (ერწო)—ნ ა ლ ი ს ი (ლენხ.)]—
საქონლის გაზაფხულზე გასაცვიენი
ბალანი.

განკეფილა (მთ.)—ნ. ფელიკი,
ფეშხო.

განყვინიზება—ფრანველთ პო-
ხიერება (საბა), გასაქება.

გაორყებული (ფშ.)—გასლქებუ-
ლი. „გაწურთნა ჩვენცა ვიცოდით
გაორყებულის კვიცისა“ (ფშ.
ივერ. 1889 № 215).

გაბტყვნილი (მთ., გულ.)—ნ. გა-
ბუმბლული.

გარისვა *) (თ.)—[გ ა რ უ ს ვ ა
(კახ.)] ჯაგრის, ბალნის ან მატყლის
გაცვივნა.

გარსაკრი (კახ.)—[მ ო ს ა რ თ ა-
გ ი (საბა, ქართლ.)—ს ა კ ი კ ი (ხევს.
ქყ.)—ლ ვ ე დ ი (ლენხ.)]—უნაგირის
თასმა (ქართულ უნაგირს სამი აქვს),
რომელსაც უქერენ ცხენის მუცელ-
ზე უნაგირის დასამაგრებლად. თუ
გარსაკრი ქსოვილია, ეძახიან—
ქარშიკს.

გარუსვა (კახ.)—ნ. გარისვა. „რა
ძალიან გარუსულა ელორი“ (კახ.).

გარუჯვა (კახ.)—ცეცხლის აღზე
ბალნის გატუსვა.

გასაბლა (თ.)—ცხენის წინ მხედ-
რის გაძლოლა.

გასვლა (კახ.)—ნ. ასვლა. „ძრო-
ხა კი მიიყვანე, მაგრამ ბულა არ
გავიდა“ (კახ.).

გასინტრიკებული (რაქ.)—ნ. ბუ-
დაყი.

გატუსვა (ქართლ., კახ.)—ნ. გა-
რუჯვა.

გატყავება—საკლავის ტყავის გა-
ცლა.

გატყრომილი (ერწო)—ნ. ბუდაყი.

გაურავებული (გურ.)—ნ. ნაურ-
ვალნი.

გაურვე (გულ.)—ნ. ნაურვალნი.

გაფორიანება—გამოფიტვა, მო-
ძრვებ.

გაფუფქვა (კახ., ქართლ.)—ნ. გა-
მდულრვა.

გაქანებული იორლა (კახ.)—ნ.
თოხარიკი.

გაქირობა (ქიზ.)—ოჩნობა.

გაქუსვლა—ცხენის გაქენება, გა-
ქცევა. „ესე უთხრა და წავიდა, ცხე-
ნი გაქუსლა დეზითა“ (ვეფხ. ტყაოს.
211).

გაშფოთება (ინგ.)—ნ. გალექება.

გაძირებული ერბო (ფშ.)—გა-
დამდნარი ერბო (თ. რაზ.).

გაწამება (მოხ.)—? „ცხვარმა მი-
აღწია კაი ბალახიანს, მჟალად გაი-
შალა და გაწამდა“ (ყაზბ. ტ. II—
260).

გაწამებული (ხევს.)—ნ. თოხა-
რიკი.

გახელისაური (ხევს.)—ნ. გახე-
ლისებული.

გახელისებული (გულ., მთ., მოხ.)

—[გ ა ხ ე ლ ი ს ა უ რ ი (ხევს.) ნ ა-

*) შად. რისვა.

ზარდა (გურ.) — ქოსმენი (ფშ., კახ., ქართლ.) — ნაბამი (ფშ.) ხელზე გასუქებული საქონელი.

გელაობა (ფშ.) — ნ. გელეება.

გელევაბა (საბა, გულ.) — გელაობა (ფშ.) ცხენის მოტრიალება. „გააგელე ცხენი, გზა მოგვეცი.“ (გულ.).

გემრა. (ფშ., გულ., მთ.) — [ღენგრა (ს.) — ბართი (მობ.) — ქურთი (ფშ., გულ., მთ.)] — ცხერის კურკლი, მხოლოდ გემრა ნიშნავს ცხერის ძველ ნებეს, რომელიც შეიძლება აკუზივით მოიჭრას, ქურთი კი — ახალი, ნედლი კურკლია.

გენვა, გამო (იმ.) ხბოს მიერ ძუძუს გამოწოვა. სანამ ძროხას მოწველიდნენ, ხბოს გამოაგენიებენ; „გამოაგენიე ხბოს და დროზე მოწველე ძროხა.“ შეად. მეგრ. გინი, გენი — ხბო (ბერ.).

გერგი (საბა) — [ბაჩა (გულ., მთ., ლეჩხ.) — ბაშტაკი (მობ.) — ჩია (გურ.) — უზდელა (გულ.) — ბაჩაჩა, ბაჩუა (კირ.)] დაბალ ტანის საქონელი.

გერმა — ფრინელის თევითი (საბა.).

გვარი (კახ.) — ნ. ლორთველა.

გვარშერეული (ფშ.) — ნ. გადაგვარებული.

გვერდის ძვალი (იმ., გურ.) — ნ. ნეკნი.

გვერდნარი (გ-კახ.) — ბარკალ და ბექ მოჭრილი ფელიკის გვერდებიანი, ნეკნიანი ნაწილი.

გვიდრი (რაქ.) — ბზესავით — დაფშვნილი ხველი თივა (ბერ.).

გვირაზა (მობ.) — ნ. გრუზა.

გინგლი (კახ.) — ბუსუსი, მაგ. გინგლი აქვს ცურზე ძროხას.

გირკალი (ფშ., თ.) — ნ. კირკალი.

გიშელი (ფშ.) — ნ. გიშერა. „გაიწით თქვენი კირიმე, ჩემო შვინდავ და გიშელა“ (ვაჟა I — 202).

გიშერა (ხევს.) — გიშელა (ფშ.) —

გიშრის ფერი (შავი) საქონელი.

გლეშურძი — ღორის ტყავსა და ხორცს შუა (ბექსედ) მაგარი გარსი, ზოგი ეძახის „ფარა“-ს (საბა).

გლოვად შავი (კახ.) — თავიდან ბოლომდე შავი პირუტყვი.

გოგვა (მთ., გულ., იმ.) — [ბოზვა (საბა, ქიზ.) — ქევექევი (ფშ.) — მეერნობა (საბა)] — ცხენის კრთომით სიარული, მიწას რომ ფეხს ეწო ანდობს. „აღმართში ვიყავ მერანი, დაღმართში დავგოგდეზოდი“ (ხალხ. სიტყვ. 7).

გოლაფი. (რაქ.) — ნ. ასელა, გოლა (ე), გოლა (ე)! — ეუბნებიან მოზვერს, ძროხაზე რომ მიუშვებენ, ე. ი. გადი ზევითაო. მეგოლარე მოზვერი, — რომელიც აეარდნილ ძროხას დასდევს; მეტფ. — ცულ ყოფაქცევის კაცზე იტყვიან „რავა მეგოლარე მოზვერით დარბიხარ, არა გრცხენიან?“ (ბერ.).

გომი (კახ.) — ნ. ბოსელი. „ზოგი ერთი წუწკი კაცი ცოლით გაეყრება ძმასა, წავა და გომში დადგება, გვერდზე გამოუღებს კარსა“ — (გ-კახ., ხალხ. სიტყვ. 115).

გონთა ხბო (თ.)—ნ. ხბოშერი.

გორანგო (კახ., საბა).—ლორის ზევითა დიდი კბილი, ეშვის საღე-საღი.

გოსი—გოსი (მოხ.).—ნ. თფუჩი.

—გაჰი—ლორის პატარა შვილი.

გოხინება — ლორის ტრუხუნე (საბა.).

გრემა—ნ. ყომყრალი.

გრო—ნ. გუნდი. „ვითარცა გროი შავარდენტა, მოფრინდა ყოველი მხედრობა“ (ქართლ. ცხ. ქიკ. 305).

გრუზა (კახ., ქართლ.)—[გვრი-ზა (მოხ.)—დაკრაწილი (ხეეს. ა. შან.)—დაქრეხილი (ფშ. ა. შან.)—ხუჭუჭი თმიანი, ბალნიანი. „იმერეთს ლორი წავასხი, მთა და ბარი ჩამომექცა, ერთი გრუზა ლორი დამრჩა, ისიც უკან გამომექცა“ (კახ.).

—გუგა თვალისა (ქართლ., კახ.)—[ბია თოლი (მოხ.)—ცეცხლი თოლი (გუდ.)—თვალის ცეცხლი (ხეეს.)—თვალის გუგათი (თ.)—თვალის სინათლე (ფშ., ა. შან.)—თვალის ჩინი (ქართლ.)—თვალის კაკლის შუა პატარა მრგვალი (შავი) ნაჩვრეტი.

გულა—ხბოს, თხის ან ცხვრის ტყავი მთლიანად ამოღებული. ხმა-რობენ სხვა და სხვა მიზნით. ცხვრის გულას—მხოლოდ ყველის შესანა-ხად, ხბოს და თხისას კი—ფქვი-ლისთვის, მარილისთვის და სხ. ხეესურეთში არჩევენ გულდებს: სა-საგძლე, ხაშუნა, ქეშლურა, თიკრუნი, ქინთი (ა. შან).

გულანური (ხეეს., გუდ., მთ.)—[დურა (ფშ., თ.)]—ცხვრის ტყა-ვისგან გაკეთებული საზამთრო წა-მოსასხამი, გძელ ბეწვიანი; საბნა-დაც იხმარება (ა. შან.).

გუთნეული (ქართლ., კახ.)—გუ-თანში შესაბმელი ხარ-კამეჩი, რომ-ლის რაოდენობა ქართლ-კახეთში რვა ულამდე აღწევს. „სადა ხარ, კაცო,—უთხრა ქიტესამ ღამის მეხ-რეებს, როცა იმათ გუთნეული მო-რეკეს“ (შ. არაგვისპ. ქართ. მწ. I—67).

გულავშარა (ქართლ., კახ.)—უნა-გირის მოსართავი, რომელიც გა-მობმულია წინა გარსაკრზე, ვაივ-ლის სამკერდულში და მიეზმის აღ-ვირის ჯილაგზე. ხმარობენ იმ მიზ-ნით, რომ ცხენმა თავი დაბლა დაი-ჭიროს და მისი კისერი დაემზავ-სოს გედის კისერს.

გულარალო — ნ. ოზანი. „თუ გულარალო ცხენი მიჰყიდოს კაც-მან კაცსა, თუ გულარალობა არ უთხრას, უზლოს“ (სამართ. აღბულ. 171).

გულის პირი (გუდ., მოხ., მთ.)—[გუძუნძლო (ქყ.)]—ფრინვლის მკერდი.

გულის ფიცარი (ქართლ., კახ., ფშ.)—მკერდის ძვალი. „შხამიან ის-რებს მესვრიან, გამიპეს გულის ფი-ცარი“ (ვაჟა I—125).

გულფილტვი (კახ., ქართლ.)—გული და ფილტვი საკლავისა.

გულ-ღვიძლი (კახ., ქართლ.)—საკლავის გულფილტვი და ღვიძლი

„მომკვდარა ქისტი მუცალი, თვალნუნდა ვსჭამენე ყმისაო, გულ-ღვიძლი ამოვარიდო, კალთა დავხურო მხრისაო“ (აღუდა ქეთელ. 10).

გულრონჩი (იმ.) — გულის ყაფაზი.

დაბალი (ქართლ., კახ.) — ტყავის გამომყვანი, გამკეთებელი. «ცხვარი და თხა რაც დაიკელის, იმისი ტყავიც იჯარადრისა არის, თითო შაურად დაბაღს მისცემს» (დასტ. 92).

დაბაზანა — შენობა, სადაც ტყავს ამუშაებენ.

დაგნავება (რაქ.) — ნაბალახევე, გამაძღარ საქონლის ერთად თავის მოყრა დასასვენებლად (ბერ.).

დაგრიღება (ქართლ., კახ.) — ნ. დამაკება.

დადაღვა (ქართლ., კახ.) — დაღის დასმა.

დავარდნილი საქონელი: ქართლ., კახ.) — [ჩაკუტებული (ერწო)] — სიჯანდავის თუ ავადმყოფობის გამო დაუძღურებული და მუშაობისთვის უვარგისი საქონელი.

დაზეფილი ტყავი (ქართლ., კახ.) — მოქნილი ტყავი.

დაკვერცხილი — საკვერცხეში კვერცხის მქონე ფრინველი. „დაუწყო მას ბალახს ჭამა (დედალმა კაკაბმა) და ასე გახადა, რომ მუცელიც დააშვებინა და დაკვერცხილს დაემსგავსა“ (თიმსარ. 38).

გუნდი (კახ.) — [ბონა (გუდ.) — თარა მოხ.] — ხრო (თ.) — გრო (ჩუბ.) — ფრინველთ კრება, გროვა. გუძუნძლო (ქყ.) — ნ. გულის პირი.

გუჯაბი (იმ.) — ნ. შიგანი.

ღ

დაკვლა — საკვავ საქონლის ყელის გამოკრა.

დაკლეტა (ქართლ., კახ.) — მძუნაობის შემდეგ ძაღლები ერთმანეთზე რომ გადაეჭმიან.

დაკოდვა (ქართლ., კახ.) — ნ. დაცვერა.

დაკარწილი (ხევს.) — ნ. გრუხა.

დაკუღნა (გურ.) — ქათმის ან სხ. შინაურ ფრინველის ბოლოს (კუღის) დაგლეჯა (ა. შან.).

დალანდვა (იმ.) — ჰაერზე კვერცხის გაჭვრეტა.

დალახჯა (ინგ.) — ნ. ასვლა.

დალურსვა (კახ.) — საკბენლად გამზადებულ ცხენის მიერ ყურების უკან გასწორება.

დაღრიღება (ქართლ., კახ.) — [ჭიკუნაობა (მთ., გუდ.) — აჯილღობა (ხევს.) — დასავესება (გურ.) — აჯილღის და ქაკის შორის სქესობრივი აქტი. უკეთეს ამ აქტს მოჰყვა საშვილოსნოში ხაყოფის ჩასახვა, მაშინ იტყვიან: დაგრიღდა, იჭვენა, იაჯილღდა და სავსდა.

† დამაკება* (კახ.) — [დ.წ.ღობა (ქართლ.) — დეენა (გუდ., მთ.) —

* ფშვში ქალხედაც იტყვიან „დამაკდაო“ (ა. შან.).

ხარობა (მობ., ხევს.)—კეთილობა (ხევს. ა. შ.)—ბულის და ფურის შორის სქესობრივი აქტი. უკეთუ ამ აქტს მოჰყვა საშეილოსნოში ნაყოფის ჩასახვა, მაშინ იტყვიან: **დამაკდა, დაინდო, იდევნა, იხარა, იზოვა** (ხევს.).

დამალი (კახ., ქართლ., გუდ.)—[ტაბახი (გურ.)]—ცხენის მაგარი სასა ჩამოსული, დასიებული. **დამალი** იცის ქერ ნაჩვევმა ცხენმა, თუ დანიშნულ დროს არ მიეცა ქერი, ან თუ სხვა ცხენი სჭამს ქერს და ის კი უყურებს.

• **დამდგარი** (ხევს.)—ნ. კაპოეტი.

დამერვა—ცხვისა და ბატჯანის შერევნა (საბა).

დამლა—**დალი** (კახ., ქართლ.)—გაცხელებულ რკინით საქონლის ტანის რომელიმე ნაწილზე რაიმე ნიშნის დასმა.

დამძაღება (ქართლ., კახ.)—ერბოს გამწარება.

დანდალი (საბა)—ლაგამი. ძველ დაბადებაში ნახმარი დანდალი ახლად დაბეჭდილში შეცვლილია ლაგმად.

დანდობა (ქართლ.)—ნ. დამაკება.

დაოხება (კახ., ქართლ.)—ცხენის ოთხით გაჭენება.

დაპოხვა, გაპოხვა, (ფშ., ხევს., კახ.)—ქონის ან სხვა რაიმე ცხიმის წასმა (ნ. საპოხი). „ახლა ბანდულებს მიმართა, დაპოხა, გაბლანდა; წრიანის თასამებიც დაპოხა“ (ვაჟა, ქართ. მწ. I—19).

დაპურება (იმ.)—ქმევა. „დოუჯიქინე ქათმებს და დააპურე“ (ბერ.).

დაჟოღვა—ძმარში ხორცის ჩაღება (საბა).

დარასტვა ცხენისა (ჩუბ.)—ცხენის გასუფთავება, გაწმენდა.

დასისული კვერცხი (რაჭ.)—ნ. ლაყე.

• **დასრულებული** (მთ.)—ნ. კაპოეტი.

დატიტული (საბა, გუდ., მთ.)—[მლაშე (კახ. ქართლ.)]—მეტის მეტად დამარილებული.

დაუღლული ხარი (ზ.იმ.)—ულელში ნაბამი საქონელი. „ხეთიშობელო შენ მომიკალ ჩემი ოჩობიდა ქმარი, შემოგჭირო თეთრი კრავი, მასთან დაუღლული ხარი“ (ხალხ. სიტყვ. 17!).

დაფერცხვა (ქართლ. კირ.)—[მეგველაობა (გუდ.)]—დედალ საქონლის დეგნა დასამაკებლად.

დაყველება, შეყველება (კახ., თ.)—ნაკვეთის მოსვლა.

† **დაყვერვა, დაკოღვა** (ქართლ. კახ. საბა)—[დაწმენდა (გურ., იმ.—ბერ.)—გაკეთება (მთ., გუდ., ერწო)]—მამალ საქონლის სათესლე კვერცხების (კაკების) ამოღება, რომ უფრო მორჩილი და მშვიდ ხასიათისა იყოს. ერწოში: ხარი—**დაყვერე, კამეჩი—გაკეთე, ცხენი—დაკოღე.**

დაყვი—ნ. იდაყვი. „დევი შემაკვდა, დაყვიგან დავასე დასანანებლად“ (ბესიკი 137).

დაყრა სუნისა (ფშ.)—სუნის აღება, სუნის გრძნობა. „მეცხვარე უიარალოა, იმისი ნუ შეგეშინდება, მაგრამ ის ძალი დიყრის ჩვენს სუნს და იქნება გამოგვეკიდოს“ (ვაჟა, ქართ. მწ. I—30).

დაყუნთებული (ფშ.)—დასკუპებული, (ძალი, ბაყაყი—ა. შან.), ალაზე მჯდარი. „მთელ კვირას დაყუნთებული ზევეზე საბრალოდ ყმუოდა“ (ვაჟა I—155).

დაშაშვრა (ქართლ., კახ.)—ზოლებად დაჭრა, დასერვა. საქონელს დაუშაშრამენ ხოლმე სიმსივნეებს. „რაკი ჯავრი ამოიყარა, ცა დაიშაშრა და უჯრებათ დაიწყო“ (შიო არაგვისპ. ქართ. მწ. I—75).

დაჩითული (გულ., მრ.)—ნ. ქარმაგი.

დაჩეჩა (ქართლ., კახ.)—მატყლის დაწეწვა.

დაჩნევა (მოხ., ერწო)—ნ. მჩნევიარი.

დაწკება (ქართლ.)—მათრახით ცხენის ცემა. „რა მოვიდნენ ქალაქით, მაშინვე დაწკიპეს ცხენები და რა მიეწივნენ, შიგ (მტრის რაზმში) დაერივნენ“ (პავ. ორბ. 403).

დაქრეხილი (ფშ.)—ნ. გრუზა. „გულს უმაგრებენ ჩალხიას, გმირნი ტყავ—ჩოხიანები, დაქრეხილ ფახახიანნი, ხმა მელრინავ—ბოხიანები“ (ვაჟა I—120).

დახვეტა (ქართლ., კახ.)—მოგროვება მაგ. ნეხვისა, „ბიჭო, ნეხვი დახვეტე“.

დგენა (ძვ.)—ნ. დოლი. „მოედანს მღერა, ბურთობა, დგრიალი ცხენთა დგენისა (ვეფხ. ტყ. 1100).

დგრიალი—ცხენის ფეხის ხმა (აბულ.).

დედა (კახ., ქიზ.)—ნ. კვეთი.

დედანი (მთ.)—ნ. ბუდე.

დედელო. (გულ., მთ.)—ნ. დიდილო.

დეზი, წრტიალი—ცხენის საჩხვლეტელი, რომელსაც იკეთებს მხედარი ფეხსაცმლის ქუსლზედ. „ესე უთხრა და წავიდა, ცხენი გაქუსლა დეზითა“ (ვეფხ. ტყ. 211).

დეკველ (ინგ. ჯან.)—ნ. დეკეული.

დეკეული (ქართლ., კახ.) [დი აკეული (ძვ.)—დეკნა (გურ.)—დეკეველ*] (ინგ. ჯან.)—საფურე ხბო წლიდან სამ წლამდე. გულამ. და მთიულეთში წლის ხბოს ეძახიან „კვებულას“, ორი წლისას—წიქარა.

დეკნა (გურ.)—ნ. დეკეული.

დელამა (ქართლ., თ.)—ნ. ნაკვეთი.

დელამო (ფშ.)—ნ. ნაკვეთი.

დელამოწი (თ.)—ნ. ნაკვეთი.

დელამუტი (ქართლ.)—ნ. ნაკვეთი.

დემფილა (ქართლ. ქუ.)—[ც აკეთებული (გულ., მთ., მოხ.)—გამძლე ქებული (ხევს.)]—მსუქანი ძროხა

დენგრა (საბა)—ნ. გემრა.

*) თუშურად „დიკველა“ — საფურე ხბო წლამდის.

დვრილი (ქართლ.)—უტრის კინ-
თის სარძეო მილი.

დვრიტა (ქართლ., კახ.)—ნ. კვეთი.

დვრიტა (კახ., ქართლ., ქიზ.)—
ნაწი (ჩუბ.)—მცობხნავ ჩვილ სა-
ქონლის მეოთხე განყოფილება, რო-
მელიც შეიცავს კვეთს.

დიაკეული (ძვ.)—ნ. დიკეული.
„და რქუა მას, მომგვარე მე დი-
აკეული სამი წლისა“ (დაბ. 16,9).

დიდგე (ინგ.)—ნ. დიდილო.

დიდრიკა (გულ.)—ნ. წურწუკი.

დიგნე (გურ.)—დამწვარი, დამ-
პალი ნეხვი.

დიდიშვი (იმ.)—ნ. დიდილო.

დიდილო (გ-კახ.)—[დ ე ე დო (მთ.,
გულ.)—დიდი დე შვი (იმ. ბერ.)—
დიდგე (ინგ. ჯან.)—ფურის მო-
წოდება.

დინგი (ქართლ., კახ.)—[ნიკეე-
ლი (საბა)]—ლორის ზედა ტუჩი
ცხვირის ნესტოებით.

დიჩ (ინგ.)—ძროხის გასაგდები
ხმა (ჯან.).

დო (ქართლ., კახ.)—მაწვნიდან
კარაქის შედღვეების შემდეგ დარ-
ჩენილი სითხე. „მე წვილას ვთხოვ-
დი, ის დოს მოატლაკუნებდა“
(ხალხ. სიტყვ. 145).

დოდა (თ.)—ნ. ბახი.

დოლა (საბა, კახ.)—ნ. ბოკოლა.

დოლა (ქართლ., კახ., გულ., მთ.)
—[ქოლიკი (საბა.)]—ურქო სა-
ქონელი.

დოლი (ქართლ., კახ.)—ცხვირის
და ლორის ფარაში ბატკანის და
გოქის მოგების ხანა.

დოლის თავი (კახ., თ. მოხ.
მთ.)—დოლში გაჩენილი პირველი
მამალი ბატკანი. „გულა შავიდა
თავის სოფელში, რათა ხატში წა-
ეყვანა დოლის თავი“ (ყაზბ. ტ.
I—117).

დოლფარა (კახ.)—სალორეში
ერთ მეტრის სიგანით და სიმაღ-
ლით შემოწნული ალაგი, სადაც
ფარის მაკე ღორი ჰყრის გოქებს,
ან აგდებენ შიგ ახლად მოგებულ
ლორს გოქებით.

დომხალი (კახ., ქართლ.)—გა-
წურული, სანელით არეული დო.
„ქვა, მიწა უზარმაზარი ხეები მო-
აქვს ერთმანეთში დომხალივით
არეული“ (ყაზბ. ტ. I—88).

დონდარი (იმ.)—ნ. ფეშანგი.

დორდლი (ფშ.)—დორბლი, პირ-
ზე გამომდვარი ქაფი დაღლილო
ბისაგან (ა. შან.).

დოსძირი (მოხ.)—მოგროვილ
ნაღებს როცა ჩაასხამენ სადღვე-
ბელში, ნაღების ქილაში რჩება ნა-
ღებიანი რძე, რომელსაც ეძახიან
„დოსძირ“-ს.

დოდვა (ხევს.)—დოლში აღებუ-
ლი ჯილდო (ა. შან.).

დოდი (კახ., ქართლ., გულ., მთ.)
—[სადგანი (თ.)—მარულა
(იმ., გურ.)—დგენა (საბა)] ცხე-
ნების ქენებაში შეჯიბრება.

დოყვი—ირმის ჩვილი რქა (საბა).

დოშაყი (თ.)—ნ. დუშაყი.

დოჩი (გურ.)—ნ. ბოჩოლა.

დრონი (საბა)—ნ. ასო-ასო.

დრუილი ძუძუს თავი (საბა).
 დუღი (გურ.)—ნ. ბიბილო.
 დუღია (გურ.)—რქა მოტეხილი ხარი (ა. შან.).

დუმა—ცხვრის კუდის ქონი.
 დუშბაი (ინგ.)—ქათამი, რომელ-საც ბოლო არა აქვს (ჯან.).

დუშეული. (ერწო) — დუმიანი ცხვარი.

დუმის სარჩული (კახ.)—დუმის სარჩილი (ერწო)—ცხვრის დუმის პატარა ნაწილი, რომელიც არ არის დაფარული მატყლით და ტიტველაა.

დუნჩი (გურ.)—საქონლის ტუჩი. „ბევრჯერ სოფონას და ოქრუას სიყვარულით მიუკრავთ გულზე თავიანთი შანგულაის და ბუღიას დუნჩი“ (ე. ნინოშვი. ქართ. მწ. I—180).

დურა (ფშ.)—ნ. გუდანური, тy.тy.тy.
 დურალი (ქიზ., თ., ფშ., მოხ.)—ავადმყოფობა, რომელიც ზაფხულობით უჩნდება ზამთარში შეცვივნულ ცხვარს. „აული სევედამ დასთრთვილა და დაადურადა“ (ყაზბ. ტ. II—106).

დურაყათი (თ.)—ნ. ბითლა (?)
 დურკი, ტაგანი (თ. ფშ.)—[საჭველელი გ-კახ.]—საქონლის საწველი სარძეული. ტაგანი ხის ღრუა, უსალ-

ტო, მხოლოდ ძირი აქვს გაკეთებული; დურკი კი გაკეთებულია ფიცრის ნაჭრებიდან.

დუსხა (ხევს.)—ძროხის კოჭი (ა. შან.). (ნ. ვეგი).

დუქარდი (ფშ., თ., კახ.)—მაკრატელი (გუდ., მთ.)—საპარსეელი (ხევს.)—ცხვრის საკრეკი დიდი მაკრატელი. (გოდამყარში და მთიულეთში დუქარდი ჰქვიან ტანისამოსის მაკრატელს. ა. შან.).

დუშაყი (გუდ., მთ., მოხ.) [დოშაყი (თ.)—პალვანდი (საბა)—ფარვანდი (რაჭ. ბერ.)—ტოილო (საბა); თუ რკინისაა—ბორკილი (ქართლ., კახ.)—ბერკილი (სვან.)]—ცხენის ფეხზე ბორკილივით გაკეთებული თოკი, რომ ცხენი ძოვნის დროს არ გაიქცეს. ხან უკეთებენ დუშაყს ერთ-ერთ მხრის წინა და უკანა ფეხზე, რომ იორლა ასწავლონ. „გაზაფხულზე რომ ცხენები დაიბმის, მაზმნებს სძევთ ხუთი ტოილო-დუშაყი“ (საქ. სიძე. II—527).

დღის მხარე (ქართლ., კახ.)—მეხარე, რომელიც დღისით ჰყარაულობს საქონელს საძოვარზე. „სოსომ და მეორე დღის მხარემ გუთნის ხარი აშაღეს და წინ წაირეკეს“ (შ. არაგვისპ. ქართ. მწ. I—72).

2.

ეზო (ხევს.)—ნ. ბაკი.
 ელენთა—[ფაწილი (გ-კახ.)—
 ტალახა (ინგ.)—ტყირაბი.
 ელქაჯი (საბა)—ნ. ვაცი. „ელ-
 ქაჯს ვჰკრი, ენას დაეასვი, გახდის
 სიცოცხლე—მღურვითა“ (ბესიკი
 137).
 ენოტი—ცხენის კარგად გამ-
 წვრთნელი (საბა).
 ერამუკ (ინგ.)—უშობელი ფურ-
 კამეჩი (ჯან).
 ერბო—გადამდნარი კარაქი.
 ერბოყველა (გულ.)—ნ. ჯიკა.

ერკეშალი (საბა)—[ერკეშალი
 (მოხ.)]—ნ. ყოჩი. „ფურ-ბერწებს
 მრავალს მოგირეკ, გასუქებულ ერ-
 კამლებსა“ (მოხ.).

ეშვი—გარეული ღორი. „გულ-
 დრკუ, ხენეშნი, განმრყენელნი ეშ-
 ვნი“ (აბდულ-მესია 36).

ეშვი—[ქილი (იმ.)—ლოჯი
 (გულ., მთ.)—ლჯილი (ლეჩხ.)—
 მშვანი (ჩუბ.)]—ღორის ქვედა
 დიდი კბილი, რომელიც ილესება
 გორანგოზე. „წამოწოლილა გრუ-
 ზუნა, ეშვები დაუღესია“ (ხალხ.
 სიტყვ. 382).

3.

ვარდა — рыхевато—соврасо-
 вый (?). „მივეცი შეიდი ჯორი
 ვარდა (შიო-მლ. საბ. № 67).

ვარია (ქართლ., კახ.)—[მოჩხო-
 როზი (გურ. ქყ.)—მოჩრუხი
 (ერწო)—მოჩოთი (იმ.)—ხეი-
 ჩილა (გურ.)]—ფრთა შესხმული
 წიწილა, რომელსაც შეუძლიან შე-
 ფრენა. „თუ ვარიობა არის,—რეა
 ვარია; თუ ვარიობა არ იყოს—
 ქათამი“ (დასტ. 90).

ვარია (საბა, გულ., ერწო)—ნ.
 სადლობელი. „გულსუნდული მოსა-
 ვალი, ვარიაში ჩაყვარეო“ (ქართლ.
 ხალხ. სიტყვ. 262).

ვაჟა (იმ.)—ნ. ულაყი.
 ვაშტი—მოლაშქრე, გინა ცხენო-
 სანი (საბა).

ვაცი (კახ., ქიზ., იმ.)—[ბოტი
 (გულ., თ., მოხ.)]—დაუკოდავი თხა,
 რომელსაც თხების ფარაში უშვებ-
 ბენ, როგორც მომშენებელს. ვინაი-
 დან იგივეა წინამძღოლი ცხვრის
 ფარისა უმთავრესად, მასვე ეძა-
 ხიან: ვაცი (კახ., ქიზ.)—ქეჩი (გულ.,
 ხევს.)—ელქაჯი (საბა). „და გან-
 ყენა დღესა მას ვაცინი სხურებულ-
 ნი“ (დაბ. 30,35).

ვაციკი (საბა)—ნ. ვაცუნა.

ვაცუნა (გულ., მთ.)—[ვაციკი
 (საბა)]—მამალი თხა წლისაზე ზეტი.

ვეგი (ძვ.)—[ლუსხა (ხევს.)]—
 საქონლის კოჭი, რომელიც ძვეს
 თხუსის საღსარში. „ვერას განვჰს-
 წონდი ვეგზედან, მწვადი (ეცხლს
 მაქენდის მცერიანად“ (ბესიკი 138).

ვეფანა (მთ.)—კანჯარა (ფშ.)—
კყარა (ერწო)—კრული (გუდ.)—
კრომახი (იმ. კყ.)—კერემა
(გურ.)—ტილურა (იმ.)—ვეფხვი-
ვით ქრელი საქონელი.

ვერანი (გუდ.)—ნ. მერანი.

ვეროსანი—? „ლუარსაბ მეფე

იყო „ცხენოსან-ვეროსანი (ქართლ.
ცხ. ქიკ. 732).

ვერძი (ძვ., ხევს.)—ნ. ყოჩი. „ღ
რქუა მას, მომგვარე მე დიაკეული
სამი წლისა და ვერძი სამ წლისა“
(დაბ. 15,9).

ვზინდარი—ნ. ზინდარი.

ზ.

ზაბილი--ნეხვი (ჩუბ.)

ზალი (გ.-კახ.)—ნაკლი, უმთავ-
რესად დაფარული. „თუ რამე ზა-
ლი არ გამოაჩნდა ამ კამეჩს, მარ-
თლაც ერთ რამედ ეღირება“ (გ-
კახ.), ან—„რა კაცსა ღვინო ზაღ-
სა შეაყოლებს, თუ უკუდაებაცა
არის, ადრე აღარ მოუნდების“
(ვისრ. 321).

ზალა (თ.)—ნ. ზარ-წყალი.

ზანგელა (საბა)—[ჯვარელა
(ფშ.)—ჯორელა (მთ., გუდ.,
ხევს., მობ.)—კაბელა (იმ.)—კა-
ბია (გურ.)—ქრელი ხარი და ფუ-
რი (შავი და თეთრი). „მან უთ-
ხრა „ზანგელა ხარი უარშიობსო“
(სიბრძნ. სიტრ. 89).

ზანდაროზი (საბა)—[აღარო
(გურ.)—ფრინველის კურტუმიდან
გამონადენი ცხიმი, რომელსაც
ფრინველი დილ-დილობით ნისკარ-
ტით ისევამს ფრთებზე ზ ბუმბულზე.

ზანტი (კახ., მთ.)—[ზონტი
(მობ.)—ზანტლი (ხევს.)—ყამი
(ფშ.)—მძიმე (მობ.)—რაბანი
(რაკ. ბერ.)—წყანარლი (სვან.)]

—მუშაობაში ნელი და მძიმე საქო-
ნელი. საერთოდ ზარმაცი. „ფიცხ-
ლა წავეუღეთ ქალაქი, არ თავი გა-
ვაზანტენით“ (ვეფხ. ტყ. 601).

ზანტლი (ხევს.)—ნ. ზანტი.

ზარვა, იზარება (გუდ.)—[მო-
გება (ქართლ., კახ., მობ.)—ზე-
ბა, —იზეება (საბა)—იზაალ
(სვან.)—ზობა (ინგ. ჯან.)—სა-
ქონლის მიერ შეიღის გაჩენა.

ზარმელი—ნ. სერი (ჩუბ).

ზარ-წყალი (ფშ.)—ზალა-წყა-
ლი (ხევს.)—წყალი და სისხლი
მუწუქიდან გამოსული. (ზალა თუ-
შურად ჩირქია, ა. შან.).

ზაქი (ქართლ., კახ.)—[ლოლო
(ქართლ, ზ-იმ., გურ.)—კოტი,
კოტი (იმ. ბერ.)—კამეჩის შვილი.
ქვემო იმერეთში პატარა ზაქს ჰქ-
ვიან კოტი, შემდეგ კი—ზაქი.
„ეს კამეჩი ზაქით უკვდავია, ვი-
საც აბარია“ (დასტ. 118).

ზგელ-ფეხი საქონელი (ხევს.)
—ნ. ძროხა (2).

ზე (თ.—ა. შან.) ნ. რძე.

ზეგნური (მოხ.) — [თ ა ვ ა ნ ი (იმ.)] — ბოსლის თავზე ჭერი საკვების შესანახავათ (ბერ.).

ზედაგარდა — საქონლის დასაბმელ კრკალის გარდასაცვამი (ჩუბ.).

ზერდაგი (საბა, ხევს.) — ზერდაკი — ოქროს ფერი ცხენი, ყვითელი ცხენი. „ადგა, შახკაზმა ზერდაგი, ზედ თაო შეჯდა მზრინანი.“ (ხევს. ივერ. 1888 № 43).

ზერდაკი — ნ. ზერდაგი. „მოვიდნენ კაცნი ინდონი და მათ კაცთა ჰყვათ ტაიკი ზერდაკი, თოხარიკი“ (ამირ. დარეჯ. 43).

ზვარა (საბა, კახ.) — ზორა, ბერ — ზორა (გულ., მთ.) — კურაქტი (კახ., ქართლ.) — ასახელეზული (ხევს.) სულდგმული (მოხ.) — ხატისთვის შეწირული ხარი თუ მოზვერი.

ზევება — ნ. ზარვა. „ველსა ზედა ირემი იზევებოდეს“ (ისაია.)

ზიარი (ქიზ., კახ.) — სხვის საქონელი საშენებლად აყვანილი.

ზილფუში — ორთუქი, ქეჯიმი (ჩუბ.).

ზინდარი, ვზინდარი — ცხენის მრთველი, შემკაზმელი. „ზინდარებს იარაღები (ცხენისა) აბარიათ. რომ აიყაროს ბატონი, ცხენები იმათ დაკაზმონ“ (დასტ. 114).

ზის ცვარი (ხევს.) — ნ. რძე.

ზჷულილი (კახ., ლეჩხ.) — ნ. ბუბუნი.

ზობა (ინგ.) — ნ. ზარვა.

ზოლი — ნებვი (ჩუბ.). „ნიფხვითა ოდენ გაშიშულებულად ზოლოთა შვიდთა ბიჯთა ჩაათრიონ“ (სამართ. აღბულ. 13).

ზონტი (მოხ.) — ნ. ზანტი.

ზორა (მთ., გულ., მოხ.) — 1) ხბო, სანამ ძუძუს აბია; 2) ხატი-სთვის შეწირული ხარი. (ნ. ზვარა.) (მარჯვენა ბეჭი და მარჯვენა ყური უნდა შეეტუსოს წმინდა სანთლით დაკოდვენ, ამუშაებენ. კურატი არც დაიკოდება და არც უღელში შეიბმება. შვიდი წლის იქით არ აცოცხლებენ. დაჰკლამენ ან სამის, ან ხუთის, ან შვიდის წლისას; ორისა, ოთხისა და ექვსი წლისა არ დაიკვლება — ა. შან.).

ზროხა (ინგ.) — ძროხა (ჯან.).

ზურგათი (თ.) — ნ. ზურგ ამოზნექილი საქონელი.

ზურგის ჰკდე (ხევს.) — ხერხემალი (ა. შან.).

ზურგ-ჩაქცეული (მთ.) — ნ. გადაბანი.

ზღავი (ფშ., მთ.) — [ზღვე (ქართლ.) — ბ ა გ ა, ბ ო გ ა (გურ.)] — ბოსელში ახლო-ახლო მილაგებულ მარგილის სისხო გათლილ ხეების ან ფიცრის იატაკი.

ზღვე (ქართლ.) — ნ. ზღავი, ჯგენაცვა შავო კამეჩო, რა დავაშავე შენზედა, ზაფხულს გითიბე ბალახი, ზამთრივ დაგაბი ზღვეზედა“ (ქართლ. ივერ. 1890 № 6).

თ.

თავალი (ხევს.) — [თავილა (დასტ.)]—ნ. საჯინიბო. „უხენსა უკაზმევენ მსახურნი თავალში ყელ-ალეზუსა“ (ხევს., ივერ. 1890 № 239).

თავანი (იმ.)—ნ. ზეგური.

თავბატკანი (გუდ.)—ნ. ამლიკი. **თავგამზიდვარი** ცხენი (ჩუბ.)—ნ. ქედფიცხელი.

თავგამტაცი (მოხ.)—ნ. ქედფიცხელი.

თავლა (კახ., ქართლ.)—ნ. საჯინიბო. „რომელიც ჩვენი თავლა იქნებოდეს ბედაურის ცხენისა, ულაყისა, ჯორისა და სეისხანისა, ცალ-ცალკე დავთარი დაიჭირონ“ (დასტ. 40).

თავილა (დასტ.)—ნ. საჯინიბო. „უნდა უქეშვიკონ ბატონის თავილას“ (დასტ. 34).

თავილდარი—(დასტ.)—ნ. თავილდარი. „თავილდარს ოპანეზას და გაბრიელს დააბეკდენა“ (თავგადას. იესე ოსესშვილისა 120).

თავლახანი (ჩუბ.) ნ. საჯინიბო. „გვიოხრეს, ყაუშხანა და თავლა-ხანა ნახეთო“ (რუსულ. 351).

თავლიდარი (თავილდარი)—საჯინიბოს გამგე. „სამეჯინიბო ბატკანიც თავლიდარს ებაროს“ (დასტ. 41).

თავნართმევი (რაჭ.)—ნ. ნაღები.

თავრიელი (ქართლ.)—[თავრიელი (ხევს.) თავრილა (გუდ.)

—თავრილა (ინგ. ჯან.)]—საქონლის თავ—ქალას ტყავი. „შენს ოჩხარში ფულად იყო კამეჩების თავრიელი“ (ხალხ. სიტყვ. 327).

თავ-ფეხი (ქართლ., კახ.)—საკლავის თავი და ფეხები. „რაც საკლავი დაიკლვას, თავ-ფეხი ამათ წაიღონ“ (დასტ. 73).

თავლორი (მოხ.)—ნ. ქედფიცხელი.

თათბურა (იმ.)—ნ. ჩობალი.

თათხვა (იმ.)—ნ. ფაფუნა.

თართი (საბა) — [ბოლღეკრა (ქიზ., კახ.)] — საცხვრე დიდი ძალი (საბა).

თარქი (ფშ.)—[წელი (ქართლ., კახ.)]—საქონლის ნაწილი გავიდან უკანასკნელ (კულიდან პირველ) ნეკნამდე.

თარყაუშობა (ფშ.)—ძალიან კოკლობა (ა. შან.).

თაფლა (ქართლ., კახ.)—ნ. სარია.

თაფლის სუკი (კახ.)—ფალანგის ზივითა ნაწილი, რომელსაც სალახი ლვიძლს გაატანს ხოლომე.

თაფხუნი (მთ.)—ურემში შებმულ ცხენის პატარა კეხი.

თაფხური (ქართლ.)—[თაფხურის მოსართავი (მთ.)]—თაფხურის თასმა, რომელიც გადატარებულია თაფხურზე და შემოკირებულია ცხენის ურმის ყელზე. „ერთი კვიცი მეც გავზარდე, თავლას

მიბია მეცაო, ოთხსა თაფხურს მო-
უქერენ, ერთი არ დაადგესაო“
(ქართლ. ხალხ. სიტყვ. 194).

თაქალთო (საბა, გუდ., მთ.)—
[თექალთო (კახ.)—თიქალთო
(თ.)—თოლქათო (ლეჩხ.)]—უნა-
გირის ქიეშ საფენი მეორე ნაბადი,
საოფლის ზევით. „ზედაური ცხენი
ერთი, უნაგირი მურასა ოქროსი,
თაქალთო ხალასად ნაკერი ერთი“
(საქ. სიძვ. III--491).

თზე (ხევს.)—ფრთა. „თქვენთან
მეწადა არწივნო სმა-ჰამა, ლხინი
გძელია, რა დადგას უდარობაი,
დამაფარნიდით თბენია“ (ბეს.
გაბ. 251), ან—: „მაწვიმდა
ტყვია წამალი, როგორც თზე ბორ-
ბალს წყალი“ (ხევს., ივერ. 1887
№ 264).

თებო (თ., ფშ., ქიზ.)—ცხვრის
ტყავის ცხიმი, რომელიც აქონია-
ნებს და აყვითლებს მატყლს. თე-
ბო ინახავს მატყლს სიმშრალე-გა-
ბმობიდან.

თევრი (ფშ.)—ნ. თერგი.

თევა (მთ.)—ნ. თეო.

თეზო (იმ.)—ნ. კუქუხო.

თელი (საბა)—პატარა, ძუძუ
მწოვარი გოჭი.

თელმუზი—უმად ნამზადი ყვე-
ლი (საბა).

თეშიანი (ხევს.)—კარგად ნაზარ-
დი რქა (წლიდან წლამდე რომ
დიდ-დიდათ გაიზრდება, ა. შან.)

თეო (ფშ., თ., კახ.)—თევა (მთ.)
—საერთოდ, სადარაჯო ალაგი

ცხვრის ფარის გარშემო, ღამით.
„ძალღებს კი სძინავთ თეოზე, ჯერ
არ გაშლილა ცხვარიო“ (აღუდა
ქეთელ. ხ.), ან—„ლეინო კი მათრო-
ბელი სჯობს, ძალღი თეოზე მე-
ფარი“ (ფშ., ივერ. 1889 № 74).

თერგი (კახ., მთ.)—თეგრი (ფშ.,
მთ.)—ლორის საზამთრო ბუნაგი
ტყეში. „თერგში ღორი ეყრება
გარდი-გარდმო, რომ ნადირი არ
მიეპაროს“ (კახ.).

თექალთო (კახ.)—ნ. თაქალთო.
თექო (ქართლ., კახ.)—ნ. კუქუ-
ხო. „თახესა თეძო შევალეწე, გუ-
ლი ცეცხლი განუგრილე“ (ბესიკი
138).

თვალი (კახ., ქიზ.)—ყველის ნა-
ჩვრეტები. „კარგ თვალიანი ყვე-
ლია“ (კახ.).

თვალის (თოლის) კილო (გუდ.,
მთ., თ.)—ნ. ქუთუთო.

თვალის გუგათი (თ.)—ნ. გუგა.

თვალის სინათლე (ფშ.)—ნ.
გუგა.

თვალის ჩინი (ქართლ., კახ.)—
ნ. გუგა. „თავს გევლებოდე ვითა
ფარვანა და მინახავდე ვითა თვა-
ლის ჩინს“ (შიო თავადი 37).

თვალის ცეცხლი (ხევს.)—ნ.
გუგა.

თვალმაზარა (კახ.)—იტყვიან
კარგ ჯაგრიან ღორზე, რომელიც
ახარებს თვალს ჯაგრის სიდიდით.

თვალ-შავი ცხვარი (ქართლ.)—
თეთრი ცხვარი, რომელსაც მარტო
თვალის გარეშემო აქვს შავი ფერი

შემოვლებული. „ამილანგერიანთ მამასწრეს მინდორში, მამკლეს ცემითა, თვალ-შავი ცვარი წამართვეს, თვალნი ამიმსეს ცრემლითა“ (ივერ. 1891 № 195).

თვალშურთხა (ხევს., ფშ., თ.) — ნ. მარლი.

თვერი, თირთილო (იმ.) — ნ. ბიბილო

თვირთვილა (თ.) — ნ. სისვი.

თითი (გულ., მთ., მოხ.) — ნ. კინთი.

თიკანი (კახ., ქართლ., ფშ.) — ციკანი. „წარვედ ველად ცხოვართა და მომკვარენ მე მუწით ორნი თიკანნი ჩვილნი“ (დაბ. 27, 9).

თიკარუნი (ხევს.) — ნ. გულა.

თიმენჯი — გაკეთებული გამოყვანილი ტყავი. „იჯარადარი (აიღებს) თიმენჯზედ, მეშხედ, თხისტყავზედ თვითო ფულს“ (დასტ. 25).

თინთილა (იმ.) — [ლოფლოფი (ქართლ. კირ.) — თუნთლი (გულ., მთ.) — ულენქეპო (გურ.)] — უნაქუქო კვერციხი, რომელსაც ხანდისხან დასდებს ხოლმე ქათამი.

თინქელა (ფშ.) — ნ. საბერათი.

თირკმელი (ქართლ., კახ.) — [ქაქა (იმ., გურ.)] — ორგანო, რომელიც გამოჰყოფს შარდს. „მე უფალი გამწვილველი გულთა, გამომცდელი თირკმელთა“ (იერემ 17, 10).

თირმაგი (კახ.) [ჩელხულა (გ-კახ.)] — მკათათვიდან მარია მობამდე გაჩენილი გოჭი.

თიქალთო (თ.) — ნ. თაქალთო. თოლქათო (ლექხ.) — ნ. თაქალთო. თოფრა (გულ., მთ., ხევს.) — ნ. ონჯარო. „ცხენმა დააგდას თოფრაი, ოთხზედ. დაიკრას ნალიო“ (ხევს., ივ. 1888 № 78).

თოღორიკი (ხევს.) — ნ. თოხარიკი.

† თოხარიკი (იმ.) — [თუხარიკი (ძვ.) — თუხერიკი (სვან.) — თოღორიკი (ხევს.) — იორლა (ქართლ., კახ.) — ბაჩა (მეგრ.) — გაწამებული (ხევს.) — ნაცულური (მთ.)] — ცხენის სიარული, როდესაც მას ერთდროულად გააქვს ჰაერში მარცხენა წინა და უკანა ფეხი ან მარჯვენა. არჩევენ ნების იორლას და ტარებას, როცა ცხენი მცირე იორლით მიდის და გაქანებულ იორლას, როცა ცხენი მიდის მაქსიმალურ იორლით. „კარგი ცხენი მოიყვანეს თოხარიკად მოარული“ (შაჰ-ნამე 2548).

თოხლი (კახ., ფშ., თ.) — [ბუწი (საბა)] — ბატკანი ნახევარ წლიდან — წლამდე. „ერთისა თოხლითა და მისითა პურითა და ღვინითა ჟამს აწირვინებდე“ (ხაზან. გუჯრ. 64), ან: — „ერთს ცხეარს და ერთს თოხლს დაჰკლევდეს“ (ნაზარალი-ხანის ალაპი, მოამბე 1897 № XI 440).

თოხუმი (ჩუბ., გ-კახ.) — ჩამომავლობა.

თუნთლი (გულ., მთ.) — ნ. თინთილა.

თუნთრუბა (გურ.)—ნ. ლურთი.
თურქული (ქართლ., კახ.)—
ჩქოსან საქონლის ჩლიქის და პი-
რის ავადმყოფობა; ინფექციური
ავადმყოფობაა. „არ გაიკითხვენ
გლახასა, ერთს სოფელს არის წე-
წია, თუ გაიკითხვენ, ჳირი სჳირთ
თურქულზე უარესია“ (ივერ. 1891
№ 199).

თუხარიგი (ძვ.)—ნ. თოხარიკი.
მოაბადმა შაჰროს გაუგზავნა „ასი
ტაიკი ცხენი და სამასი თუხარიგი“
(ვისრ. 45).

თფიე-თფიე (მთ.)—ნ. თფუჩი.

თფუჩი-თფუჩი — ფუჩი-ფუჩი
(კახ., გუდ.) -- [ქეეჩი-ქეეჩი
(იმ) -- თფიე-თფიე (მთ.)—
გოსი-გოსი (მობ.)—ქოქიჩ-
ქოქიჩ (გურ.)—კუქო-კუქო
(თ.)]—ხბოს დაძახება. ამავე სა-
ხელს ეძახიან ხბოს. „ჯერ ეს გე-
ყოფა, ჩემო ფუჩინავ! სთქვა სო-

სოს დედამ და ხზო დედას წინ
მიუბა“ (შ. არაგვ., ქართ. მწერლ.
1—64)

თქარა-თქური (კახ., ქართლ., ჳუ.)
—ბევრი ცხენის ფეხის ხმა.

თქერება — ცხენის თამაშობა
სწრაფი და კობტა (საბა).

თხელფერდა (გ-კახ.)—ბარკალ
და ბექ მოჳრილ ფელიკის, ფეშოს
უკანა, ფერდის ნაწილი.

თხემი (კახ., ქართლ.)—[თხემ-
ლი (ხევს. ა. შან.)]—თავის ზედაპი-
რი. -ტერფით თხემამლის გაუბდა
მას მეტი საკეირველობა“ (ვეუხ.
ტყ. 1336).

თხემლი (ხევს.)—ნ. თხემი.

თხუზი (გუდ.)—ნ. თხუსი.

თხუსი (მთ., მობ.)—[თხუზი
(გუდ.)—სახუნდე (იმ.)—ცან-
დი (გურ.)—შათარის საღსა-
რი (ერწო)—სახვრეტი გაზა
(ფშ.)] საქონლის კოჳწვივის საღ-
სარი, скакательный сустав.

ი.

იაზო (ქართლ., კახ.)—[ლაფშა
(იმ., გურ.)—ყვერული (ძვ.)—
ყვერილ (სვან.)]—დაყვერილი,
დაკოდლი ცხენი. „ერთი კარგი
თოხარიკი იაზო მყვანდა დიდი, ის
თვრამეტ მინალთუნად გამომარ-
თვა“ (თავგადას. იესე ოსესშვ. 49).

იათალი—ცხვრის ფარები, რო-
მელსაც პატრონი აჳირავენ ფა-
რის პატრონებზე ჳამთარში ცხვრის
შესაფარებლად (უმიკაშვ. დასტურ.

ლექსიკ.). „ბატონის მამლის ია-
თალი იაღლუჯის საჳორულოში
რაც ცხენი დაღების, ცხენზე შვიდ
ფულს გამოართმევენ“ (დასტ. 43).

იათაზი—მანძილი ცხენის უკანა
ფეხებ შუა. „ცხენი იათაზს იკრავს“
ამბობენ, როცა ცხენი უკანა ფეხებზე
ერთმანეთს ურტყამს (ბერ.).

იალადი (ქართლ., კახ.) ია-
ლახი (ხევს.)—საქონლის სახაფ-
ხულო ფართე საძოვარი საერთოდ.

კერძოთ ნიშნავს მთის საძოვარსაც.
„წინ ქალა, უკან შინდორი, იალა-
ლია ცხვრისაო“ (ხალხ. სიტყვ. 266).

იაჯილდა (ხევს.)—ნ. დამაკება.

იბეკნი (საბა)—ნ. კუნტრუში.

იბნა—გარყენილი ქაკი (კირ.).

იდაყვი (ქართლ., კახ.)—[დაყ-
ვი (ფშ. ა. შან.) -ნი დაყვი.]
—საქონლის იდაყვის ძვლის მორ-
ჩი; რომლის ეხება გულის ყაფაზს.
„და ორნი იდაყუნი ერთსა მას
სუეტსა წინა მღვომ ერთი ერთსა“
(გამოს. 26, 17).

ივანა (იმ.)—თხის ავადმყოფო-
ბაა, ტუჩებზე მუწუკები ამოდის
(ბერ.); მუნი.

იზოვა (ხევს.)—ნ დამაკება.

ილხი (მესხ.)—ჯოგი. „ცხვარ-
ზროხას წაგგერი, ცხენის ილხს,
კირზე დაგართობ კირსაო“ (ხალხ.
სიტყვ. 416).

ინდუშა (ჩუბ.)—მუქი წითელი,
მურა.

ინთილა—სტომაქის მოშლა ბევ-
რი ჰამით, ან საწყენის საკმლისა-
გან და ვერ მონელება (ჩუბ.).

ინიოხი—მეეტლე. „მხა იყენენ
ეტლნი, რომელთა ხედა დაჯდა და
უბრძანა ინიოხსა წარმართებაი
ჯორთაი, რომელნი იგი ზიდვიდენ“
(ფილოთეონ ისტორია, ხელთნაწ.
238).

იოგი (ფშ.)—ლრტილოვანი ქსი-
ვილი, რომელიც ან გარედან, ან
შიგნიდან ამაგრებს საღსარს, ligam-
entum. „დამშალეს ტან-იოგითა,
გული მომიკლეს ძალიან“ (ვაჟა
ტ. I—109).

იორლა (ქართლ., კახ., გუდ.,
მთ., მოხ.)—ნ. თოხარიკი.

იპოდრომი -- ცხენთ სარბენელი
ალაგი. „ქართა სტოვანი, ერთა
სტოლანი, იპოდრომისა განსხმუ-
ლობანი“ (აბდულ-მესია 32).

იორა საქონელი (ქართლ., კახ.)
—დაკარგული საქონელი სხვასთან
ვისთანმე შისული (ჩუბ.).

ირმის ბეწვა (მთ., გუდ.) - ნ.
ფაცახი.

ისარნა (ხევს.)—სარნა (წ-ფშ.)
—წვრილი და გძელი ხის ღარი,
რომელშიაც ცხვარს მარილს უყრიან
(ა. შან.).

იშელი—სალორე სახლი (საბა).

იხბორია (ფშ., ხევს.) [უ მ ა რ-
თ ი ს ი (მთ., მოხ.) - ხ ბ ო უ რ ა თ ი
(თ.)—ხ ბ ო ი ლ ა (წ-ფშ.)]—დეკე-
ული, რომელმაც ადრე მოიგო
ხბო (მაგ. 2 წლისამ, ა. შან.).

იჯრა (საბა)—[ჯერი (ქართლ.,
კახ.)—ბუკვი ჯერი (თ.)]—
ერთი საჯერო ჰამადი (საბა).

კ.

კაბელა (იმ). -- ნ. ზანგელა.
 კაბია (გურ.) ნ. ზანგელა.
 კადა (თ.)--ნ. უგი.
 კადო (იმ.)--ხარისხა, კადონი, რომელიც მიჰედებულა ბაგაზე; კადოზე ებმება საქონელი (ბერ.).
 † კადონი (საბა, მთ., გუდ.)--[გალი (მოხ.)]--ცხენების დასაბმელად გადებული ლატანი. კადონზე ცხენებს აბამენ შორი-შორს, რომ ერთმანეთს არაფერი ავნონ.
 კადრივი (იმ.)--ნ. კირკალი.
 კავზალტიანი ჯოხი (ერწო)--ნ. ტორი.
 კავი (მოხ., ქართლ., კახ.)--ნ. ტორი. „მეცხვარე გადმოეშველა, მხარზე გაედო კავია (ივერ. 1890 № 267).
 კავშა (საბა, გ-კახ.)--[კოკბროლი (ქიზ.)]--თეთრ ფეხიანი ცხენი.
 კაკაჟ--ნ. საურვალი. „ანუ კაცი სა თანა, რომლისა იყოს სიმდიდრე ბარტი, გინაჟ მეფხანი, ანუ ერთი კაკაჟ“ (ლევიტ. 21, 20).
 კაკალა (გურ.)--ნ. ღორთვ. ლა.
 კაკანი (ქართლ., კახ.) -- [ტკეარცალი (იმ. ბერ.)]--ქათმის ხმიანობა კვერცხის დადების შემდეგ. „ეს ქათამი ჩვენსა კაკანებს, კვერცხს სხვაგანა სდებს“ (ხალხ. სიტყვ. 140).
 კაკი (მთ., ფშ.)--ნ. საურვალი.
 კალთა (ფშ., ხევს.)--ნ. საფთურო.

კალმუხის ტყავი -- ყალმუხის ცხერის ტყავი (ჩუბ.).
 კალტი (ფშ., ქიზ., თ.)--ნ. ნადულარი.
 კალხი (ჩუბ.)--ნ. ყალყი.
 კამპი (გუდ., მთ.)--[მკამპავი (ფშ.)--მკბილავი(ხევს.)]--მკბენარი ცხენი.
 კანტრიბი (იმ.)--ნ. კირკალი.
 კანჩალა (კახ.)--? „ზევიდან მგელი მორბოდა პირში ეჩარა კანჩალა,--შენი ცხენი მე შევკამე ზემო ვენახის თავთანა“ (ხალხ. სიტყვ. 383).
 კანძი (ფშ., კახ., მოხ.)--[ნაპარსი (თ.)]--ერთი ცხერის ნაპარსი მატყლი. „ოსები საიდუმლოს ვერ ფარავდნენ და ყოველ ამბავს სიხარულით თითო კანძ მატყლად ჰყიდდნენ“ (ყაზბ. II--196).
 კანჭი (ქართლ., კახ.)--საკლავის წვივი. „მობარშულის ძროხიდან ერთი კანჭი იასაულეებს, თითო კანჭი ქვაბის ამწევს მუშას“ (დასტ. 84).
 კანჯარა (ფშ.)--ნ. ვეფენა.
 კაპოეტი (ძვ., კახ., იმ.)--[დასრულებული (მთ.)--დამდარი (ხევს.)--მოთავეებული (ლექხ.)--სამაკინელი (გურ.)]--ზრდა დამთავრებული საქონელი და ფრინველი. „ქორსა ვზრდიდი, მაგრამ რა იკაპოეტა, ახალი ნაკრ-

ტენი მოიწყო, ალალდა და აფრინდა“ (ვისრ. 275).

კაპრაში (საბა, თ.) — [ჩალა (გულ., მთ.)—ღვინა (ხეგს.)—ტიალი წითელი (გურ.)]—ყვითელ მოწითალო ფერის საქონელი.

კაპწკალი (მთ.)—ნ. ქანგი.

კარავი (გურ.)—ნ. ფარები. „და საცხოვართა მისთა უქმნნა კარავნი“ (დაბ. 33, 16).

კარაული, კაპრაული (იოანე ბალნელის ქადაგებანი 1911, გვ. 64)—ვირი, სახედარი. „და მოვიდა სივა ყრმა... დაუღლეული ვირთა შეკაზმულნი და მათ ზედა ორასი პური და კალთა ყურძენი... და რქუა მეფემან, რათ არიან ესე შენდა და რქუა სივა: კარაულნი საჯდომელად სახლისა სამეფოსა და პურნი საქმელად ყრმათა“ (2 მეფ. 16, 1--2).

კარაკმდნარი (ფშ.)—აუღლეებლად გადამდნარი ერობო (თ. რაზ.).

კართი (საბა, ხეგს.)—[კარტი (მთ. ა. შან.)—შეშაძარღვი (საბა, გომარ.)—კირინი (ჩუბ.)—სათხუსე ძარღვი—(გულ., მთ.)—აქილესის ძარღვი. „ჭუნებსა მათსა დაჰყვეთნეთ კართნი და ეტლები მათი დაწვით ცეცხლითა“ (ისუ ნავ. 11, 6), ან: —„ხრმლითა დაგჭრი კართის ძარღვთა, ვერ დამასწრობ სიტყვის თქმასა“ (შაჰ-ნამე 2241).

კარია (გურ.)—ნ. საქათმე.

კარტი (მთ.)—ნ. კართი.

კატამცხვარა (გურ.)—ნ. წურ-წუკი.

კატალუა (ფშ. ქყ.)—მამლისაგან დედლის მოალერსება დასაპეკლად. „არ დამენახვის თვალითა სამაიაში თავისა, ქალ-ვაენი ერთ-ურთს უვლიან, კატალუასა ჰგავისა“ (ფშ. ა. შან.).

კატაში (ფშ., გ-კახ) —შესადღებად დამეაგებული რძე ან მაწონი რომ ზევიდან მოიგდებს ქათს.

კალი (თ.)—ყალი (ფშ.)—დამარილებული და მზეზე გამხმარი ცხვრის ხორცი, თასმებივით დაქრილი.

კაჩა (საბა)—კაჩაი (მოხ. ა. შან.)—მუხლის ძირის საღრეკი, კვირისტაგის ქვეშ (საბა); უკანა ფეხის ძვალი მუხლის ქვემოლ (ა. შან.).

კაჩო (ქიზ.)—მეცხვარის ბინის წინ მიწაში ჩარქობილი კაპიანი ხე, რომელზედაც ჰკიდებენ კალტს, ხორცს და სხ.

კახაჯი—ლორი (?) „შეითან ბაზრიდან ჰარისა, ხაში, ჯიმიითიდან კახაჯისთვის ლორი“ (ივერ. 1879 № 7 გვ. 185).

კაპოაული—ნახე კარაული.

კეგნა (მოხ.)—ნ. ცოხნი. „ნაკევაარი (მოხ.)—ნაცოხნი. „ნაკევაარი ამოილო ხარმა“ (მოხ. ა. შან.).

კელავერი (იმ.)—საკლავის ნაწილი, ამოჭრილი ჩალადაჯიდან დაწყებული გვერდის ნეკნების შუამდე; კელავერი შესდგება ერთ ნეკნის ნაჭრიდან და ზურგის მალის ნახევრიდან, штрикот.

კელი, ნაკელი (იმ., საბა)—
ნ. ნეხვი.

კელივერი (საბა)—ნ. უწვიმარა.

კელობა (ფშ.)—ცოტათი კოკ-
ლობა (ა. შან.).

კემუხტი—ცხენის, ვირის და
ჯორის გავის ტყავი, შეღებილი
მწვანედ ან შავად, ქოშების საპი-
რედ (საბა).

კენკვა (ქართლ., კახ.)—ნ. აკენ-
კვა. „კაცთ სარგოდ თავსა ჰზოგა-
ვენ თავთავნი ოქროს ფერანი,—არ
სწადით ოხრად ლებოდნენ, ჰკენკ-
დენ ყვავნი და ძერანი“ (გველის
მკამ. 11).

კენჩხა (ფშ.)—თავის ქალა. „მა-
ლა დაგიცდა, ბეჩაგო, კენჩხას
არა სჭირს ძელისასა“ (ალუდა ქე-
თელ. 7).

კენწო (რაჭ.)—გამხდარი ღორი
(ბერ.).

კერატი (საბა, კახ.)—[კერი
(იმ.)—კერეტანა (ქართლ., კირ.,
ლეჩხ.)]—დაუკოდავი, დაუყვერავი
ღორი. საქართველოს ზოგ კუთხე-
ში კერატს ხმარობენ ტახის, ე. ი.
დაკოდილის, ნაჯივად. ასევე ხმა-
რობს საბა: „საეშვე გოჭებს ვიყი-
დი, დავასუქებ და დავკერატავ“
(სიბრძნ.-სიცრ. 183).

კერვა—ცხოველის თესლთ ადგი-
ლი (საბა), ყვერი.

კერკევი (ლეჩხ.)—ნ. ლუკუმი.

კერშილობა, სამსება (კახ.)—
კერატის და ნეწვის შორის სქესო-
ბრივი აქტი. უკეთუ ამ აქტს მო-

ჰყვა საშვილოსნოში ნაყოფის ჩა-
სახვა, მაშინ იტყვიან: იკეშა, ისა-
მსა.

კერძოვირი—ჯორი (საბა). „და
მოჰყარნნენ ძმანი თქუენნი ყო-
ველთაგან წარმართთა ძღვნად უფ-
ლისა, ცხენებისა თანა და ეტლე-
ბისა კარაულებისა და კერძოვირ-
თასა“ (ისაია 66, 20).

კეტრი (თ.)—გამხმარი. მუწუცი
(ა. შან.).

კეშე (თ.)—ცოტა მატყლი, მა-
ტყლის ნამცეცი (ა. შან.).

კეზი (ქართლ., კახ.)—[ანჩახი
(ქუი.)—უნაგირის ხის ჩონჩხი.

კვანტრუში (სვან.)—ნ. კუნტ-
რუში.

კვატა (იმ., გურ.)—იხვი.

კვებულა (ერწო)—ნ. მოზვერი.

კვეთი (გურ.)—[დედა (კახ.,
ქიზ.)—ღვრიტა (ქართლ., კახ.)—

წამალა (მთ.)—ნაწი (მეგრ.)—
ლარდირ (სვან.)—მატიკი (იმ.,
ქართლ.)—ხსენი (ქიზ., მთ.)—
ღვრიტას ექსტრაქტი, რომლითაც
იკვეთება რძე საყველედ.

კვეთიერიში (საბა)—[კუშკანა
(გლდ., მთ.)—უმარილო ხმელი ყვე-
ლი (საბა).

კვერი ყველისა (ქართლ., კახ.)
—ყველის თავი, რომელიც იწონის
10—20 გ.

კვინიხი—თავის სარკველი.
„რხმალი მოვიწვადე ზედა და ვკა-
რი და თავის კვინიხი ავაგდებინე“
(რუსულ. 282).

კვინტრიში (იმ.)—ნ. კუნტრუში.
კვირისტარი, კვირისტავი (ქართ.,
კახ.)—[კვისტავი (მთ.)—კეიშ-
ტავი, მუხლის ფარდა (ხევს.)
—კუშტავი (თ.)—მუხლის
კვერი (მობ. ა. შან.)—კვირტა-
ვი (ფშ.)—ლილი (გ-კახ.)—მუხ-
ლის თავში მბრუნავი ძვალი.

კვირტავი (ფშ.)—ნ. კვირისტარი.
კვირტი (საბა, კახ., ქართლ., ფშ.)
—ნ. ნაგულა.

კვისტავი (მთ.)—ნ. კვირისტარი.
კვიცი (ქართლ., კახ.)—[კიცვი
(ძვ., ხევს.)—ქურანი (ქიზ.)—რე-
მა (ერწო)—კურია (ინგ.)—ცხე-
ნის შვილი სამ წლამდე.

კილა (მობ., ხევს.)—ნ. უგი.
კილაბანა კბილი (მთ., ხევს.,
მობ., ფშ.)—უკანა კბილები (ა. შან.).
კილა (ხევს.)—უდღო ბატკანი
(ა. შან.).

კიკინი (ქართლ., კახ.)—[კეტე-
ლა (გურ.)—ბარიდ (კირ.)—თხის
ხმიანობა.

კიშანება (საბა)—ნ. კიხინი.
„ასული იერუსალიმისა კიშანებად
ხმითა შენითა“ (ისაია 10, 30).

კინთი (იმ.)—[ძუძუ (ქართლ.,
კახ.)—თითი (გულ., მთ., მობ.)—
ცერი (ქართლ., კახ.)—ძუძუს
ლერი (ლეჩხ.)—ძიძა (თ.)—ძრო-
ხის ცურის ცალცალკე ძუძუს საი-
დანაც იწველება რძე.

კინკა (იმ.)—ნ. კიპკიპა.
კინკრიხი—თავის ქალა, თხემი
(ჩუბ.).

კინჩხი (გურ.)—ნ. მხარმაღალი.
კიოფი (იმ.)—ნ. საღრა.

კიპკიპა (რაქ.)—კინკიპა (იმ.)
—ქათმის საწეწკარი ანუ საწინწკა-
რი, ლეიწი (ქყ.).

კირვალი (მობ.)—ნ. კირკალი.
კირინი (ჩუბ.)—ნ. კართი.

ჭირკალი (გულ.)—[კირვალი
(მობ.)—გირკალი (თ.)—კად-
რივი (იმ. ბერ.)—კატრიბი
(იმ.)—რკალი, რომლითაც წამთარ-
ში ბავაზედ აბამენ საქონელს.

კირკილა (მთ.)—ნ. ხრილი.
კირკილი (მობ.)—ნ. ფრინდომა.
კირკილოვანი ხორცი (გურ.)—
საქონლის მსუქანი ხორცი, გარდა
ლორისა.

კიშტე (თ. გომეწარი)—კალტის
გასახმობი გოდორი (ა. შან.).

კიცვი (ძვ., ხევს.)—ნ. კვიცი.
„ვინ იცის კიცვო რემო, შენის
თექალთოს კეცება“ (ბეს. გაბ. 122).

კლანჭი (ქართლ., გ-კახ.)—
[ფრჩხილი (ძვ.)—ნ. კანგი. „არ-
ცა ვერცხლისა კლანჭითა არწივი
არდაიპირვის“ (ხალხ. სიტყვ. 217).

კლანჭა (ინგ.)—კაზმვა, შეკაზმა.
კლანჭა—ძლის გამოხვრა (ჩუბ.).
კობალი (მთ.)—ნ. ტორი.

კობელა—? „კობელა ფურმა
იწველა, იწველა, ბოლოს ჰკრა წიხ-
ლი და სულ დაღვარა (ჩუბინ.
ქრესტ. ნ. II—171).

კოლი ძუძუ (მთ.)—ნ. ცურკორძა.
კოზაკი—აქლემის შვილი.
კონია (იმ.)—ნ. ნალიტა.

კოიტი, კოტი (იმ.)—ნ. ზაქი.
კოლეიოსი (საბა)—ნ. გაბუმ-
ბლული.

კოლინჯი (ჩუბ.) — [სამგლე
ნაწლავეი (თ.)]—მსხვილი ნაწლე-
ვი წვრილი ნაწლევიდან დაწყე-
ბული.

კოლოტი—სატკბილე ტიკი ძრო-
ხისა (საბა).

კოლტი—ფარა (საერთოდ) ლო-
რისა, აქლემისა. „და მოვიდეს შენ-
და კოლტები აქლემთა“ (ისაია 60,
6; ნახე მარკ. 8, 51).

კომახი (ფშ. — [კოპოხინი,
კობოხინი (ხეეს.)—ხომი (თ.
ა. შან.)]—ქუსლ ზემოთ აქეთ იქით
ამობერილი ძვალი (ა. შან.).

კონდახი (ლექხ.)—ნ. ტახტა.

კონჩხულა (თ.)—ნ. კუშკანა.

კონწოლა (გურ.)—ნ. მატყეირი.

კოპოხინი (ხეეს.)—ნ. კომახი.

კოპტონი (კახ.)—ბამბის, სელის
და სხ. ზეთის გამოხდის შემდეგ
დარჩენილი და დაქაჯული ჩენჩო.

კორნატი — პოლტი — ძროხის
ვეგი (საბა).

კორტნა (ფშ., კახ., ქართლ.)—
წიწქნა ბალახის თუ ფოთლისა.
„ნათესი პური რა იქნა, ნეტავ სად
დაიმალოა? მომწყინდა ხეების კორ-
ტნა და პირი დამელალოა“ (ვაეა
ტ. I—142).

კორძიციურა (მობ.)—ნ. ცურ-
კორძა.

კოსტა (კახ., მობ.)—კეფა.

კოტა (გურ.)—ნ. ტახტა.

კოტიზი (გურ.)—ნ. კუნტრუმი.
(საბათი—„კოტიზი“ ნიშნავს ბე-
ზანკალს).

კოლინა (იმ.)—ნ. ნალიტა.

კოშია (ლექხ.)—ინდოური (ბერ.).

კოჩა (ხეეს.)—ნ. კუნტარა.

კოჩხოტი (ფშ., თ.)—ხის პატა-
რა საწვენე, სახალე გულაში წყლის
ჩასასხმელად. „ხალის გაზელა მა-
რილით, კოჩხოტით ხერეტა წყლი-
საო“ (თ. ხალხ. სიტყვ. 107).

კოჭანი — კუჭი, ფაშვი (?). „მიე-
ციო მღვდელსა ნაწილად მხარი და
ლაწენი კოჭანითურთ“ (ცხერისა)
(2 სჯულ. 18, 4).

კოჭბროლი (გ-კახ.)—ნ. კავშა.

კრაველი (ფშ., თ., ხეეს., კახ.)
—ბატკნის განაკრეკი მატყლი. „მი-
თხოს გადავლა მეწადა, რა გამო-
ვიდეს მთა ველი, ვაცი და ვერძი
დასუქდას, ბატკანს ზედ ესხას კრაველი“ (ხეეს., ივერ. 1891 № 90).

კრავი (ძე., ლექხ.)—ჩვილი ბატ-
კანი. „არა შეაგბო კრავი სძითა
დედისა თვისისათა“ (გამოს. 23, 19).

კრავი სამეფინიზო—ნ. ბატკანი
სამეფ. „არა სამეფინიზო კრავო,
არა სამეფოგო“ (ისტორ. საბ. V
—14).

კრიახი (გურ.)—ქათმის ხმაურო-
ბა გაკირვების დროს (ჭყ.).

კრტნა—როცა ფრინველი თავის
ბუმბულს სჩიჩქნის (ჩუბ.).

კრუტი (გულ., მთ., მობ.)—ნ.
კრუხი.

კრუხ-კრუხ (გულ.)—ნ. კუტ.

კრუხი (ქართლ., კახ.)—[კრუტი (საბა, გულ., მთ., მოხ.)—კურტი (ინგ., ჯან.)—მოკუა (იმ.)]—კერცებზე მჯდომი ქათამი, რომელმაც წიწილები უნდა გამოჩეკოს.

კრუხუნი—ნ. კაკანი.

კუდალა, კულა (ქართლ., კახ.)—ნ. პოჩი.

კულკვეთილი, კულ-მოკლე, კულ-მოზვერი—საქონელი, რომელსაც კული აქვს მოკრილი (ჩუბ.).

კულრუცანაჲ (ინგ.)—ცხვრის დღის კული (ჯან.).

კუჯუა—ნ. პოჩი.

კუდუსუნი (კახ.)—კულუცუნი (იმ.)--მენჯის ხერხეშლის ძვალი.

კუკვა (კახ.)—განავალზე ვასელა. იტყვიან ძალზე და კაცზე. „გომია ანეთსა ცრემლის დენასა მოჰყვის, ვაუკვის და ცრემლის ღვარში შეკურდის“ (თიმსარ. 46).

კუკუშნაჲი (ქართლ., ქუ.)—კულის ბოლო.

კუკუშულა (ერწო)—ნ. ნაკვეთი.

კუკუხა (ქართლ., კახ.)—[თეძო (ქართლ., კახ.)—თეზო (იმ., გურ.)—ჯოჯო (მოხ.)—ხეცრო (ხევს.)]—მენჯის წინა ფრთა, რომელიც ზევიდან საზღვრავს საქონლის ფერდს, სიპას.

კუმპაი (მოხ.)—სკორე (ხევს., თ.)—ფუნა, ძროხის ნეხვი ახალი (ა. შან.).

კუნკრუხა (ქუ.)—ნ. მბარმალაღი.

კუნკრუხი (ქართლ.)—ნ. ჩაჩაკი.

კუნტარა (მთ. გულ.)—[კუნტულა (თ.)—კოჩა (ხევს.)]—პატარა დუმიანი ცხვარი.

კუნტრუში (საბა, კახ.)—[კვანტრუში (სვან.)—კვინტრაში (იმ.)—კოტრიზი, კოტიზი (გურ.)—იბეკნი (საბა)]—საქონლის სათამაშოდ ხტუნობა.

კუპატი (იმ.)—ნ. ძუხვი.

კუნტულა (თ.)—ნ. კუნტარა.

კურაკი—პატარა კურო (საბა).

კურატი, კურეტი—ნ. უხხი „ლაშარის გორზე შამოდგა ათასი ქისტის ცხვარია, ასი კურეტი რქათეთრი, ორასი ნისლა ხარია“ (ვაჟა I—32).

კურატი (კახ., ფშ.)—ნ. ზვარა.

კურია (ინგ.)—ნ. კვიცი. ძველად „კორი პალან-კურტინთა“ (ქრონაჲ. I—8).

კური-კური (რაქ.)—ინდოურის დაძახება. ნ. ჭუკი-ჭუკი.

კურკლი (ქართლ., კახ.)—ცხვარის და თხის განავალი.

კურო (საბა, ლეჩხ.)—ნ. ბულა. „ზროხანი ორმეოცნი, კურონი ათნი, ვაქნი ოცნი და კარაულნი ათნი“ (დაბ. 32, 14).

კურტ (ინგ.)—ნ. კრუხი.

კურტანა (მთ.)—ნ. წურწუკი.

კურტანი—პალანი, საპალნის უნაგირი (ჩუბ.).

კურტუმი (საბა, ქართლ., კახ.)—ფრინველის გავა (საბა). რღენიკას ქათამიო, ლობისძირში დავკალიო, იმის კურტუმ—ბარკა-

ლიო, ბატონ მეფეს მივართვიო“
(ხალხ. სიტყვ. 23).

კურტუმი კვერცხისა (მთ.)—ნ.
ქოთი.

კუსი (ხევს.)—ყველის კვერი.

კუსი (თ.) ახლად ამოღებული
ყველი, უმარილო (ა. შან.).

კუბ-კუბ (გ-კახ.) — [კ რ უ ხ
კ რ უ ხ (გუდ.) — მოკი - მოკი
(გურ.)—მეეჩი-მეეჩი (იმ. ბერ.)]
—კრუხის დაძახება.

კუშკანა (მოხ.)—ყველის პატარა
კვერი (ა. შან.).

კუშტავი (თ.)—ნ. კვირისტარი.
კუპო-კუპო (თ.)—ნ. თფუჩი.
კუპ-მაჟი (იმ.)—ქათმის შიგენ-
ულობა (ბერ.).

კუპ-მაჟი (მოხ.)—ნ. შიგანი.
„ირემი გაატყავეს, ამოიღეს გულ-
მუცელი, კუპ-მაჟები და საძწვა-
დეები“ (ყაზბ. 274).

კუპ-მეჟა (ხევს.)—ნ. ჩიჩახვი.

კუპოი (თ.)—ხბო, სანამ ძუძუს
სწოვს (ა. შან.).

კუპულა (თ.)—ნ. სანარწყული.

კუნკრუხა (ქყ.)—ნ. მხარმაღალი.

ლ

ლაბა (ქიზ., კახ.)—ნ. ბელეშა.
„ერთ ბედს ქვეშა ვართ ლაბავ მე
და შენ“ (ილ. ჭაჭუ.).

ლაბი (გურ.)—ნ. ნაღები.

ლაგაზი (ქართლ., კახ.)—სადა
ბალნიან ქართულ ჯიშის ღორს
ეძახიან. „ბიჭო რას სტყუი, რას
სტყუი? საღორის კარსა გეძინა,
გვერდ გეწვა შავი ლაგაზი, ტოტი
ტოტ გადაგხევიანა“ (ხალხ. სიტ.
305).

ლაგამი—ცხენის აღვირი, რომ-
ლის ენა, სადავეს გამოწვევის დროს,
აწვება მაგარ სასას. ლაგამს ხმა-
რობენ ძნელად დასამაგრებელ ცხე-
ნისთვის. „რაშსა აუღდა ლაგამი,
წავიდა, იარებოდა“ (შაჰ-ნა-
შე 2259).

ლაგამი ფერი (კახ.)—ყინჩი შა-
ვი, ძალიან შავი. „ისეთი ლაგამა

ღორები ჰყვანდა ხოლმე მამაჩემს,
რომ მეტი არ იქნებოდა“ (კახ.).

ლაგმის პირი (ფშ.)—ლაგმის-
რკინიანი ენა, ცხენის პირში ჩა-
დებული. „ლაგმის პირს უქამს.
ულაყი, დაძაგრულია მკლავშია“
(გველის მკვამ. 36).

ლაგმის ტარი (თ., ფშ.)—ლაგ-
მის სადავე. „ცხენებს რა უყოთ?
ტიალთა დაწყვიტეს ლაგამთ ტა-
რები“ (ხალხ. სიტყვ. 72).

ლაგაშა (გუდ., მთ.)—[მ უ ხ რ უ-
ქ ი (საბა, კახ.)—ფ უ ხ რ უ ქ ი (ხევს.)].
—ცხენის ზევითა ტუჩზე ძოსაგრე-
ხი ჯოხზე გაკეთებული თოკი, რომ
ტანის რომელიმე ალაგას ტკივი-
ლი გააყუროს.

ლავიწი (ქართლ., კახ.)—პირუტ-
ყვის და ფრინველის წინა პირველი
წყვილი ნეკნი. „ლომთა ვჰფრენდი
ლავიწს ვლენწი“ (ბესიკი 139).

ლაპი — ფრინელის ბლარტი. „გაქცეულთა განართხმიდეს, ვით ქორის ქვეშ მცირე ლაპნი“ (ბესიკი 84).

ლაფა-ყბა (თ.)—ქვეითა ყბა. ნ. ყბა.

ლართა (საბა)—[წნა (გულ.)—ჯუჯა (ხევს.)—ჩუჩუ (გურ.)]—მამალ. საქონლის სარცხვინელი ასო.

ლაფშა (გურ., იმ.)—ნ. იაბო.

ლაფშრა (ლენხ.)—ნ. საცხვირე. „ალაფშრე ყმაწვილო ცხენი, თორემ გადმოგაგდებს“ (ლენხ.).

ლაფშრული სიარული (ლენხ.)—როცა ცხენი მიდის ნელა, მაგრამ დიდი ნაბიჯით. „ჩემმა ცხენმა ლაფშრული სიარული იცის, შენმა კი თოხარკი“ (ლენხ.).

ლაქა (იმ.)—ცხენის სენი. უბალნი ადვილები, გაუწითლდება და დაუსივდება, წვრილად დააყრის და ექავება (ქყ.).

ლაქიანა (გულ.)—ნ. ჩირბე.

ლალი (მთ.)—ნ. უსხი.

ლაყე კვერცხი (ქართლ., კახ.)—[ნატყვეპარა (გურ.)—დასისული კვერცხი (რკ. ბერ.)]—ძველი, გაწყალებული კვერცხი. „ერთი კვერცხი გამოგვიტა, მითამ გალაყებულაო“ (ხალხ. სიტყვ. 399).

ლაში (კახ., თ., მთ.)—პირუტყვის ქვეითა ტურჩი. „აქედან ჯიმშერ შეუტივა, ისარი ამოიღო შესტყორცა, თავში ჰკრა და ლაში მიწასა დაუბა“ (ამირ. დარეჯ. 279). კა-

ხეთში ადამიანზედაც იტყვიან „რატომ ისე გადმოგიგდია ლაში“—ო.

ლაშ-ყბა (ხევს.)—ნ. ყბა.

ლახიწი (იმ.)—ძალიან გამხდარი ცხოველი (ქყ.). ხ. ლუბი.

ლეგა (ხევს., თ.)—ნისლის ფერი, ნაცრის ფერი.

ლეგნა (გულ., მთ.) ნ. სისეი.

ლეკვი—ძალის ჩვილი შვილი.

ლემანა (ხევს.)—რუხი ცხენი.

ლეში (ქართლ., კახ., ფშ., მთ. გულ.)—ხორცი. ხორციან ცხენზე იტყვიან კახეთში—„ლეშიანი ცხენია და შორს ვერ. წავა“ო, ან—„მსურს შენი ვიყო, მაგრამ როგორ მოვახერხო, როდესაც ლეში აქ არის, ხოლო სული ჩემი, აწიოკებულ ერთან“ (შიო თავადი 37).

ლიბრი (კახ., ფშ., თ.)—თვალს რომ თეთრი რამ გადაეკვრის და სინათლეს დაუკარგავს (ა. შან.).

ლივჯივი (კახ.)—[მლიავეი (გულ.)—გამლიავება (მთ.)—გამალეზა (ხევს.)]—ცხენის ჰაერში გძლად გახლტომა (საბა).

ლიკვი (ხევს.)—კუნთი (ა. შან.).

ლოინი—მამალი აქლემი (საბა).

ლომა (მთ.)—[ტიხარო (იმ. ბერ.)—წურბელა (გურ.)—წელსარტყელა (თ.)]—საქონელი, რომელსაც ზურგზე თეთრი ზოლი აქვს გადაყოლებული თასმასავით, მაგ. შეიცის საქონელს.

ლომო (იმ.)—თეთრ—სარია საქონელი.

ლომ-ტახი (კახ.)—ზვარაკად დადებული ბურჯაკი.

ლოპრი (კახ.)—საქონლის ღორბლი, ფურთხი.

ლორი — ბოლში გამოყვანილი ღორის შაშხი. „ზოგმა სახლსა მოუარეთ, ზოგმა გარეკეთ ღორები, დაასუქევიეთ კარგადა, მაღლა შაქკიდეთ ღორები“ (ხალხ. სიტყვ. 273).

ლოფლოფი (ჭართლ.)—ნ. თინთილა.

ლოყინი (კახ.)—ყროყინი. „ჩოკინამ ლოყინი შექნა, მე ვერა ვჭიღამ ამასა“ (ხალხ. სიტყვ. 385).

ლოქი (კახ.)—შესახედვად კარგი, მაგრამ მუშაობაში უვარგისი, ზარმაცი საქონელი. „რამ გაალოხა ეს ოხერი კამეჩი კაცო?“ (კახ.).

ლოხმარება (ფშ.)—ნ. ცოხნა. „სასადგომებზედ ცხვარ-ძროხა ჰყრავს და ზანტად ლოხმარებსა“ (ივ. 1888 № 140).

ლუბი (თ., მთ., მოხ.)—[მკლე (გურ.)—ჯანდაგი (ქართლ., კახ.)

—ჯენდაგი (ერწო)—ეირეიკი (რაჭ. ბერ.)—მარლი (იმ.) ლახიწი (იმ. ჰყ.) ჩაკუტებული (ფშ.)—ძალიან გამზდარი საქონელი. „მემრე წინამხრის მგზავრობამ, დღელამე ცხვისა რეკამა, გზაზე ცვივნი ლუბების, გულის თან მიდეგნამანა“ (თუშ. ხალხ. სიტყვ. 107). ან: „ნუ გამილუბებ ლურჯასა, თოფს ნუ შემეკმევე ჯანგსაო“ (ხევს. ბეს. ვაბ. 187).

ლუგუმი (ფშ.)—[ქერკეჯი (ლერჩ.)]. ხორცი, რომელიც დიდხანს იხარშება.

ლუმბა (საბა)—ნ. ნალი.

ლურთი (კახ., ქართლ.)—[ლურყი (იმ.)—თუნთრუბა (გურ.)]—ძალიან მსუქანი ხორცი, უმთავრესად ღორისა.

ლურსმანა (ქართლ., კახ.)—ცუდი უღლისგან (ავდარში) მუშა საქონლის ქედზე ამოსული მუწუკი, რომელსაც ტანი ღრმად აქვს გამჯდარი ქედში და იწვევს ქედის სიმსივნეს.

ლურყი (იმ.)—ნ. ლურთი.

მ.

მააშო-მააშო (კახ., გუდ., მთ.)—[მეი მში-მეი მში (იმ.)—ბევესი-ბევესი (რაჭ. ბერ.)—ნწე მაშო.)—ხარის დაძახება, მოწოდება.

მაგარა (გურ.)—ღვიძლი.

მაგრობალი—კრუხი კვერცხზედ მჯდომი (ჩუბ.); კვერცხის მჩხრეკელი (საბა).

მაზვერი (გუდ., ხევს.)—ნ. მოზვერი.

მაზმანი—ბალნის მქსოველი (საბა); თოკების მგრეხელი (ჩუბ.).

მათარა (ქართლ., მთ., გუდ.)—თხუის ტყავი, რომელსაც ხმარობენ ქისებად, წყლის სასმელად და სხ. „ბელში გეჭიროს მათარა, არაკრაკებდე ყელშია“ (ქართლ. ხალხ. სიტყვ. 322).

მათრახი (ქართლ., კახ.)—ცხენის საწყები. „ზოგსა გადაჰკრა მათრახი, მკერდამდის გასაპობებლად“ (ვეფხ. ტყ. 95).

მაკე (ქართლ., კახ.)—[თ ა ე დ ა-ცული*] (იმ.)—საშვილოსნოში ჩანასახის მქონე საქონელი.

მაკინტლოზა (საბა)—ნ. ასვლა.

მაკოზა (ქართლ., კახ.)—[მ უ ც-ლ ა დ ა ლ ე ბ ა (ძვ.)—ნაყოფის ჩასახვა. „რა უამს მაკდებოლდეს ცხოვარნი“ (დაბ. 31,10); „რა უამს მუცლად იღებდეს ცხოვარი“ (მცხეთის დაბად. 31,10).

მალატონი (საბა)—ნ. ღურა.

მაღეული (ხევის., თ.)—ნ. ადრეული.

მაღქაფა (მობ.)—მარქაფა. „ბედაურ ცხენეჲს მომცემენ, სასიერნოთ მაღქაფებსა“ (მობ.).

მაშხალ (ინგ.)—დამაკებულ საქონელს მუცელი რომ შეეტყობა (ჯან.).

მაშგე (მთ., ხევის.)—ნ. მეფვე.

მომთა-ბარე საქონელი—საქონელი, რომელიც ზამთარში ბარშია, ზაფხულში კი-მთაში.

მანა (თ.)—ნ. პალო.

მანძილო (საბა, ხევის.)—გასუქებული წერილ თუ მსხვილ ფეხა საქონელი და ფრინველი. „აწამცა შემიჰამხარ, ვითამც მანძილო ვარია“ (შაჰ-ნამე 841), ან—„მობუბუნებდა თორღვაი, როგორც მან-

ძილა ხარიო“ [(ხევის. ივერ. 1887—172).

მარაკი—ღვიძლის აპკი (საბა).

მარბოლი (ხევის.)—ნ. მორბელი.

მართვე (ძვ.)—ბლარტი, წიწილა.

„ესრეთ შეგკრიფენ თქვენ, ვითარცა ქათამმან მართვენი თვისნი ქვეშე ფრთეთა თვისთა“ (3 ეზღრა 1,30). (იმერეთში „მართვი“ ნიშნავს კატის კნუტს).

მარტივი (გ-კახ.)—ნ. ტუჰი.

მარტულელი (ხევის., გულ., მთ.)—უღელი რომელშიაც ერთი ხარი შეიბმის (ა. შან.).

მარულა (იმ., გურ.)—ნ. დოლი.

მარქაფა (ძვ.)—[ო რ ქ ა ფ ა (ხევის.)—ჯ ი ნ ი ბ ი]—სათადარიგო ცხენი.

საერთოდ, ძველად იგი იყო სინონიმი კარგი, ბედაური ცხენისა, რადგანაც მეფეებს თუ თავადებს ომებში მარქაფად მიჰყვანდათ საუკეთესო ცხენები. ალბად ამით აიხსნება ხევსურების აზრი: „ორქაფა—ზღვის ცხენიაო“. „მიჯრას უამს დილისასა მეფე (როსტომი) ხოვლეთის ბოლოს მოვიდა, მარქაფა გამოიცვალა და ჯარსაც უბძანო, ცხენებს მოსართავები უნახეთ და გაუკეთეთო“ (ფარსად. გორგიჯ. ჩუბ. 519), ან: „ორი სხვა ცხენი დაიმარქაფეს და საგზალი ზედა აპკიდეს“ (ქილ. ხელთნაწ. 548).

მარლაო (რაქ.)—ნ. ქუში.

მარლი (გულ., მთ., გურ., ფშ) [ჯ ლ მ ა რ ა (იმ.—ბერ.)—მ ა რ-

* რადგანაც მაკე ძროხა ბუღას აღარ იკარებს თავისთან.

ჩხი (ჩუბ.)—მაჩხი (საბა, ხევს.)
 —თვალშურთხა (ხევს., თ., ა. შან.)—თოლშურთხა (გულ.)—
 თვალქრელი საქონელი
 მარლი (იმ.)—ნ. ლუბი.
 მარჩხი (ჩუბ.)—ნ. მარლი.
 მარცვალი (მოხ., ხევს.)—ნ. საურვალი.
 მათარებელი ცხენი (კახ., ფშ.)
 —ნ. თოხარიკი.
 მატყიერი (საბა)—[კონწოლა (გურ.)—ბანჯგვლიანი (იმ., კახ.)—ხშირმაგი (მთ.)—ხშირბეწვა (მოხ.)]—მეტად ბალნიანი საქონელი. (ახალ დაბადებაში „მაჩყიერი“ შეცვლილია სიტყვა „ფაჩენიერი“—თ.—ნ. 4 მეფეთა 1,8).
 მატყლი—ცხვრის ბალანი.
 მაუღის ცხვარი, შჰანკა (მოხ., მთ.)—მერინოს ჯიშის ცხვარი.
 მაღაო (საბა, გულ.)—ნ. ქოთაო.
 მაყე—მოჯირითეთ სასვენებელი ალაგი (საბა).
 მაშთაგი (ხევს.)—[მაუღაგი (თ.)—ბატკნის ტყავი საქუღელ (ა. შან.).
 მაშტაკა (მთ.)—ნ. სინიბი.
 მაჩხაროჯი (გურ.)—ნ. ვარია.
 მაჩხი (საბა, ხევს.)—ნ. მარლი.
 მაცალო (მთ.)—ნ. მოზვერი.
 მაწაუკი (თ.)—ნ. ტაროღვა.
 მაწვნის დედა (ქართლ., კახ.)—
 მაწვნის ნარჩომი, რომელსაც ას-
 ხამენ რძეში, რომ მაწვნად შედელ-
 დეს.

მაწოვარი (კახ., საბა)—ჩვილი საქონელი, რომელიც სწოვს დედის ძუძუ.

მაწოვნებელი (ძვ.)—ნ. მაწუნებელი. „აქლემნი მაწოვნებლნი ზე კიციანი მათნი“ (დაბ. 32, 14).

მაწონი, წველა (ქართლ., კახ.)—
 —შედედებული რძე, простокваша.
 „რაც ჩვენ საშარბათოში ყველი ზე მაწონი მოუნდებოდეს, ჩვენი ცხვრის მოსავლიდან ნაზირმა გაურიგოს და იქიდან დახარჯოს“ (დასტ. 90), ან: „ლიდება მამასა და ძესა, რა სჯობია მაწონსა და რძესა“ (ხალხ. სიტყვ. 371).

მაწუებელი (ქართლ., კახ.)—
 [მაწოვნებელი (ძვ.)]—შვილის რძის მაწუებელი საქონელი.

მაწუნკალი (გულ.)—ნ. ბეწე-
 კანკალი.

მაჭაჭა (გულ., მთ.)—ნ. ოფა.

მაჭიკე (ქართლ.)—ნ. კვეთი.

მაჯა (გომარ.)—ნ. სოლაგი.

მაჯახალი (მოხ.)—ნ. ყბა.

მაჯეგანი (ფშ., გულ.)—[გემნა, გემა (ხევს.)]—ცხვრის ტყავის გასაზელი. საღენჭელი—ძრობის ტყავის გასაზელია (ა. შან.).

მზუღებელი (ქართლ.)—ბუღღმი მჯდომი ფრინველი (?). „ბორბა-
 დაბტშია კოშკზედა ზის ყორანი მზუღებელი“ (ხალხ. სიტყვ. 308).

მგე (მოხ.)—ნ. მეფზე.

მგებრნი—ფშავლების რწმენით, კაცი როცა კვდება, იმის სულის წასაყვანად შავეთიდან სულ ცხე-

ნოსანი ნათესაობა მოდის. ამას ჰქვიან „მგებრნი“ (ჰყ.).

მეახორე (ძვ.)—ახურის მეთვალ-
ყურე (?); მეჯინიბე (ჩუბ.). „მე-
ხორე თავის სახლკართა, მარნი-
თა“ და სხვ. (ქოამბე 1895
№ VI-20).

მეგველაობა (გუდ.)—ნ. და-
ფერცხვა.

მეგოლარე მოწვეერი (რაქ.)—ნ
გოლავი.

მეეზვე (საბა)—[საზვეები
(ხევს.)—მამგე (მთ.)—მომგე
(კახ.)—მგე (მოხ.)]—შვილის მშო-
ბელი საქონელი.

მეერნობა (საბა)—ნ. გოგვა.

მეეტლე—ეტლის ცხენების წამ-
ყვანი, კურჩი. „და რქვა მეფემან
მეეტლესა მას თვისსა: განმწყვანე
მე ბრძოლისგან, რამეთუ მოწ-
ყლულ ვარ“ (3 მეფეთა 22,34).

მეეჩი-მეეჩი (იმ.)—ნ. კუტ.

მეითარი—მეჯინიბე. (დასტ.

176, პ. უმიკაშვილის ახსნით).

მეიმში-მეიმში (იმ.)—ნ. მაამო.

მეკეხე (თ.)—ნ. სარაჯი.

მელატი გულა (მთ.)—[მელუ-
ტი გულა (ფშ.)]—უბეწვო გულა.
მელუტი გულა (ფშ.)—ნ. მე-
ლატი გულა.

მემრავლე (გურ.)—ნ. საყოლ-
მენახირე (ქართლ., კახ.)—ნახი-
რის მწყემსი. „იმ ოხერა ქარელ-
შია გვიან დადგა მენახირე“ (ხალხ.
სიტყვ. 290).

მენჯი, მეჯი (ქართლ., კახ.)—
[ნეჯვი (თ.)]—გავის ჩონჩხი,

რომელიც შესდგება სამღრთო და
ორ უსახელო ძვლებიდან და კუ-
დუსუნიდან.

მერანი (ძვ., ფშ.)—[ვერანი
(გუდ.)]—1) თხარკი ცხენი (თეი-
მურაზი—ვეფხ. ტყ. ლექსიკ.); 2)
კეთილად მოარული ცხენი (საბა);
3) შავი რაში, ზღაპრული ცხენი
(აბულაძე—ვეფხ. ტყ. ლექს.). ფშაუ-
რად მერანი ნიშნავს სასწრაფო
ცხენს, მტრის გზის მოსაპრელად
ვარგის. „ტიკი მიუგს მერანსა
მიფინება გზა-ველად“ (ვეფხ.
ტყ. 97).

მერემე (ძვ.)—მეჯოგე. „საგდე-
ბელი გარდააცვა, კვიცი მოჰყვა
როსტომს მილდა, მერემეთა უხუ-
კესსა ნამეფნავად გაუკვირდა“
(შაჰ-ნამე 2030).

მესაკლავე—ყასაბი, მეხორცე,
სალახი. „ცხვარი რომ დაიკლვო-
დეს... შათირებს ტყირაპი და ფილ-
ტვი მესაკლავესა“ (დასტ. 24).

მეულაყე (ძვ.)—ნ. ულაყაში.
„მეჯინიბეთა, მერემეთა, მეულა-
ყეთა (ისტორ. საბუთ III-14).

მეფხანი (ძვ.)—ქეცი, მქავანა.
„ანუ მეფხანოანი არა შეწირონ ესე
ვერძი უფალსა“ (ლევიტ 22,22).

მელორე—ლორების მწყემსი.

მეში (მოხ.)—ნ. საფთური.

მეწველი საქონელი (კახ.)—სა-
ქონელი, რომელიც იწველის.

მეკეპელა (მთ., გუდ.)—[რქები
(ხევს.)]—ცხენის წინა ფეხებზე,
მუხლის ზევით, შიგნითა მხარეზე

ამოსული თითო მხრიდან თითო თხილის ოდენა მეჭეჭი.

მეხრე (ქართლ., კახ.)—მეხარე, ხარების მომვლელი, გამრეკავი. „ასოცი ხარი და კამეჩი იყო მზად ზარბაზნისათვის დანიშნული და მათი მეხრე“ (პლ. იოსელ. 306).

მეჯ-ალვენი (კახ.)—ლორი, რომელსაც მენჯთან აქვს თასმასავით თვითრად გადავლებული.

მეჯინიბე (ძვ.)—ცხენის მომვლელი.

მეჯოგე (ქართლ., კახ.)—ცხენის ჯოგის მწყემსი. „ჩენი ჯოგი რასაც ხანს დადგებოდეს და სძოვდეს, მეჯოგენი ნურც ყანას და ნურც სათივებს ნუ წაუხდენენ“ (ისტორ. საბუთ. V-12).

მზენაქცევი (გუდ.)—ნ. ბატკი.

მზორაი (მთ.)—ძეძუს მაწოვარი ბზო (ა. შან.).

მზორი (ხევს.)—ნ. ნძორი.

მთხობი (ხევს.)—ნ. ურა.

მილახვარი—ნ. ამილახვარი.

„ეკლესიის იატაკზე დაყარეს სხვა და სხვა ნივთები. მდივანბეგებმა გადატეხილი კალმები, მილახვარ-მან ძვირფასნი აღვირნი ცხენთა“ და სხ. (პლ. იოსელ. 265).

მინდაო (ძვ., თ., ფშ.)—ნ. მხარ-მალალი.

მისრატული—საჯინიბოს მოხელე (თაყაიშვი. ხელმწ. კარ. გარიგების ლექსიკ.). „ცხენი რაჲ ითხოვოს მეფემან, ზარდახნის მოლა-რე აღვირთ მისცემს, მისრატული

პირსა აუსხამს“ (ხელმწ. კარ. გარიგ. 10).

მიტრუკა (თ.)—ნ. მუტრუკი.

მიღრი ცხენი (ქართლ.)—?

„მოსადებნად რომ წავედი, ვერვიპოვნე მიღრი ცხენი“ (ხალხ. სიტყვ. 340).

მიცორეგება (ძვ.)—ნ. ცორეა.

მკამპავი (ფშ.)—ნ. კამპი. „მკამპავს უკანიდან უნდა მოვლა, მწიხლავს წინადანაო“ (ხალხ. სიტყვ. 504).

მკბილავი (ხევს.)—ნ. კამპი.

მკერდი—გულის ფიცარი; საკლავის ნაწილი კელავერის ქვეით, გულის ფიცრის ნახევრამდე. „და მოილო მკერდი იგი ვერძისა მის განსრულებულისა“ (გამოსვლა 29,25).

მლაშე (კახ., ქართლ.)—ნ. დტიტული.

მლიავი (გუდ.)—ნ. ლივლივი.

მწვირე (ძვ.)—ნეხვი ალაფებუ-ლი. „ნახა, ფოლორცში მწვირე დგას და შიგ საპყარი გლახა აგ-ლია“ (სიბრძნ. სიტყ. 176).

მოგება (ქართლ., კახ.)—ნ. ზარეა.

მოღვამი (ძვ.)—კარგი ჯიში, ჩამომავლობა (ჩუბ.).

მოღვმა (ქართლ., კახ.)—საქონლის ჯიში, გვარი.

მოვლილი (მოხ.)—ორი წლის ქედილა. „მოიტანეს მოვლილის ქედილების მსუქანი ხორცი“ (ყაზბ. ტ. II-165).

მოზელილი (გულ., მთ.) — ნ. ქერხო.

მოზვერი (ქართლ., კახ.) — [მაზვერი (გულ.) — მაცალო, მოცალო (მთ.) — კვებული (ერწო) კოკყი (ხეც.) — ჭეჭყათი (თ.)] — სახარე ხბო წლისაზე მეტი. ჟვერძნი და მოზუერნი, დაღრეჯით დამალულნი თრთოდეს ლომისა შიშითა“ (ვისრ. 46).

მოთავებული (ლეჩხ.) — ნ. კაპოეტი.

მოთალი ყველი — ერთნაირი თათრული ფეხიერი ყველი, გულდაში ჩაყრილი. იციან ბორჩალოში.

მოიმახე (გურ.) — [აჯაბაჯა (ბერ.) — ფეხმრუდე, ჩათლახი (გულ., მთ.)] — შიგნით ფეხებ შექცეული საქონელი.

მოლეული (ქართლ., კახ.) — შინაური ფრინველი, რომელმაც გაათავა კვერცხების დება.

მომგე (კახ.) — ნ. მეფევე.

მომყოლი (იმ., რაქ.) — ნ. ბუდე.

მონაგრამება (იმ.) — ნ. მონაგრება.

მონაგრება (თ.) — [მონაგრობა (გულ., მთ.) — მონაგრამება (იმ. ბერ.)] — საქონლის და ფრინველის მოშენება — მომრავლება. (შეად. ნერგო). ქიზიყში, გ-კახეთში მონაგრება ნიშნავს საერთოდ ქონების მოპოებას.

მონა ცხვარი (თ.) — ნ. ჩიხტა.

მორბელი ცხენი (ძვ.) — [მორბოლარი (გულ.) — მარბოლი

(ხეც.) — მუხლადი (მთ.)] — გამჭკევი ცხენი. „მაშინვე ჯოგი გამოასხმეინა; გამოირჩინა (ცხენები) მსუქანნი, მალე მორბედნი, სახედრად კარგნი“ (ვისრ. 317).

მორბოლარი (გულ.) — ნ. მორბელი.

მოსადილება (მთ.) — ნ. ცრევა.

მოსართავი (ქართლ., თ.) — ნ. გარსაკრი. „თავით ეღვა უნაგირი ზედ ვადეგლო სამკედური, ავიღე და ცხენს დავადგი, მოუქირე მოსართავი“ (ქართლ. ხალხ. სიტყვ. 236).

მოსტოქვა (ბერ.) — ნ. მოხობვა.

მოუქნელი ტყავი (ქართლ., კახ.) — დაუმუშავებული ტყავი.

მოუცადი (გ-კახ.) — ნ. სადგამი.

მოფანტყალება (ძვ.) — ფრინველის მიერ ფრთების შემოკრა. „ერთი ყვავი მოვიდოდა და მოფანტყალება“ (რუსულ. 713).

მოქნილი (კახ.) — ნ. ქერხო.

მოქოლვა (ქიზ.) — მეცხვარეებმა იციან საჯზე წყალში არეულ ნაცრის წასმა, რო ფათირს ცეცხლმა ძალა არ დაატანოს.

მოშვენდა (ფშ.) — წაბლის ფერი ძროხა.

მოჩიტება (ძვ.) — ფრთების შეახმა, გახდა (ჩუბ.). „ის ყმაწვილი მართლა მოჩიტებულიყო და მისთვის მასწავლებინებს“ (რუსულ. 422).

მოჩეთი (თ.) — ნ. ვარია.

მოჩოთი (იმ.) — ნ. ვარია.

მოჩრუხი (ერწო)—ნ. ვარია.
 მოჩხორაოზი (გურ.)—ნ. ვარია.
 მოცადი (ქართლ., გ-კახ.)—წე-
 რილ ფეხა საშენებელი საქონელი
 (კირ.).
 მოცედი—საფურე ხბო წლამდის
 (საბა).
 მოჭი-მოჭი (გურ.)—ნ. კუტ.
 მოჭუა (იმ.)—ნ. კრუხი.
 მოხანებული (ხევს.)—ნ. მჩნე-
 ვიარე.
 მოხმერტლა (გურ.)—ნ. მო-
 ხოხვა.
 მოხოხვა (გულ.)—[მო ს ტ ო ქ ვ ა
 (იმ., ბერ.) მო ხ მ ე რ ტ ლ ა (გურ.)]
 —საქონლის მიერ ბალახის ძირზე
 მოჭმა.
 მოხოშვრა (ძვ.)—ცხენის ლურ-
 სნის გამოცვლა (საბა).
 მჟოლი (ერწო)—ნ. ჭანგი.
 მრავალ-ფურცელა, ასფურცე-
 ლა (გულ. ფშ.)—[წ ი გ ნ ა რ ა (საბა,
 კახ)—ბ ე ვ რ ა-წ ი გ ნ ა-(იმ.) წ ი გ-
 ნ ა წ ი გ ნ ა(იმ.)—ც ხ რ ა პ ა ტ ა რ
 ძ ა ლ ა (რაჭ. [ბერ.])—მცოხნავ სა-
 ქონლის კუჭის მესამე განყოფი-
 ლება, რომლის ლორწოიანი გარსი
 ფურცლებივით არის ჩაწყობილი.
 მრეში (კახ., ქართლ.)—ნ. ყომ-
 რალი.
 მროწლე (საბა)—[ნ ა ხ ი რ ი
 ქართლ., კახ.)—წ ი ლ ს ა ქ ო ნ ე ლ ი
 (ხევს.)—მეწველი საქონელი, რო-
 მელიც სამოვარზედ დადის უხბოდ.
 „და იყო მისსა პირუტყვი. არვე
 ცხოვართა და მროწლე ძროხათა“
 დაბ. 26,14).

მრქენელი (საბა)—[მ რ ჩ ო ლ ა-
 ვ ი (კახ., იმ.)—მ ჩ რ გ ა ვ ი (გულ.,
 მთ.)—მ ჩ ი რ გ ა ვ ი (ხევს.)—მ ჩ ხ ე-
 რ ე ლ ი (ფშ.)—მ ჯ ი ხ ე ნ ე ლ ი,
 მ ჯ ლ ე ხ ე ლ ი (თ.)—რქით მაწ-
 ყინარი საქონელი.

მრჩოლავი (იმ., კახ.)—ნ. მრქე-
 ნელი.

მსუყე (ქართლ., კახ.)—მსუქანი,
 ნოყიერი საქმელი. „და პური
 ხუარბლისა შენისა იყოს სავსებით
 და მსუყედ“ (ისაია 30,23).

მუზამფარი—მუყუყი; მოხარშუ-
 ლი ხორცი ან თევზი ძპარში ჩა-
 დებული (საბა).

მუკული—ავშრის საბელი (საბა).
 მუნდაო (ქიზ.)—ნ. მხარმაღალი.
 მუნი (კახ.)—ქეცი.

მურა—მუქი წითელი; მაგ. მურა
 ცხენი (ჩუბ.); უურო ითქმის ძალ-
 ზე.

მურღალი (ხევს., მთ., მოხ., გულ.,
 თ.)—ნ. უსულადი. „ღმერთმა ტყ-
 ვიაც არ აღირსა, ისე მურღლად
 მოჰკლა“ (ყაზბ. ტ. I-23).

მურეშა (საბა)—მურაშა (გულ.)
 —წითელ-შავად აქრელებული სა-
 ქონელი.

მუტრუკი (კახ., ქიზ.)—[მ უ ტ რ უ-
 კ ა თ ი (თ.)]—ჩვილი ვირი, ჩოჩორი.
 „მოსცნა ეკლესიასა ჩუენსა მუტ-
 რუკი“ (ათონ. ივ. მონ. 1077 წ.
 ხელთნაწ. აღაპ. 255; ან: მუტრუკი
 მიტომ მუტრუკობს, დედა ჰყოლია
 ვირიო, კაცი ბეჩავე, მჩაგრავე,
 სად გაგონილა გმირიო“ (ვაჟა).

მუში (ფშ., ხევს., თ.)—ცაცხვის ტოტებისგან გახდილი ქერქი, ავშრის მაგივრად ხმარობენ ცხენის და ჯორის ცხვირზე ჩამოსადებლად (ა. შან.).

მუცელა (გურ.)—ნ. ფაშა.

მუხლადი (კახ.)—1) ნ. სამანდი; 2) ნ. მორბელი.

მუხლი—საქონლის წვივის და იდაყვის ძელების სალსარი. „შანქისა ცხენმა ტიაღმა, მუხლთ დაიხვია ქარიო“ (თ. ხალხ. სიტყვ. 74).

მუხლის ტარი (ზ-იმერ.)—მუხლის ქვემოთი ნაწილი, წვივი, კანქი. „სოლოღამ ჩამეიარა ქალაქში იზინდრითაო, სამჯელ ცხენი წამეექცა, სამჯელვე მუხლის-ტრითაო“ (ხალხ. სიტყვ. 2).

მუხლის ფარდა (ხევს.)--ნ. კვირისტავი.

მუხრუჭი (საბა, კახ.)—ნ. ლავაშა.

მუხ(ლ)-შავი (ფშ.)—მძიმედ მოსიარულე საქონელი (კყ.).

მქისე (თ.)—მსხვილი და მოკლე ბეწვი მატყლისა (ა. შან.).

მქიქი (ამ.)—ნ. ხრილი.

მლიერი (ძვ.)—ძლიერი მუნი (საბა). „ანუ მლიერი, ანუ მეფხანონი არა შესწირონ ესე ვერძი უჯლისა“ (ლევიტ. 22,22).

მუეფარი (გ-კახ.)—ძალდი.

მუიე (ძვ.)—ნაცრის ფერი (საბა).

მშვანი (ჩუბ.)—ნ. ეშვი.

მშლელა (ფშ.)—ნ. ჯორჯალი.

მშრალი (ქართლ., კახ.)—უწველაყი საქონელი. „დავთარს დაი-

ქერდეს, რასაც კომლს რამდენი ბატკანიანი და რამდენი მშრალი ეყოლებოდეს, დასწერდეს“ (დასტ. 67).

მჩირგავი (ხევს.) - ნ. მრქენელი. **მჩნვეიარე** (ერწო)—[ძღძუმბიერი (გუდ; მთ.)—მოხანებული (ხევს.)]—ფური თუ ცხენი, რომელსაც მოახლოვებული აქვს შვილის მოგების დრო.

მჩორე (თ.)—ნ. ჩონჩორიკი.

მჩურგავი (გუდ., მთ., მოხ.)—ნ. მრქენელი.

მჩვერელი (ფშ.)—ნ. მრქენელი.

მცვარი (ერწო) - ნ. ქენჯი.

მცნობი (ფშ., თ.)—მეცხვარე, რომელიც დოლის დროს ცხვარში ტრიალებს და იხსომებს, თუ რომელმა ცხვარმა რომელი ბატკანი მოიგო. წოების დროს, როცა დედა და ბატკანი ერთმანეთში ერევა, ბევრი ბატკანი იელარ პოულობს დედას. მცნობის მოვალეობაა-ყოველი ასეთი ბატკანი თავის დედას მიუყვანოს. უმცნობოდ ნახევარი ბატკანი დაილუპებოდა. ამის გამო, თუ ბინაზე მცნობად არავინ ივარგა, მაშინ ბინა ქირაობს მცნობს თვეში 25-30 მან. სხვა ბინიდან. ზოგ მცნობს შუუძლიან დაადოლოს 1000 ცხვარი.

მძალე (ქართლ., კახ.)—[მძახე (მოხ., თ., გუდ., მთ.)]—მომწარო; მაგ. მძალე ერბო—ერბო გამწარებული, წამხლარი.

მძევალი (კირ.)—[ნამათვარა იმ.]—ნამოკვეარა (გურ.)—ფალ

(ინგ. ჯან.)—კვერცხი, რომელსაც სდებენ საბუღარში, რომ ქათამმა სწორედ იქ დადოს კვერცხი. ქართლ-კახეთში მრევლად სდებენ „ლაყე“ კვერცხს, სხვაგან კი ხან თუ ლაყეა, ხან სრულიად სალია.

მძებნი (ფშ., ძვ.)—ნ. ძიხვი.

მძიმე (მოხ.)—ნ. ზანტი.

მძლევარი (ხევს., თ.)—საზამთროდ თბილ ქვეყანაში მიმდინარე ფრინველი (ა. შან.).

მძოვარი, მძოარი—მუწუკი თმათ ნაცვიენებელი, სრსვილი (ჩუბ.).

მძორი (კახ.)—[მ ზ ო რ ი (ხევს.)]—მკვდარ საქონლის დამპალი ლეში.

მძუნა (მთ.)—ნ. ძოვარა.

მძუარა (გუდ., გურ.)—ნ. ძუარა.

მძუნაობა (საბა, კახ.)—[ძ უ კ ა ო ბ ა (თ.)]—ძალთ აღრევა.

მწაქა (გურ.)—ნ. წაქა.

მწერვალი—გრძელი ფრთა (ჩუბ.).

მწვადი—შამფურზე აგებული ღ ცეცხლის ნაკვერჩხალზე შემწვარი ნაქერ-ნაქერად დაჭრილი ხორცი. „წლის თავით თევდორობამდის მონადირეთ-უბუცესი მწვადს მიიხვამს“ (ხელმწ კარ. გარიგ. 1.).

მწვეთი (გუდ., მთ.)—ნ. ქენჭი.

მწვირე (საბა, გუდ., მთ., მოხ.)

—[მ წ უ რ ე (ხევს., თ.)]—საქონლის შარდი. „მღვიმესა შინა არა იყო წყალი, არამედ მწვირე“ (იერემ. 38,6.).

მწიხლავი (ქართლ., კახ.)—წიხლის მცემელი საქონელი.

მწკა (თ.)—ნ. სკა.

მწკალი (ხევს.)—ცხოველის ბრკვალი, ფრინველის კლანჭი (ნ. კანგი). „ჯანთაშა ივანეული კილდის ვეფხვია მწკალიანი“ (იერ. 1888 № 79), ან: „გაჯავრებული მოყმე, დაშლის არწივი მწკალსაო“ (ხევს. ბეს. გაბ. 218).

მწუთხე (გურ.)—ნ. წაქა.

მწურე (ხევს., თ.)—ნ. მწვირე.

მწუსვა (ვმწუსი)—საქონლის საძოვარზე ყარაულობა.

მჭლე (ქართლ., კახ.)—უცხიმო ხორცი; გამხდარი ლუბი საქონელი. „და შესქამნეს შვიდთა მათ ზროხათა საძაგელთა ხილვითა და მჭლეთა ხორცითა“ (დაბ. 41,4), ან: „კაქების, შურთხის და როქოსი ბოინი გვიდგა კარზედა, გასუქებულან ლუბ-მჭლენი, აქ მოიბრძვიან პაზედა“ (ვაყა ტ. I—87).

მხარ-ბეჭი (კახ.)—ნ. სიბანი.

მხარ გვერდი (მოხ.)—ნ. ფელიკი, ფეშო.

მხარი (ქართლ., კახ.)—ბეჭ ქვეითა ძვალი, მასზედ გამაგრებულ კუნთებით. კახეთში იგი ნიშნავს საკლავის ბეჭსაც. „და წმინდა ჰყო ბეჭრდი და მხარი განჩინებული“ (გამოსვ. 29,26).

მხარმალალი (გუდ., მოხ.)—[ბ ე კ ის თ ა ვ ი (იმ.)]—ქინდრი (გურ.)—ქედმალალა (სვან.)—ითქმის მსხვილ ფეხა რქ. საქონელზე; მინდაო (ფშ., თ.)—[მ უ ნ დ ა ო (ქიზ.)]—ჯ ი დ ა ო (საბა)—ნ ი

დაო (იმ.) — კუნკრუხა (ქკ.) — ითქმის ცხენზე; ქეჩო (ქართლ., კახ.) — ქინჩი (იმ.) — კინჩხი (გურ.) — ითქმის ლორზე; — საქონლის კისრის დასასრულის და ზღრვის დასაწყისის საზღვრის ამაღლებული ალაგი.

მხლალი (გურ., მთ.) — ნ. ჭაკი.

მხე (ქართლ.) — 1) მქავე; ტუბილ გემოიანი (საბა); 2) ნაცრის ფერი, მხიე (ჩუბ.).

მხედარი, (მხედრ.) — სამხედრო იარაღით აღჭურვილი ცხენოსანი; თუშეთში იხმარება საერთოდ ცხენოსან კაცზე. „მხედრ მომადა — დევნიან და მეოტ ჰყოფნ მათ ყოველთა“ (წამ. წმ. შუშანიკასი — 12).

მხრის უღელი (ხეც., ფშ.) — ნ. ჯილო.

მჯიხენელი (თ.) ნ. მრქენელი.

6.

ნაარხაჯი (ფშ., ქიზ., თ.) — ცხერის ნადგომი ბინა.

ნაბამი (ფშ.) — ნ. გახელისებული.

ნაბამი (ერწო) — ნ. ნაურვალი.

ნაბარევი (ქიზ.) — ცხერის ავადშყოფობაა, სიცხით გამოწვეული. როცა მთაში წასასვლელი ცხვარი იგვიანებს ბარში, მაშინ იგი ისიცხება და გადის სისხლიან შარდზე. ნაბარევისა ძალიან ეშინიან ქართულ ცხვარს და დიდათაც ზარალობს ხოლმე.

ნაბატკვარა (გურ.) — ნ. ბიკაბატკანი.

ნაბოლარა (იმ.) — ნ. ნალევა.

ნაბრდღვენი — ნაწიწკნი (ჩუბ.). „არწივი დიდი ქველ ნაბრდღვენი“ (ეხეკია 17,3).

ნაბუთა (ინგ.) — პატარა, ნაბოლარა (ჯან.).

ნაგალა (ერწო) — ნ. ნალიტა.

ნაგალი (ფშ.) — გამოხრილი, შექმული. „ეს ჩემი გული რასა ჰგავს,

ცხენთა ნაგალი ნალია“ (იეერ. 1888 № 239).

ნავი — აგებულება, სხეულის მოყვანილობა. „ნავა ქცივითა ტურფითა, ანაგებისა ნავითა“ (ვეფხ. ტყ. 915).

ნავულა (მთ., ხეც.) — საჩქერელში დამრჩალი მატყლი; თუ ნავულა გაზაფხულის მატყლისაა, — ეტყვიან კვირტს (ა. შან.). კვირტია საერთოდ უვარგისი მოკლე მატყლი, თანფარის ქვეშ ამოსული.

ნადებარი, ნადები — სუნ დაცემული ხორცი ან თევზი (ჩუბ.).

ნადი — ამხანაგობა, არტელი.

ნადულალი (მოხ.) — [ნადულარი (იმ.; მთ., გურ.) — კალტი (ფშ., ქიზ. თ.) — აზლაკი (თ.) — ანძლატი (საბა) — ხარხაცი (სვან.)] — ყველის შრატიდან მიღებული პროდუქტი, ყველის მსგავსი.

ნავი (კახ.) — [ლათვე, ლათვე (ა. შან.)] — წყალზე დადგმული

გძელი გეჯა საქონლის დასაღვეად.
ნაველი (მოხ.)—ნ. ლაბაბი.
ნაზამთრი (მთ.)—ნ. განგური.
ნაზარდა (გურ.)—ნ. გახელისე-
ბული.

ნაზარდა (იმ.)—ბურვაკი.

ნათო (იმ.)—ნ. საღრა.

ნაკელი (იმ.)—ნ. ნეხვი.

ნაკეხავი (მთ.)—ნ. კამბული.

ნაკეთი (იმ., მეგრ.)—[დეღამა
(თ.)—დეღამუჭი (მოხ.)—დე-
ღამუჭი (საბა, კახ., ქიზ.)—თა-
ში (სვან.)—საყველედ შედეღებუ-
ლი რქე.

ნაკირკალა (გურ.)—უფარგისი
მატყლი, კვირტი (ა. შან.).

ნაკი (გულ., მთ., მოხ.)—ნ. ნა-
ლიტა.

ნაკირკალა (ფშ.)—[ნაკერკა-
ტი (გულ.)—ნაკერკალა (მთ.,
მოხ.)—ნაკერკატალი (ხევს.)]
—ცხვის ტყავის გამოუსადეგარი
ნაჭერი.

ნაკრტენი—ფრინელის ბუმბუ-
ლი (საბა).

ნალზანდი (ქართლ., კახ.)—ნა-
ლის დამკვრელი, საქონლის დამ-
კვდავი.

ნალევი (კახ., იმ.)—[გამონა-
ლია (გურ.)—ნაბოლარა (ზ-იმ.)]
—უკანასკნელი კვერცხი, რომელ-
საც სდებს მოლეული ქათამი.

ნალი (ქართლ., კახ.)—რკინის
ნაჭერი, რომელსაც საქონელს აკ-
რამენ ლურსმებით სალიაზე. ძველ
ქართულადაა საჭედარი და ლუმ-

ბა (საბა). თამარმა ტყვე ეზინკელი-
განყიდა ნალად ცხენისა“
(ქართლ. ცხ. კიქ. 471).

ნალის კბილი—ცხენის ნალის
წაგძელებული ნაწილები, რომლი-
თაც ეყრდნობა დედამიწას.

ნალისი (ლექს.)—ნ. განგური.

ნალფარა—ცხენის ქართული ნა-
ლი (ქყ.).

ნამათვარა (იმ.)—ნ. მძევალი.

ნამალევი გოჭი (კახ.)—ფარი-
დან დროებით გაქსუებულ ნეზვის
მიერ დაყრილი გოჭები.

ნამარილევი (ფშ., თ., ქიზ.)—
ადგილი, სადაც ცხვარს აქმევენ-
მარილს.

ნამგალა—მეზობელ ბინის მეც-
ხვარე.

ნამწვებლავი (ხევს.)—მოგებულ
საქონელს რაც თან გამოჰყვება დე-
დის ბუდიდან (ა. შან.).

ნამწველი (ხევს., თ.)—მონა-
გები (მოგებული) საქონელი (ა.
შან.).

ნამთევი (მოხ., კახ.)—მთიდან
შემოდგომამზე ჩამოსული საქონელი.
„მაგრამ ნამთევს, გასუქებულს.
ცხენს ქშენა მალე მოიყიდა“
(ყაზბ. ტ. I—160).

ნამლევი (ლექს.)—ნ. ნათუტკნი.

ნამოჭვარა (გურ.)—ნ. მძევალი.

ნამტენა (ხევს.)—ნ. ფარტენა.

ნამწვარავი (ხევს.)—ნ. ხრილი.

ნაპარევი (გულ., მთ.)—ნ. ქარა-
ბიკა.

ნაპარსი (თ.)—ნ. კანძი.

ნაპატივარი (გულ.)—ნ. კამებუ-ლი.

ნაპირველა (გურ.)—ნ. ხსენი.

ნარიკი—რკინის კვერის წერი-ლი თავი (საბა).

ნასუქალი, ნასუქი—ნ. კამებუ-ლი. „მას ტაიქსა არაბულსა, ქვე-ნაბამსა, ნასუქალსა“ (ვეფხ. ტყ.—55).

ნასხმევი—მაგ. აღვირ ნასხმევი, აღვირ ამოდებული. „არ ძალ მიძს ქება, მე დადუმება, მით აღვირ-ჩიენ, აღვირ ნასხმევად (ჩახრუხ. 49, ჩუბ. ქრესტ.)“.

ნატერფალი (ნ. ტერფი)—ცხე-ნის ნაფეხური. „ნუ თუ ღმერთმა არ გაგყარნეს ცხენთა თქვენთა ნატერფალსა“ (ვეფხ. ტყ. 635).

ნატი (ძვ.)—მოქნილი ტყავი (კა-რიქი). „მან ქალმან ქვეშე დაუგო ვეფხვის ტყავისა ნატები“ (ვეფხ. ტყ. 261).

ნატრუკი—ნასუქი. „დაბმულთა ღორთა გვამსგავსებთ, რომ გვნა-ხოთ განატრუკარი“ (ბესიკი 175).

ნატყვეპარა (გურ.)—ნ. ლაყვი.

ნაურვალი ცხენი (ფშ.)—[გ ა უ რ ვ ე (გულ.)—ნ ა ბ ა მ ი (ერწო)—გ ა უ რ ა ვ ე ბ უ ლ ი, ნ ა უ რ ი (გურ.)—კარგად მოვლილი ცხენი.

ნაური (გურ.)—ნ. ნაურვალი.

ნაულელი (ხევს.)—ნ. ნაღველი.

ნაფაზი (კახ.)—გულზე ხიხინი; მაგ. ნაფაზიანი ცხენი, რომელიც იწყობს ხიხინს, ქშენას გაჭენების დროს.

ნაფერდალი—ფერდის ქონი (ანუ მუკლის ქონი)—ნ. რკმელი.

ნაფერი (კახ., ქიზ.)—ნარევი საქონელი, მეტისი.

ნაფოლი (გულ., მთ.)—გადაჩე-ჩილი მატყლი. ნაფოლს ხელმეო-რედ რომ გადასჩეჩენ, პირველია ფარტენა, მეორე—ნაფულა, მესამე კვირტი. ფარტენას ართვენ და კარგ შალს იმითი ჰქსოვენ, ნაფუ-ლასგან გამოდის დაბალი შალი, კვირტისგან კი-ფიჩვი, ფლასი და ფარდაგი (ა. შან.).

ნაფუნჩარი (ძვ.)—ძუძუხედ გა-სუქებული ჩვილი საქონელი (ჩუბ.). „ციცკარებით, იციცკარებით შენთა ბროლ-ვარდთა ზრო ნაფუნჩევად“ (ჩახრუხ. 47, ჩუბინ. ქრესტ.)

ნაფუტკნი (ფშ.)—[ნ ა ფ უ ტ კ ნ ა რ ი (გულ.)—ნ ა მ ლ ე ვ ი (ლექხ.)]—უმამლოდ დადებული კვერციხი.

ნაფუძარი (თ.)—მეცხვარის სა-ზაფხულო ბინის ან ფარების ნან-გრევი.

ნაქურცნი (ერწო)—ნ. განგური.

ნაღები (ქართლ., კახ.)—[ლ ა ლ ა (მოხ.)—ლ ა ბ ი (გურ.)—ა რ ა ე ა ნ ი (ჯავახეთი)—თ ა ვ ნ ა რ თ ა ვ ი (რაქ.)]—რძიდან მოხდილი სიმსუქ-ნე, ცხიმო, რომლიდანაც სღღვებავენ კარაქს. „ქვაბში ნაღებს არ უშ-ვებდა, კიღობანში კარაქსაო“ (ქართლ. ხალხ. სიტყვ. 248).

ნაღები (ლექხ.)—მოხარულ ღორის წვენიდან მოხდილი სიმ-სუქნე, ქონი.

ნაღველი—[ნაუღელი (ხეეს.)]
—საქონლის პატარა ბუშტი, მობ-
მული ღვიძლზედ, რომელშიაც
იწყობება ღვიძლის სეკრეტი,
იმავე სახელით წოდებული, რომე-
ლიც განსაკუთრებულ როლს ას-
რულებს ცხიმების დაყოფის საქ-
მეში.

ნალიტა (საბა)—[ნაკი (გულ.,
მთ., მოხ.)—ბაჩა (ხეეს.)—ნაგა-
ლა (ერწო)—ბუბლი, კოინა
(იმ.)—კოდინა (უჭმელობით პა-
ტარა)—ბლილი (ბუნებრივად პა-
ტარა—(გურ., ლეჩხ.)—ბეჩავა
(თ.)]—პატარა ტანის, დაჩაგრული
საქონელი.

ნაშენი—მონაგები. „ქათამი თუ
აბარია, თაენი 17, იმისი ნაშენი
წელწაღში 51“ (დასტ. 8).

ნაჩი (ქართლ., კახ.)—[ნაცი
(საბა, თ.)—ნაწყლი (იმ.)—სა-
ქონლის უკანა კარი. „თუ ოქრო
და ვერცხლი კარგი იყოსო, ჭაკს
ჯორსა და ცხენს ნაჩი არ გაუყ-
რიანო“ (თიმსარ. 44).

ნაცარა (ქიზ., ფშ.)—თავის
ფერი. „ერთი ქათამი დაგიკალ
ბუმბულა იყო, ნაცარა“ (ფშ. ივერ.
1887 № 193).

ნაცვლური (მთ.)—ნ. თოხარიკი.

ნაცი (საბა, თ.)—ნ. ნაჩი. „კაც-
სა დაჰსერის უგულობა და დიაც-
სა ბოზი ნაცი“ (ვეფხ. ტყ. 1182).

ნაციხ ნაწლაფი (თ.)—ნ. სამ-
ბედრო.

ნაწი (ჩუბ.)—ნ. ღვრიტა.

ნაწილარი (თ., ფშ.)—[არხაჯი
(ქიზ, ფშ.)—მთაში, ბინის შო-
რი-ახლოს ამორჩეული ალაფი, სა-
დაც ღამეობით დგება ცხვარი.
„სისხლისა ღვარი დაბრუნდა, გა-
წითლდა ნაწილარიო“ (თ. ხალხ.
სიტყვ. 79).

ნაწყლი (იმ.)—ნ. ნაჩი.

ნაქუეპი—ამძაღლებული შრავი
(ჩუბ.).

ნახირი (ქართლ., კახ.)—ნ. მროფ-
ლე. „შენ ნახირსა შუა ჰხამ, ზრო-
ხათა შიგან“ (ეისრ. 201).

ნახედნი (კახ., ქართლ.)—გა-
ხედნილი საქონელი.

ნახშივარა (გულ.)—ნ. ხიწიწი.

ნახშიორა (მოხ.)—ნ. ხიწიწი

ნებიერი (ზ.-იმ.)—უშობელი ფუ-
რი (ბერ.).

ნეზიხ იორლა (ქართლ., კახ.)—
ნ. თოხარიკი.

ნეზვი (ძვ., კახ., ქართლ.)—
ძველად საერთოდ ნიშნავდა ღე-
დალ საქონელს, ვერძი კი-მამალს,
მაგ.: „თუ ზროხათაგან შესწირ-
ვიდეს იგი, გინ თუ ვერძსა, გინ
თუ ნეზუსა უბიწოა: მოიბინ იგი
წინაშე უფლისა“ (ლევიტ. 3,1).
დღეს ქართლ-კახეთში იხმარება
მხოლოდ წვრილ-ფეხა დედალ სა-
ქონელზე: „ზოგიერთსა დედაკაცსა
კიდევს სჯობს ნეზვი ღორი“.
(მოგზ. 1901 № 714).

ნეკი (იმ.)—ნ. ქუტუცი.

ნეკიანი (ქიზ.)—გამძაღარი,
ფერდამოღებული საქონელი.

ნეკნი (კახ.)—[წიბო (მთ., გულ.)—ფერცხალი (თ., ხევს., ფშ.)—გვერდის ძვალი (იმ., გურ.)]—ცხოველის გულის ყაფაზის გარეშემო ძვლები, ზურგის მალებთან დაკავშირებული.

ნეთხა (ხევს.)—**ნეთხი** (ფშ.)—რქის გული, რაზედაც ყანწია ჩამოცმული (ა. შან.).

ნერბვა (ფშ., თ., ქიზ., კახ., მოხ.)—(ცხვარზე)—**ბოტნა** (იქვე—თხაზე)—ყოჩის და ცხვრის, ბოტის და თხის შორის სქესობრივი აქტი. უკეთუ ამ აქტს მოჰყვა საშვილოსნოში ნაყოფის ჩასახვა, მაშინ იტყვიან: **გაინერბა, გაიბოტნა.**

ნერბი—დედალი ცხვარი (საბა).
ნერლი (ფშ.)—**ნირლი** (ხევს., მოხ.)—ყველის ან ხაქოს დროს არეული შრატი. აქედან **ანერლდა** (მთ.)—რძე კარგად არ აიქრა, არ შედედდა (ა. შან.). მოხევურად ნიშნავს ნადუღალის ამოღების შემდეგ დარჩენილ შრატს.

ნერჩი (იმ.)—**ნერკი.**

ნერკი (რკ.)—[**ნერჩი** (იმ.)—**წილი** (თ.)]—მოხარულ ხორცის ნაქერი.

ნესტო (ქართლ., კახ.)—[**შუშუტა** (მოხ.)—**შუშტუკი** (ფშ.)—**პინჩი** (საბა)]—ცხვირის ხვრელის დასაწყისი სახიდან.

ნეხვი (ქართლ., კახ.)—**ნ. სკორე.** „ვარდთა და ნეხვთა ვინადგან მზე სწორედ მოეფინების“ (ვეფხ. ტყ.

49), ან:—„შენ ჩემო კარის ვენახო, წვეთი არ გამოგდიოდა!—არ იცი ბარი, ნიჩაბი, ნეხვი არ შეჰომდიოდა“ (კახ. ხალხ. სიტყვ. 117).

ნეჯჯი (თ.)—**ნ. მენჯი.**

ნილაო (იმ.)—**ნ. მხარმაღალი.**

ნიკარტი—**ნისკარტი.** „ნიბლიას-ცა ნიკარტს სისვრით განუწონი სწორა კრკალი“ (ბესიკი 140).

ნიკველი (საბა)—**ნ. დინგი.**

ნიკორა (ქართლ., კახ.)—**ნ. სალრა.** „შავი კამეჩი დამდგარა, ნიკორა იქნევს ყურებსა“ (ხალხ. სიტყვ. 347).

ნირი (ფშ., კახ.)—**ზნე, ჩვეულე-ბა.** „შენ ძაღლის ნირისავ“ (ა. შან.).

ნირლი (ხევს.)—**ნ. ნერლი.**

ნისკარტი—ფრინველის გამძვალე-ბული ტუჩი, რომლითაც ჰქენკავს მარცვლეულობას.

ნისლა (ფშ., კახ.)—[**ტრედანა** (ერწო)]—ლურჯი, რუხი ფერის საქონელი. „გვერდ უდგა ნისლის ფერაი (ცხენი), ტრედივითა ჰქონ მხარნია“ (ფშ. ივერ. 1889 № 215), ან: „ასი კურატი რქა-თეთრი, ორასი ნისლა ხარია“ (ვაჟა ტ. I—32).

ნიშა (კახ.)—**ნ. საღრა.** „მე რომ ვხედავ ნიშანსა, ხარს დაგვიკვლენ ნიშასა“ (ხალხ. სიტყვ. 146).

ნიშანი ქნა (კახ., ქიზ.)—**დოლის დროს პირველად დაყრილ ლორზე იტყვიან.**

ნოგრი (იმ.)—**ჩამომავლობა, ჯილაგი.** „(უღდი ნოგრის ცხენი გყოლია ძამიავ!“ (იმ.).

ნოთა (იმ.)—ნ. კიოფი.
ნონო (გომარ.)—**ნონნა** (მესხ.)—
 ნ. ნუნა. „ხელები რად შეგიღებამს?
 ნონნა მტკივა გენაცვალე“ (ხალხ.
 სიტყვ. 458).
ნუნა (ქართლ., კახ.)—[**ნონო**
 (გომარ.)—**ნონნო** (მესხ.)]—თითს
 რომ ფრჩხილი და ჩლიქს რქა წა-
 ჰძვრება, ნუნაზე დადგება; უკაპსუ-
 ლო ჩლიქი. „თითიას თითი სტკი-

ოდა, ნუნა გაჰშაფებიაო“ (ხალხ.
 სიტყვ. 285).

ნოტო (თ., ფშ.)—ცხვის ფარის
 ნაწილი. „ჯალაბნიც ლეკებმ გა-
 რეკეს, როგორც ნოტოი ცხვისიაო“
 (თ., ხალხ. სიტყვ. 95).

ნოყიერი—პოხიერი, ყუათიანი
 საკმელი (ჩუბ.).

ნუხტა (ერწო)—თხის ბალნის ან
 კანაფის ავშარა.

ო.

ოვიჩოო (იმ.)—ნახირის შეძა-
 ხება გასარეკად (ბერ.).

ოგური (კახ.)—[**ულური** (ხევს.)]
 —საქონლის ახლო ნათესაობა. „ბი-
 ნაზე დაბრუნებისას, ლორის ყოვე-
 ლი **ოგური** ბოლუქ-ბოლუქად ეყრე-
 ბა თავთავიანთ თერგში“ (კახ.).

ოთხ-ახმა (ძვ.)—[**დაოთხება**
 (კახ.)]—ცხენის ქენება, როცა ოთ-
 ხივე ფეხი ჰაერშია. „ავთანდილ
 იგი მინდორი **ოთხ-ახმი**თ გადაი-
 რა“ (ვეფხ. ტყ. 177).

ოთხ-რახსი—ბედაური, გვარიანი
 ცხენი (ჩუბ.).

ოზბეგური უნაგირი—საქართვე-
 ლოში ძველად ცნობილი უნაგირი,
 სპარსეთიდან შემოტანილი. „უნა-
 გირი **ოზბეგური** *) ვერცხლისა“
 (საქ. სიძვ. III—499).

ონე (საბა)—ნ. ჰუნე.

ოჯარო (იმერ. ბერ.)—[**თოფ-**
რა (გულ., შთ., კახ.)—**როფი**]
 პარკი, რომელშიაც აქმევენ ცხენს
 საკვებს და რომელსაც ჩამოჰკიდე-
 ბენ ხოლმე ცხენის თავზე.

ორა—ამოთლილი გობი ქვისა
 (ჩუბ.).

ორ-ალვენი (კახ.)—ლორი, რო-
 მელსაც თეთრ ბოლვენზე შავი, წი-
 თელი ან მრეში ფერის ხალი აქვს.

ორე (საბა)—ქურქელი, რომელ-
 შიაც ძაღლებს აქმევენ საჭმელს.

ორთუქი—ცხენის გავის საფა-
 რი (საბა). „ცხენს ისხდნენ კარგსა
 დაკაზმულს, რახტითა უნაგრითაო,
 მძიმეს ნაკერით **ორთუქით**, ბუშტით
 და ყუთაზითაო“ (ციცკ. 1858 № 6
 —71).

ორიანი (ერწო)—მაკე.

ორტაბახი—ნაშობი ორთა სხვა-
 თა და სხვათა ცხოველთაგან; მაგ.
 ჯორი (ჩუბ.); გრილისა და მხურ-
 ვალისა საშუალი (საბა).

*) ოზბეგი—ტომია სპარსეთში, ხორო-
 სანთან ახლოს (ნ. პარიზის ხრონიკა 21).

ორქაფა (ხეეს.)—ნ. მარქაფა. „ერეკლე ბატონიშვილი ტახტზეით ჩამოსულაო, ორქაფა შეუკაზმებავ, საომრად გამზიდულაო“ (ივერ. 1886 № 199).

ორქუა—ჩული, თაქნაბადი, МОИ-ЛОК (ჩუბ.).

ოფა (საბა, იმ.)—[ოფო (ჩუბ.)—ოფი (გულ., მთ.)—შუშაყი (თ., კახ.)—ყაბარჩუყი (გურ.)]—ცხენის საოლავის სენია. სინესტისაგან ცხენის ქაჩაჩის ცოტა ზევით აყრის წერილ მუწუკებს, რომლებიდანაც ჰკონავს წყალ მაგვარი, გამსჭვირვალე სითხე, мокро. „ზადი რომ არსად მქონია, ოთხ-ფეხქვეშ მქირდა ოფაო“ (კრებული 1899 № 2 განყ. II—42).

ოფიტონი (საბა)—ნ. აპოხტი.

ოჩანი (კახ.) — [ბოლარლო, გულარლო, ბურლო (ძვ.)]—ცხენი, რომელიც მუშაობის თუ სვლის დროს უცბად დადგება და ადგილიდან აღარ დაიძვრის, ვიდრე თვითონ არ მოისურვებს. „ქულა ათასი ბედაური, მალი კარგი სახედრები, თითო ღირდა თითო სოფლად, არ ოჩნები, პირ-მაგრები“ (შაპ-ნამე 269).

ოჩხარი—ოჩხი (ქართლ., კახ.)—ოჩხარი იციან უმთავრესად მეცხვარეებმა. ცხვრით დაზარალებული მეცხვარე გაჰმართავს სადილს, რომლის დამსწრენი შუა სუფრაში შეძლების დავებარად აჩუქებენ ცხვარს, რომ ყოფილი მეცხვარე ფეხზე დააყენონ. ამავგე მიზნით იმართება სოფლად ოჩხარი.

ოჭარო (რაჭ.)—სასაპალნე კეხი (ბერ.).

3.

პალანი—აქლემის კურტანი (საბა). „და ქვე შესხა (კერპები) პალანთა აქლემთა“ (დაბ. 31, 34).

პალდუმი—ჯორთ საბარკული (საბა); ялеш (ჩუბ.).

პალვანდი (საბა)—ნ. დუშაყი.

პალო (კახ.)—[მანა (თ.)]—თავიანი და მწვეტიანი ხის ნაჭერი, რომელსაც ურქობენ მიწაში და მასზედ თოკით აბამენ საძოვარზე ცხენს ან ხბოს.

პამპალა (იმ.)—დაუმაგრებელი კურო (ბერ.).

პაპახკირი (მეგრ. ჰყ.)—[წყალთ შახუთვა (მობ., გულ., მთ.)—

წყალთ-დაქერა (თ.)]—შარდის შეხუთვა, რაც გამოწვეულია უმთავრესად შარდის კენჭების დატყვით შარდის მილში.

პარსვა ცხვრისა—ცხვრის გაკრეკა. „ცხვარს გაუპარსაობით მატყლი გასდიოდა“ (თიმსარ. 25).

პატაში (გ-კახ.)—დამეავებულ მაწონს ზედა პირზე უჩნდება ქაფი, რომელიც აწყალებს მაწონს.

პატივი (გ-კახ.)—ნეხვი. „მიწას მიწა დააყარე პატივად დაედებაო“ (ხალხ. სიტყვ. 157).

პატრუქაკი (საბა)—საკლავი თხა და ცხვარი. „ხოლო იყენნ მღვი-

ნესა მას შინა შეიღნი ლომნი და მიეცემოდა მათ დღივ ორი კაცისა გვამნი და ორნი პატრუჟიანი“ (და-ნიელ. 14, 32).

პალგი (საბა)—ნ. ფაში.

პალვიანი (ძვ.)—ნ. ფაშა.

პეიტარი (საბა)—ნ. ბეიტარი.

პეპლვა—ფრინველთ სქესობრი-ვი აქტი. „რატომ აგრე მუცელი დაგიშვიო, რომელმან კაკაბმან დაგპეპლაო“ (თიმსარ. 38).

პერანგი (მთ.)—ნ. ბუღე.

პეტელა (იმ., გურ.)—ნ. კიკინი.

პინპიზი—საჭედრის (ნალის) ნა-ტეხი (საბა).

პინჩი (საბა)—ნ. ნესტო.

პირთეთრა (გურ.)—ნ. საღრა.

პირისპირ წველა (ფშ.)—როცა ფური მთელ წელს ან საერთოდ, დიდხანს იწველება.

პირნათელა (მთ.)—ნ. საღრა.

პირნათო (იმ.)—ნ. საღრა.

პირუტყვი — უტყვი ცხოველი (საბა).

პოზნაშა (საბა)—ნ. ჩობალი.

პოლტი (საბა)—ნ. კორნატი.

პოჩი (საბა)—[კუდა (კახ.)—

კუდალა (ქართლ., კახ.)—კუ-დურა (ჩუბ.)]—ბალნიანი მოკლე რიკი ირემთა (ჩუბ.);—მოკლე კუ-დი; მოკლე კუდიანი საქონელი.

პოჭიკი (იმ. ბერ.)—გოჭის ფეხი.

პოჭოჭიკი—თეძოს თავის საბრუ-ნავი ძვალი (საბა).

პოხილი—მსუქანი (საბა). „რამ არს ქვეყანა იგი, ანუ თუ პოხილ არს, ანუ მკლე“ (რიცხვ. 13, 21), ან: „ათი ზვარაკი რჩეულთა და ოცნი ხარნი პოხილნი“ (8 მეფ. 3, 14).

პრასი—კურო, ბულა, დაუკოდა-ვი ხარი (ჩუბ.).

პურტი (გ-კახ.)—საკლავის თხელ-ფერდი.

პწკარი (გულ., ფშ.)—ქანგი.

შ.

შამი (ფშ.)—ზანტი.

შანტი (გულ., ფშ.)—ნ. ზანტი.

შირფიკი (რაჭ. ბერ.)—ნ. ლუბი. (შეად. ჟოჟარიკი).

შიშკვი (რჭ.)—ნ. ცურკორდა.

შოჟორიკი--1) ნასუქი ხბო (სა-ბა); 2) მკლე ხბო (ჩუბ.).

შორჟორაკი—ხბო. „შორჟორაკ-თა ჟრიალს ვსწყვეტდი, ვიყავ მთა-თა გარდამლახვად“ (ბესიკი 141).

შლალი (იმ.)—ნ. სარია.

შლირტლიანი ცური (ფშ.)—ნ. ცურკორდა.

რ

რახანა (რაქ.) — ნ. ზანტი.

რაჟი (გურ.) — ნ. რაში.

რაში (ქართლ., კახ.) — [რეში (მოხ.) — რეშხი (გულ., მთ.) — რაჟი (გურ.)] — ზღაპრული ცენი. რაშსაზე შავის ზღვისასა მგდომს ეშინოდეს ვაებით“ (აღლუზ. 13), ან: — „გადმოხტა ცხენით, რაშს შეჯდა“ (აღლუზ. 15), ან: — „აფრინდა და რაშსა ფრთენი უგვენ ზურგსა მონაზარდსა“ (შაჰ-ნამე 2614). ქართლ-კახეთში იციან „ჰაი გიდი რაშო ცხენო“ — როცა დაინახამენ ძალიან გამხდარ ცხენს. (ფშავლის თქმით — „რაში შეიძლება ზღვისაც იყოს. რაშზე ნაკლებია მერანი, მერანზე — ტაიქი“).

რახსი — შავი ცენი. [შავ-მოწითალო ცენი (საბა); წაბლის ფერი ცენი (ჩუბ.); საზღაპრო ცენი (აბულ.)]. „რა შეხედა, როსტომ იცნა ჰაკი ერთი, ლომ ნაკვეთი, მალალი, მოკლე ზურგითა, შავ-რახსი მუნ სახიერი“ (შაჰ-ნამე 2026), ან: — „ჩემსა შავხ რახსსა რატომ ჰგავს, დედა ჰყავს იმათებული (ibid. 2032), ან: „ცხენი თოხარიკი რახსი ერთი“ (საქ. სიძვ. ტ. II — 215).

რახტი — ცხენის მორთულობა, ოქროთი ან ვერცხლის ბალთებით მოკედლილი. რახტი ჰფარავს ზურგს და გავასაც და ეფინება უნაგირის ქვეშ. „დედის თქვენის ცხენი კარ-

გად მორთულ ვერცხლის უნაგირით, რახტით“ და სხ. (თავგად. იესე ოსეს შვ. 83).

რბილი — 1) უძელო ხორცი (ქართლ., კახ.); 2) ნ. ზანტი (ხევის.).

რბოლება (მოხ.) — ნ. კენება.

რემა -1) ამ სიტყვას სხვადასხვანაირად ჰხსნიან, მაგ. — უხედნი ცხენი (საბა), ვირი ან ვირის ჯოგი (ჩუბ.), მაგრამ მართალია მხოლოდ აბულაძე, რომელიც ჰხსნის ჯოგად საერთოდ. მართლაც: „და მოიყვანა სამწყსოსა და ხართა რემათა და ვირთა“ (1 მეფ. 27, 9), ან: „გვიხაროდა მის რემიხა წამოსხმა, ვიწონეთ, რომელ იყო ოცი-ათასი ცხენი“ (აქ. დარეჯ. 190). გურიაში დღესაც ამ შინაარსით იხმარება ეს სიტყვა, მაგ. „იქ მთელი რემა ხალხი იყო“ (გურ.), ან: „იმ კაცს ერთი რემა საქონელი ჰყავს“. 2) კარგი ცხენი (ხევის.) — „ცხენთა გარდახდეს რემათა, მახქრიან როგორც ქარია“ (ბეს. გაბ. 227). 3) ნ. კვიცი (ერწო). 4) — ? (მესხ.) — ერთი თხა მყავდა რემაო, ზურგზე ეკიდა ენაო“ (ხალხ. სიტყვ. 484).

რემაკი — უხედნი ჰაკი ცხენი (საბა); მე მგონია, ეს სიტყვაც მართო ცხენს არ უნდა ეხებოდეს, რადგანაც: „და მდიდარისა სამწყსოჲ იყვნეს და რემაკები ხართა

მრავალი ფრიად“ (2 მეფ. 12, 2).

რეში (მობ.)—ნ. რაში.

რეშხი (გულ., მთ.)—ნ. რაში.

რიკი (ქართლ., კახ.)—კულის ღე-
რო უბალნო. „მამასახლისის ძიელ
სცემეს, ჩაუმტვრიეს კულის რიკი
(ქართლ., ხალხ. სიტყვ. 234).

რიკი (კირ., გულ., მთ.)—ორკა-
პინი, რომელსაც ცხენს უყეთებენ
ფეხზე, რომ ნახირში არ ირბინოს
(კირ.).

რიკმრუდე (გულ., მთ., ფშ.)—
კულ-მრუდე ცხვარი.

რისვა—ცხვრის პარსვა. „ხოლო
ლაბან მივიდოდა რისვად ცხოვარ-
თა თვისთა“ (დაბ. 31, 19), ან:
„არცა მორისო ცხოვარი იგი“
(2 მსაჯ. 15, 19).

რისვი (ფშ., მობ., მთ., თ., კახ.)
—გაზაფხულზე განაკრევი ცხვრის
მატყლი.

რკალი (კახ.)—[კ ი რ კ ა ლ ი (მთ.)
—გ ი რ კ ა ლ ი (ფშ., თ.)—გ ი რ-
გ ო ლ ი (ხევს.)]—რკალივით მოქნი-
ლი წნელი, რომლითაც საქონელს
აბამენ ბაგაზე.

როდინა (გურ.)—ქათმებისთვის
საკენის ჩასაყრელი ქურქელი.

როკინა (ზ-იმ.)—უშნოდ დიდი
და მსხვილი. დათვი ამბობს: „ამე-
ილე და მომჭერი როკინა ჩემი თა-
ვი“ (ხალხ. სიტყვ. 25).

როკვი (თ.)—ერბოს ნაძირალა
(ა. შან.).

როყინ (ინგ.)—კამეჩის ყროყინი
(ჯან.).

როყინი (ფშ.)—აქლემის ან კა-
მეჩის სიარული.

როში (გ-კახ.)—კობტონი ან ქა-
ტო ბზეში არეული, რასაც აქმე-
ვენ საქონელს ზამთარში.

რუშხი (კახ.)—მსხ. ფეხა საქონ-
ლის მთლიანი ტყავი, რომელსაც
ხმარობენ ღვინის გადასაწიდათ.
„თვალ წინ წარმოუდგა რამოდენი-
მე ბარული ურემი, რომელზედაც
რუშხებით ღვინო ეწყო“ (ყაზბ.
II—266).

რუხ-რუხი—ლორის ღრუტენი.

რქა—პირუტყვთა თავსა ნაბამი
(საბა). „მიხსენ მე პირისაგან ლო-
მისა და რქათაგან მარტო რქისა-
თა“ (ფსალმ. 21, 22).

რქაგრეხილი (გ-კახ.)—დაგრე-
ხილი რქა, მაგ. ყოჩისა.

რქაირემა (იმ.)—ნ. რქაფსიტა.

რქაფსიტა (მთ., გულ.)—[ქ ა ც-
ქ ი ტ ა, რ ქ ა ი რ ე მ ა (იმ.)—რ ქ ა-
ძ ი რ ა (მობ.)—ქ ო ქ ა (გურ.)—
ქ ო ტ ა (კახ.)—ჩ ხ ი ა ნ ი, რ ქ ა-
ჩ ა ნ გ ა ლ ა (ფშ.)—წ ო რ ო ტ ა
(თ.)]—საქონელი, რომელსაც აქვს
წვრილი და გძელი (მაღლა აღმარ-
თული) რქები.

რქაჩანგალა (ფშ.)—ნ. რქაფსიტა.

რქაძირა (მობ.)—ნ. რქაფსიტა.

რქაქაყუტა (გურ.)—ცხვრისავით
რქა მომრგვალებული საქონელი.

რქაქუჯო (იმ.)—მოკლე რქა სა-
ქონელი.

რქენა, რჩოლა (ქართლ., კახ.)
—[ჩ რ გ ვ ა (მთ., გულ.)—ჩ ი რ-

გ ვ ა (ხეცს.) ჩ ხ ვ ე რ ა (ფშ. ა. შან.]
—საქონლის მიერ რქით ცემა.

„უქეთუ მხვეალსა ან მონასა ურ-
ქინოს. კურომან“ (გამოსვ. 21, 51).

რქიანი, რქოსანი—რქის მქონე
საქონელი.

რცმკლი (რაქ. ბერ.)—[ცებე-
ნა (გურ.)—ნაფერდალი (კახ.)]
—ლორის ფალანგზე მიკრული ცმე-

ლი; რომელსაც იღებენ ფალანგია-
ნად. აქედან გადამდნარი ქონი
პირველ ხარისხისაა.

რძე—[სძე (ძვ.)—ზე (თ. ა.
შან.)]—ცხოველთ ძუძუთა ნაღინე-
ბი (საბა.).

რძეული (მთ.)—რძიდან მიღე-
ბული სხვადასხვა ნაყოფი (კარაქი,
ერბო, ყველი და სხ.).

ს.

საბელი—თოკი, ბაწარი. „ბნელ-
სა ლამეს, ვითა ქარი, საბელზედა
გასრულიყო“ (შაჰ-ნამე 1453).

საბერათი (თ.)—[ქინთელა
(ხეცს.)—თინქელა (ფშ.)]—შარ-
დის ბუშტი.

საბერველა (ფშ.)—ნ. სამხვედრო.
საბორკილე (გ-კახ.)—ნ. საო-
ლავი.

საბუღარი—1) საკრეფელა ან
ყუთი, სადაც კვერცხს სდებს ქა-
თამი, ან კვერცხზე ზის წიწილე-
ბის გამოსაჩეკად. „შეუკრეს კუმბო
მაგარი, ვით კრუხისა საბუღარი“
(ბესიკი 123); 2) ბუღის ადგილი
(საბა). „მოვალს დასხმად ქალაქთა
იუდასთა უჩინო საქმენლად და
საბუღარად სირთა“ (იერემ. 10, 22).

საბუჩე (ფშ.)—ბოსელი.

საბძელი (ქართლ., კახ.)—ბზის
შესანახი შენობა. „კამეჩებს რო-
გორ მოვამშევ, თუ კი საბძელში
ბზე არი?“ (ხალხ. სიტყვ. 317).

საგდებელი (საბა, გულ., ხეცს.)
—[ქამანდი (კახ., გულ., ფშ.)—

არყანი (მთ., მოხ.)—არკანი
(გურ.)]—ცხენის დასაქერი თოკი.
„მტირალმან ცხენი შეიპყრა, შეს-
ტყორცა საგდებელია“ (ბეჟან. 10).

საგებელი—საქონლისთვის ფეხ-
ქვეშ დასაყარი ბურღო, თივა.

სადავე (საბა, თ., კახ.)—[სა-
დევე (ძვ.)—სადეუ (სევან.)—აღ-
ვირის ტარი (მთ., გულ.)—
აღვირის ტორი (მოხ.)]—1)
აღვირის თასმები, ხელში დასა-
ქერი. ცხენსა ჰგავს პატრონ მომ-
კედარსა, სადავე ჩამოშვებულსა“
(თ., ხალხ. სიტყვ. 108), ან: „და
ხელთა ჩემთა იყენენ საღვენი
იგი ცხენითურთ და ჰონე იგიცა
ჩემთანვე, ვილოდეს“ (ქრონიკ. II-
117); 2) აღვირის გძელი თასმა,
რომლითაც იკავენს ცხენებს მეეტ-
ლე. „საღველნი ეტლებისა მათი-
სანი“ (ნაუმ. 2, 3).

სადღველი—რქინა, რომლითაც
სდალამენ საქონელს (ნ. დალი).
„გული მისი რამინს სადღველითა
დაეღალა“ (ვისრამ. 280).

სადგამი (საბა, ხევეს., მთ., გუდ.)
—ცხვარი კეთილ მეეზვე (საბა).

სადგამური (გურ., იმ.)—ნ. სა-
ყოლი. „წრეულს სადგამური ქა-
თამი არა მყავს“ (ბერ.).

სადგანი (თ.)—ნ. დოლი.

სადედლე (ქართლ., კახ.)—
დედლად დანიშნული ვარია (ჩუბ.).

სადველი—ხმელი წვრილი ყვე-
ლი (საბა).

სადლო (კახ.)—დოლფარა,
სადაც ღორი ჰყრის გოჭებს. „მან-
გლისში ღორი დამდგარა, საით
არ იქამს პირსაო, გამართეს სადო-
ლოები, ქოხები ჩადგეს ხისაო“
(ივერ. 1887 № 140).

სადოლე (მთ.)—ნ. საქანი.

სადრეკი (მთ., ქართლ.)—ნ.
სალსარი.

სადღვებელი (კახ., ქართლ.)—
[სადღობელი (მობ., მთ.)—
ვარია (საბა, გუდ., ერწო)—
ხანჩულა (ქვ-ქართლ.)]—ხის ან
თიხის ხელსაწყო, რომელშიაც
სდღვებავენ კარაქს. ხის სადღო-
ბელს ჰკიდებენ დერეფნის ან ოთა-
ხის კოჭზედ და მდღვებავები წინ
და უკან აქანავენ. თიხისა კი-
წარმოადგენს დიდ ქილას სახელუ-
რით, რომელსაც ანჯღრევენ პრო-
კინაზე. ხევესურეთში და წილობ-
რივ ერწო-თიანეთში და ხევეში
ხმარობენ ზეზე მდგარ სადღვე-
ბელს—ჩხუტხ (ხისაა), რომელშიაც
ნაღები მოჰყავთ მოძრაობაში ბარ-
ნელათი.

საეშვე გოჭი (ძვ.)—მამალი
გოჭი. „მერმე მით საეშვე გოჭებს
ვიყიდი, დავასუქებ და დავკვე-
რატამ“ (სიბრძნე-სიცრ. 183).

საზალტე (ხევეს.)—მაჯა, შა-
ПЯСТЫЕ (ა. შან.).

საზეური (ხევეს.)—ნაღების და-
საყენებელი კასრი (ა. შან.).

საზევები (ხევეს.)—ნ. მეეზვე.

საზიწვრე (ხევეს.)—ფეხებიანი
ყუთი, რომელშიაც ხევესურები ინა-
ხავენ რძით სავსე ქურკელს (ა.
შან.).

საზრდელი—ნ. კამადი. „და
სცა საზრდელი ვირთა მათთა“
(მცხ. დაბად. 43,24).

საზროხე, საძროხე—ზროხათ
ადგილი (საბა); გომი, ბოსელი.

სათაური (ჩუბ.)—აღვირის ნა-
წილი, რომელიც გადაეცემა ცხე-
ნის თავზე, ყურებს უკან (?).
„მოიზიდო თუ ვეშაპი სამქედუ-
რითა ანუ შემოსდვა სათაური ცხ-
ვირისა მის მიერ“ (იობ. 40,20).

სათბილო (კახ., ქართლ.)—საკ-
ლაგის ნაწილი დაწყებული ზურ-
გის უკანასკნელ ნეკნიდან-მენ-
ქამდე (გავამდე), ხერხემლის პი-
რით, ერთ მტკაველ სიგანით. „გა-
დაირიენენ ხუცები, ქალებს არ
ზოგვენ სხვისასა, ტაბლებით და-
სუქებულან, სათბილოს სქამენ
ცხვირისასა“ (ხალხ. სიტყვ. 15).

სათითურა (მობ.)—ნ. შუშუტა.

სათული (ქართლ.)—ხორცის
საპრელი ღიდი დანა (ჰყ.).

სათხუსე ძარღვი (მთ., გულ.) — ნ. კართი.

საკაქკაკე (კახ., ქართლ.) — კულუსუნი (ჩუბ.); ქართლ-კახეთში დღეს ეწოდება საქონლის ამალღებულ ნაწილს, რომელიც იწყობა მხარმალალიდან და თავდება ზურგის შუაზე; ქალაქის პირა სოფლებში ეძახიან კულის დასაწყისის ორივე მხრის რბილ ალაგებს. „მოხარშულის ძროხიდან ერთი საკაქკაკე სუფრაჯს“ (დასტ. 83).

საკეები — საქონლის საკმელი (თივა, ბზე და სხ.). „წაე, ახორი და საკეები მუნვე ძებნე“ (ვისრამ) 356).

საკვერცხე — მდედრობითი სასქესო შიგნითა ორგანო, რომელშიაც ვითარდება და მწიფდება კვერცხი, ovariae.

საკიღარი — საპალნის პირუტყვი (ჩუბ.). „ამ ადვილს ფლურები ვნახე და ხვალ წაეალ, საკიღარს წავიყვან და მოვიტან“ (სიბრძნე-სიცრ. 186).

საკლავი — დასაკლავი საქონელი; სახორცე საქონელი. „და დაკლენ საკლავნი“ (დაბ. 46,16), ან: „ვეზირნი და მოურავნი ყოველნივე მისცემენ პურსა, ღვინოსა და საკლავსა“ (ხელმწე კარ. გარ. 11), ან: „ერთი რამა სულიერი, ღამე-ღამე მავალია, საკლავს ისე გაატყავებს, არ სკირდება მამხმარია“ (ზ-იმ., ხალხ. სიტყვ. 41).

საკნატელა — хрпаш.

საკოტარი (ფშ.) — მანქანა ცხენის უკანა ფეხზე გასაკეთებელი, რომ წიხლი არ გაიქნიოს (ჭყ.).

საკრავეთი, საბატკნე — ბატკნის სადგომი, საზამთრო ბინაზე. „ზაცალე შვილო მეცხვარე, ვერ გიყო მაგიერია, საკრავეთში შეგეპარო, სულ გაიწყვიტო ცხვარია“ (ივერ 1890 № 257).

საკრამანგი, სკამარანი — ცხენის ჩული ნაკერი მარგალიტით (ჩუბ.).

საკულური (თ.) — ნ. საძეფე.

სალაგმე (ქართლ., კახ.) — ცხენის დიდი კბილი, წინა და უკანა კბილებ შუა.

სალახანა (ჩუბ.) — სასაკლაო.

სალახი — საქონლის დამკვლელი.

სალთა ცხენი (მთ., ხევს., ფშ.) — ნ. ცალთა ცხენი.

სალია (ხევს.) — ცხენის ქაჩაჩის ქვედა პირი, რომელიც იქედება ნალით.

სამათარე გაზა (ფშ.) — კოკის ზევითი ძვალი, os tibia.

სამაკინელი (გურ.) — ნ. კაპოეტი.

სამანდი — საომარი ცხენი, მუხლადი ცხენი (აბულ.). „შესხდეს და საამს მოგვარეს სამანდი მისი ცხენია“ (შაჰ-ნამე 142).

სამაჯვარი (იმ.) — მხარბეკის სალსარი.

სამბური (ხევს.) — საცხენე თუ დასაბმელი თოკი (?). „გაოხრებულნი ლურჯაი სამბურში არა დგებოდა“ (ხევს., ივერ. 1891 № 90).

სამგლე ნაწლავი (თ.)—ნ. კოლინჯი.

სამგორველი (მობ.) — მენჯ-ბარძაყის საღსარი.

სამკერდული,— ცხენის მოკახ-მულობის ნაწილი, მკერდზე მიმაგრებული თასმებით. ხშირად ვერცხლისაა. „შეჯდა სხვასა ცხენსა, მასცა ისარი უკრა, სამკერდული გაუხეთქნა და ფრთამილი დაასო“ (ამირ. დარეჯ. 301).

სამკედური — სამკერდული (?). „თავით ედგა უნაგირი ზე გადმგლო სამკედური“ (ქართლ., ზალხ. სიტყვ. 236).

სამონელი (გურ.) — ნ. სამონველი.

სამონელი (საბა)— [სამონელი (გურ.)—სამუნელი (ლექს.)—სამურველი (კახ., მთ.)—ყაშული (ჩუბ.)]—ცხენის საწმენდელი რკინისა, დაკბილული.

სამუნელი (ლექს.)—ნ. სამონველი.

სამურველი (მთ., კახ.)—ნ. სამონველი.

სამწყვეტული (ხეც.) — ნ. სალრტილი.

სამხვედრო . (იმ.) — [საცურელე (მობ., გულ., მთ.)—ნაცის ნაწლავი (თ.)—ფუხურა (ხეც.)—ტიყვა (ქიზ.)—ყიტაწელი (საბა)—საბერველა (ფშ.)—ურჩხი (საბა)]—უკანა ნაწლავი, რომელიც გასაეალ კართან თავდება.

სანაგვე (მობ.)—ნ. სანარწყული.

სანარწყული (ქართლ.) — [სანერწყული (გულ.)—სანეხვე (მთ., კახ.) სანაგვე (მობ.)—კუჭულა (თ.)]—ადგილი ბოსელში, სადაც ნეხეს მიაგროვებენ, ვიდრე ერთბაშად გაიტანენ გარედ.

სანაღვე (მთ., გულ.) — [სალაღვე (მობ.)]—თიხის ქურჭელი, რომელშიაც აგროვებენ მოხდილ ნაღებს.

სანაყრე (მთ.)—ნ. ბაგა.

სანაშენო (მთ., გულ.)—ნ. საყოლი.

სანგალი (ფშ.)—ცხერის ფარეხი. „ორხევეში მეცხვარეები სანგალსა ზევეენ ცხერისასა“ (ფშ., ივერ. 1887 № 140).

სანეზურე (გურ.)—ნ. საყოლი. „ბიკო, შე რო კარგი ძროხა გყავს, გამოშინეზურე თუ ხათრი გაქვს“ (გურ.).

სანჩხვე (იმ. ბერ.)—ნ. საყოლი.

საოლაგი (საბა)— [ქეჩეჩი (გურ.)—ქაჩაჩი (კახ.)—საბორკილე (გ-კახ.)—ქიჩის თავი (გულ.)—მაჯა (გომარ.)]—ქაჩაჩის ზვეით ალაგი, სადაც ცხენს დაადებენ ბორკილს. (საოლაგი ნიშნავს კიდევ თვალის სურმას. ნ. ქილ. 4).

საოლე (ჩუბ.)—საოლაგის ძვალი.

საოფლე (გულ., კახ., ერწო)— [საშიშველო (მობ., ხეც.)]—თაქალთოს ქვეშ საფენი ნაბადი.

საპალნე—მძიმე ტვირთი ცხენის ან სხვა სახედრის პალანზე მანდიკურად გადასაყიდებელი (აბულ.); საპალნე ამავე დროს ნიშნავს ზურგით მაზიდარ ამა თუ იმ საქონლის ტვირთის აწვევის მაქსიმალობას. მაგ. ცხენის საპალნე, ვირის საპალნე და სხ. „როსტომ უთხრა, წადი თქვენსა უხუცესსა მოახსენე, სრულ საპალნე მარილია, დაგვაყენოს, გაიგონე (შაჰ-ნამე 1859).

საპარავი (კახ.)—საკლავის ბარკლებ შუა ვიწრო ალაგი. „ძროხა რამდენიც დაიკლას... კისერი მეჯორისა, მკერდი თუშმლისა, საპარავი მზარეულებისა“ (დასტ. 83).

საპარხველი (ხევს.)— ნ. დუქარი.

საპირე (იმ.)—ნ. ბაგა.

საპოხი (ფშ., გულ., მთ.)—ცხომი ყოველნაირი (ქყ.).

სარაჯი (საბა)—[მეკეხე (თ)]—უნაგირების და ცხენის სხვა იარაღების მკერავი (საბა).

სარბიელი—ნ. საქანი. „მოკვდა რაქილ და დაეფლა გზასა ზედა ცხენთ სარბიელისასა ეფრათასა“ (დაბ. 35,19).

სარეველა (ფშ., გულ., მოხ.)—კავიანი ჯოხი ან პატარა ნიჩაფი საყველე ნაკვეთის დასაკუწად.

სარია (გომარეთი)— [ხსედი (ძვ.)—ალათი (გურ.)—თაფლა (ქართლ., კახ.)—ქარცი (ჩუბ.)

ელალი (იმ.)—ბაც—წითელ ფერის საქონელი, рыхлиѣ. (არჩევნ მუქ და ნათელ სარიას).

სარქალი (კახ., ფშ., თ.)—ბინის მწყემსების უფროსი, ბინის თავი.

სარქვა, დასარქვა (იმ.)—საქონლის დაბმა რქებით (ბერ.).

სარქვევ კბილები—ჩვილ საქონლის კბილები.

სარქველი (ფშ.)—[სასძეული (ძვ.)]—რძის ჭურჭელი. „სიღარიბე არ მეშეება ე ღვთისაგან დაწყეული, ჯალათთ ფურებ გაუყიდე, სუ გაუშრე სარქველი“ (ფშ., ივერ. 1887 № 188), ან: „და მოხსნა თხიერსა სასძეულსა და ასვა მას“ (მსაჯ. 4, 19).

სახა—პირის ღრუს თალი. „თუ ვინ თქვას ძვირი, შეიქმნას გირი, ეექვას ენა სახასა მათსა“ (აბდულ-მეს. 25).

სახაგძლე (ხევს.)—ხბოს გულა, ბეწვიანი (ნ. გულა).

სახვარი (ფშ.)—წყალში მოღულელებული ქატო, რომელსაც მეცხვარეები აკმევენ ცხერის ძალღებს. „თუ ღირსი იყო, რჯულ-ძალლო უწმინდე საცხერის კარია, ძალღებს აქამე სახვარი, მწყემსებს შბრუნე ცხვარია“ (ფშ., ივერ. 1899 № 195).

სასკორე (ზ-იმ., ფშ.)—1) სამხედრო ნაწლავის დასაწყისი, კარი. „სულღე მოზვერს სასკორეზე შეეტყობაო“ (ხალხ. სიტყვ. 43); 2) სანებე (თ.).

სახსულე (ფშ.)—ნ. ყანყრატო.

სახსუქი (ქართლ.)—ნეხვი. „გვერდით ბაგამ დამიძახა: „მოდი ჩემთან შე რა გითხრა! შენ სახსუქი მომიმზადე, თითო ჯინი თითო ძირსა“ (ხალხ. სიტყვ. 237).

სახსუქი (ფშ.)—სახლში გასუქებული საქონელი. „ხორცი მთხოვა და ვაჰამე, ვურჩევდი სახსუქისასა“ (ივერ. 1887 № 144).

სახსეპი (მოხ.)—კოდაში ჩადებულ ყველს ზევიდან ადებენ პრტყელ ქვას ან ფიცრის ნაქერს, მას კიდევ—ქვას—სახსეპს, რომ ყველი არ ამოტივტივდეს.

სატალახე ცხენი—? „დადიანი-სა სამი ცხენი, ორი უკეთესი და ერთი სატალახე“ (ხელმწ. კარ. გარ. 15).

სატანი (ხევს., გულ.)—ნ. სახლური.

საურვალი (საბა)— [ყვერი (ქართლ., კახ.)—კაკი (მთ.)—მარცვალი (მოხ., ხევს.)—ჭანქალი (ქვ. იმ.—იტყვიან ყვერების აღერსის დროს)]—სათესლე ჯირკვლები (ყვერცხები) მამრობით სქესისა.

საურველი (გულ., მოხ.)—ნ. სამონველი.

საურწყლო (ძვ.)—ნ. სახლური.

საფეჩხე (ფშ., მოხ., გულ.)—ცხენი, რომელიც მარტო ზედ საჯდომად ჰყავს პატრონს.

საფთური (გულ., მთ., იმ.)— [მეში (მოხ.)—კალთა (ფშ., ხევს.)]—ოთხკუთხი ტყავი, რომელიც

უზანგის თასმის ზევითაა მოქცეული, რომ დაიცვას მხედრის მუხლი ცხენის ოფლისგან და ბალნისგან.

საფხმური (გულ., ხევს., მთ.)— [ფუჩჯრი (იმ.)]—ფურის სარცხვინელი ასო.

საქათმე (ქართლ., კახ.)— [საქათმურა (ლეჩხ.)—ქარია (გურულ.)]—პატარა შენობა, სადაც ღამით ჰლაღამენ ქათმებს.

საქანი (თ.)— [სარბიელი (საბა, გულ.)—სადოღე (მთ.)—საქენებელი (ჩუბ.)]—ცხენთ სარბენელი ალაგი; იპოდრომი.

საქონელი (ქართლ. კახ.)— [საქონი (ფშ., ხევს.)]—1) ოთხფეხი შინაური პირუტყვების ზოგადი სახელი. „დახარნი სამი ათასი, ესენი საქონელთაგან მეუისა“ (2 ნეშტ. 35,8); 2) საერთოდ—ქონება, სიმდიდრე. „არ მინდა არცა მინდორი ლაშქრითა საესე, არცა საქურქლე საქონლითა (ვისრამ. 261).

საქონი (ფშ., ხევს.)—ნ. საქონელი. „ხატ-ღმერთს მიეყრნო, შასწირა თუ სად არ გეყვანდა საქონი“ (ფშ., გველის მკამ. 30), ან: „ერეკლე ბატონიშვილი არს ღვთისგან დოვლათიანი, სათრუსოო და გაჰმედაეს, საესე არს საქონიანი“ (ხევს. ივერ. 1891 № 90).

სალალე (მოხ.)—ნ. სანალბე.

სალარი (ფშ., ხევს.)—ნ. საღარი. „თუშთ მოურაესა უბოძეთ ზურაბის ცხენი საღარი“ (ხევს., ივერ. 1891 № 90).

საღენჭელი (ფშ., გულ.)—ნ. მაკეგანი.

სალორე—ლორების ფარები. „ბიკო რას სტყუი, რას სტყუი? სალორის კარსა გეძინა“ (ქართლ., ხალხ. სიტყვ. 305).

სალრა, სალარი (საბა, გულ., ფშ., თ.)—[ნათო, პირნათო (იმ.)—პირნათელა (მთ.)—პირთეთრა (გურ.)]—ათეთრ შუბლიანი ცხენი, რომელსაც სითეთრე შეიძლება ჩამოუვიდეს ცხვირის ნესტომდისაც. თუ საქონელს შუბლზედ პატარა, მაგ. მანათის ოდენა თეთრი ხალი აქვს, ეძახიან—ნიკორას (მხოლოდ მსხ. ფეხა საქონელზე), თუ ნიკორაზე უფრო დიდი აქვს—ნიშა (ცხენზედაც ითქმის); იმერულად ნიშა კიოფია. „ადგა შეკმახა სალრაი, მუხლზედ ჰყავს ნიავ-ქარიო“ (თ., ხალხ. სიტყ. 66.)

სალრტილი (საბა)—[საწყვეტი (ქართლ., კახ.)—უწყვეტი, საწყვერტი (იმ)—სამწყვერტიული (ხევს.)]—უნაგირის წინდა უკან კეხზე ჩაბმული ორი თასმა, რომლითაც ამაგრებენ ნაბაღს ან ხურჯინს. „ისარი ქარქაშში ჩაიწყო, საგდებელი სალრტილს შეაბა“ (რუსულ. 475), ან: „ეპ შარიერო, სამანდი მე ავაჩქარე დეზული, კანი საგდებლად სალრტილსა მება, ლახტი მაქვს ფერხული“ (შაპ-ნამე 1509).

სალსარი, სახსარი—სადრეკი—ორი ძელის გატალკეებულ შეერთების ალაგი.

საყარი (ფშ., თ., გულ.)—ადგილი, სადაც საქონელი დაეურება გრილოში მოსასვენებლად.

საყახხო—ადგილი, სადაც ჰყიდიან ხორცს. „ხორცი არ მოგაკლდებოდა, საყახხო მქონდა კარზედა“ (ქართლ., ხალხ. სიტყვ. 233).

საყებური—ადვირის თასმა, რომელსაც შემოავლებენ ცხენს ყბის გარშემო. „ცხენი რაჲ ითხოვოს მეფემან, მისრატული პირსა აღსხამს, მერმე ზარდახნის მეჯინიბე საყებურს შეუსხამს“ (ხელმწ. კარ. გარ. 10).

საყენებელი (მთ., გულ.)—სპილენძის ტაშტი, სადაც ასხამენ რძეს ნაღების მოსაგდებლად.

საყვალი (მოხ.)—ნ. საყოლი

საყვარებელი (ფშ.)—ნ. ქორა-კანა.

საყოლი საქონელი (კახ., ქართლ.)—[ტამაზლუხი (კახ., ქართლ.)—სანაშენო (მთ., გულ.)—საყვალი (მოხ.)—მემრავლე, სადგამური, სანეზური (გურ.)—სანჩხე (იმ. ბერ.)]—მოსაშენებელი საქონელი.

საშიშვლო (მოხ., ხევს.)—ნ. საოფლე.

საშო—საშვილო (საბა), საშვილოსნო. „პირველად კერძო უფლისად ყოველმან, რომელმან განაღოს საშო მროწეულთაგან შენთა“ (გამოს. 13,12).

საჩხე—პირუტყვის დასამწყვდევი ეზო (აბულ.), ბაკი. „ერანს

ნაბამი ტაიკი მეფეთა დადალულია, საჩეხებ შიგან შეყარეს, ვისაც უთქმიდა გულია“ (შაპ-ნამე 2023). (უფრო სწორი უნდა იყოს დადიანისეულ ვარიანტში ნახმარი „საჩიხე“; ნ. ჩიხი).

საცრე (ფშ.)—საწველი ბაკი (თ. რაზ.).

საცურცლე (მობ., მთ., გულ.)—ნ. სამხვედრო.

საცხენე (ხეგს.)—ნ. საჯინიბო.

საცხენმალო—ჯილდო, რომელსაც იღებდა თარეშობის ან ომის დროს, სწრაფ ცხენის პატრონი. „ომში ან თარეშობის დროს...ათის თავს საცხენმალოს მაშოვარი კაცი აიღებს“ (ვახტ. კანონ. მუხ. 255).

საცხვირე (ქართლ., კახ.)—[აკი-მა (საბა)—ლაფ შრა (ლეჩხ.)]—ცხენის ცხვირზე შემოგრებილი, მოსკენილი თოკი.

საცხვრე (ძვ.)—საცხვარე (მესხ.)—ცხვრის ფარები. „ლია დამიხედეს საცხვარე არ დაგეკეტოს კარიო“ (მესხ., ხალხ. სიტყვ. 448).

საცხოვარი—ცხვრის არე (საბა). „და ძოვდნენ საცხოვარნი შენნი მას დღესა შინა“ (ისაია 30,23).

საძაგრავე—ცხენის მეორე ჩული (საბა). „ბელაური ცხენი ერთი, უნაგირი მურასა ოქროსი... ჩულითა და საძაგრავებითა“ (საქ. სიძვ. ტ. III—491).

საძლი—გამძლე (?). „სეხნია შესვა თავის წინა საძლსა ტაიქსა“ (სეხნია ჩხ. საქ. ცხ. ჩუბ. 315).

საძოვარი (ქართლ., კახ.)—საძოვი (ხეგს.)—ადგილი, რომელიცაა დანიშნული საქონლის საძოვნელად.

საძოვი (ხეგ.)—ნ. საძოვარი. „სადაც უფრო კაალაგ იყვ გზის შასაკრავად, ლურჯა საძოვზე დაუბამ“ (ბეს. გაბ. 184).

საძროხე (ხეგს.)—ნ. ბაშტე.

საძუე (ქართლ., კახ.)—[საკულური (თ.)]—უნაგირზე მობმული ორპირი თასმა, რომელსაც ამოსდებენ ცხენს კულის ძირს, რომ თავდაღმართში დაიმაგროს უნაგირი. „ზარდახნის მოლარე უნაგირს გარდასდგამს, საძუეთ აღარ ჩაუყრის“ (ხელმწ. კარ. გარ. 10).

საწველელა (მობ.)—ნ. ბერა.

საწველელი (კახ.)—ნ. დურკი.

საწიწკარა (გ—კახ.)—ფრინველის ზურგი ნეკნებით.

საწკვერტი (იმ.)—საწყვეტი.

საწმისი (ძვ.)—მატულიანი ტყავი. „აქეს მას ტრიონი, სანა ტრიონი საწმისისაგან სამოსად გარედ“ (აბდულ-მესია 27).

საწოვარა (ფშ.)—ბაკი, სადაც ბატკნებს აწოებენ.

საწურავი—რძის ან სხვა სითხის გასაწური ხელსაწყო.

საწუვეტი (ქართლ., კახ.)—ნ. სალრტილი.

საწყლე ფერდი (ფშ.)—[სიპა (იმ.)]—უკანასკნელ ნეკნის და მენჯის შუა მანძილი, ერთ მტკავლის დაღების სიმაღლით.

საკამალი (ძვ.)—ნ. კამალი. „და მისცა საკამალი კარაულთა მათთა“ (დაბ. 43,14).

საქედარი (საბა)—ნ. ნალი.

საქენებელი (ჩუბ.)—ნ. საქანი.

საქიკი (ხევს. ქყ.)—ნ. გარსაკრი.

საქირობელი (ხევს. ა. შან.)—ნ. გარსაკრი.

სახზე (მოხ.)—ნ. ბუღე.

სახდური (თ.)—[უხდური (მოხ.)—სატანი (ხევს.)—საურწყო (საბა)]—რძეული პროდუქტების ზოგადი სახელი. (აქ: შანიძის განმარტებით სახდური—გადაზეული ყველია).

სახედარი (კახ.)—ძველად ზოგადი სახელი საჯდომ პირუტყვისა (ცხენი, ჯორი, ვირი), შემდეგ კი ეს სახელი შერჩა მხოლოდ ვირს. „სახედარი ცხენი ჰმართებს საურაკად“ (ხელმწ. კარ. გარ. 9); „ყაფნის რიგი ასრე არის... ძროხაზედ შაური, ცხენზედ აბაზი, სახედარზედ ორი შაური“ (დასტ. 91).

სახედნობა—ცხენის გახედნობა. „თვით ამანვე მოგაწონოს სახედნობა, სიფიცხენი“ (ვეფხ. ტყ. 630).

სახვირი (ქვ.—იმ)—ნ. ახორი.

სახვრეტათი (თ.)—რძე და ღორთურთში არეული და სახვრეტად გაცხელებული (ა. შან.).

სახვრეტი გაზა (ფშ.)—ნ. თხუსი.

სახიზი—გასუქებული, კამებული თხა (ჩუბ.). „ფურზედ ერთი

ჩარეკი ერბო, სახიზი თხა ერთი“ (დასტ. 76).

სახიმარი—ცხენის კული უძეოდ (საბა).

სახმობი (მოხ.)—ნ. ჩხიმი.

სახორცე—საკლავი; სახორცე საქონელი—საკლავი საქონელი. „სალაპოდ—სამს ცხუარს სახორცესა“ (ხაბან. გუჯრ. 64).

სახორციელო (მოხ.)—ნ. უსხი.

სახუნდე (იმ.)—ნ. თხუსი.

საჯაგავი ცხენი (ჩუბ.)—დროვის ცხენი.

საჯდომი ცხენი—ცხენი, რომელიც იხმარება მხოლოდ საჯდომად.

საჯი (ქიზ.)—ფარისებრი ხელსაწყო თუჯისა, რომელზედაც მეცხვარეები მთაში აცხობენ ფთირს.

საჯინიბო (საბა)—[საცხენე (ხევს.)—თავლა (კახ., ქართლ, გურ.)—თავალი—(ხევს.)—თავილა (დასტ.)—თავლახანი (ჩუბ.)]

—ცხენების საბამი ალაგი. „შეველ ფიცხლა საჯინიბოს, ავსენ ცხენი უკეთესი“ (ვეფხ. ტყ. 1179).

საჯოხე (ქართლ.)—ხბონ ძროხა, რომელსაც აძლევენ საქონლის მოზიარეს საჩუქრად (კირ.).

სერა (მოხ., გულ., მთ., ხევს.)

—გამხმარი ფაშვი (ძროხისა ან ცხერისა), რომელსაც გადააკრამენ ხოლმე რაიმე ქურკლის პირს. „იმან მოხსნა კოკობს გადაკრული სერა“ (ყაზბ. 368). (სერა ნიშნავს ღამესაც; „მასვე წამსა წამოვიდეს

სწორადა ვლეს დღე და სერა“ (შაჰ-ნამე 156).

სერი (კახ., ქართლ.)—საქონლის ყურზე პატრონის მიერ დადებული ნიშანი, ადვილ საცნობელად. „მგელმა ცხვარი მოიტაცა—ჩემი სერისა იყო“ (ხალხ. სიტყვ. 147).

სეფე ხარი—? „ვინცა ზურგიით მხიდვარი ხარი და ან სეფე ხარი წაიყვანოს, 18 ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს“ (ხახან. გუჯრ. 131).

სველი (გუდ., მთ., ხევს., გურ.) —ნ. შრატო.

სვილვი ძროხა—? „საღაპოდ—ერთი საკლავი სვილვი ძროხა“ (ხახან. გუჯრ. 64).

სვინტრივით გასუქებული (გურ.) —ნ. ბუდაცი.

სიზანი (ქართლ. კირ)—[მხარ-გვერდი (გუდ., მთ., მოხ.)—მხარ-ბეჭი (კახ.)]—მარჯვენა ბეჭი ცხვრისა ორი წიბოთი (ნეკნით) და თირკმელებით, რომელსაც მლოცავნი ღვდელს აძლევენ ხოლმე (კარ.).

სილა—აეშარა (ჩუბ.).

სილაგი (ხევს.)—სილაქი (თ., ფშ.)—დამყავებულ შრატში ცოტა მარილს ჩაყრიან და ალაო ფქვილს მოუკიდებენ. ხმარობენ ტყავის ბეწვის გასაყრევივინებლად (ა. შან.).

სილაქი (თ., ფშ.)—ნ. სილაგი.

სინიზი (საბა)—[მ ა შ ტ ა კ ა (მთ.)—ჯ ი მ ბ ი რ ი (ხევს.)—ჯ ა ფ ი ე რ ი (გურ.)] ფეხ-მაგარი და გამძლე

ცხენი. „და ეტლსა შორის პირველსა ცხენნი ხსედნი., და მეოთხესა ჭრელნი და ხინიზნი“ (ზაქ. 6, 2—3).

სიპა (იმ.)—ნ. წყლის ფერდი.

სისივი (საბა, გურ., ხევს.)—[ღ ე გ ნ ა (გუდ., მთ.)—ჭ ა ლ ა რ ა (მოხ.)—თ ვ ი რ თ ე ი ლ ა (თ.)]—თეთრ-შავ არეული ბალანი. (იმერულად სისივი ნიშნავს ლურჯ ცხენს).

სკა (ხევს.)—ნ. აპკი.

სკინტლი—[ს კ ლ ი ნ ტ ი (კახ.)—წ კ ლ ი ნ ტ (ინგ. ჯან.)]—ფრინელის განავალი. „და მძინარესა მას დაეცა სკინტლი ტფილი თვალთა ზედა მისსა ბუღისაგან მერცხლისა“ (ტობ. 2, 11), ან: „ჩიტის სკლინტი აბაზიანი ჰგონია“ (კახ, ხალხ., სიტყვ. 154).

სკორე—განავალი. სკორე ზოგადი სახელია ცხოველთ განავალისა, ხოლო ფრინველთა ეწოდების სკლინტი, თევზთასა—ტურტლი, მძრომთასა—ცურცლი, ცხვართა—ღენგრა, თხათა—კურკლი, ძროხათა და კამეჩათა—ნეხვი და კელი, ღორთა—ჩხრინკელი, ცხენთა და ვირთა—ჩონჩორიკი, ძალთა და მხეცთასა—მჩორე; ხმელსა ნეხვსა—წივა და ფუნე, თხელსა სკორესა—ტრაწი; ტრედთა სკინტლთა—ნაედომი (საბა). „არა კაცთა მიმართა მსხდომარეთა ზღუდეთა ზედა ჭამად მათდა სკორეთა თვისთა“ (4 მეუ. 18. 27).

სპეტაკი ცხენი — თეთრი ცხენი. „და ვიხილე აჰა ცხენი სპეტაკი“ (გამოცხად. 6, 2).

სრელა (საბა, კახ.) — პირუტყვი, რომელსაც ზურგზედ გრძლად სხვა ფერი წარსდევს (საბა); **სრელია გოჭი** (კახ.) — ზოლებიანი გოჭი. სრელა გოჭებს აჩენს გარეული და, როგორც მასთან ახლო მონათესავე, ქართული ჯიშის ღორიც.

სტულობა — ხლტომა (საბა), ხტომა. „გამოხვიდეთ და სტულობდეთ და ჰკრთებოდეთ, ვითარცა ზვარაყნი ხსნილნი საკრველთავან“ (მალაქ. 4, 2).

სუთი — გავის ქონი ანაძრობი (საბა).

სუკი (ქართლ., კახ.) — საკლავის წელის ქვეშიდან ორთავე მხარეს მყოფი კუნთები. როგორც ნაკლებ მუშაობის გამწვენი, სუკები ხასიათდება სინაზით და იხმარება უმთავრესად სამწვადედ.

სულგუნი, **სურგუნი** (მეგრ.) — გური — სამეგრელოში მეტად

გავრცელებული ყველი, რომელსაც ჯერ კიდევ ჰყვინტს, ხარშამენ მდულარეში და ჰხელამენ. სულგუნის კვერი წონით საშუალოდ გამოდის გირვანქა.

სულდგმული (მოხ.) — ნ. ზვარა. **სუნსული** (ფშ.) — ნადირის მიერ დრო გამოშვებით შეჩერება, სუნის ასაღებად. „მთის წვერებს მოსდევს ნიავე ნადირის სუნსულივითა“ (ვაჟა, ქართ. მწერლ. I—53).

სუსხური — დიდი იხვი (ჩუბ.).

სძე (ძვ.) — ნ. რძე. „და მოილო ერბოი ზროხისა და სძე“ (დაბ. 18, 8).

სხენი (იმ.) — ნ. ხენი.

სხმილი (ჩუბ.) — ნ. ხრილი.

სხურებული — დაწინწკლული, მაგ. თეთრი პირუტყვი შავ ან მუქ წინწკლებით დაწინწკლული. „ყოველი, რომელიცა არ იყოს სხურებული და მოთეთრო თხათა შორის“ (დაბ. 30, 35).

ბ.

ტაბახი (გურ.) — ნ. დამალი.

ტაბუხი — მუხლის თავი (საბა).

ტაგანი (ფშ.) — ნ. ღურკი. „სამოც ფური მყავს, ფურ ბერწი, სუ ტაგან მისადგმელია“ (ფშ., ივერ. 1890 № 11).

ტაიკი — ბელაური ცხენი, იაბო (ვახტ. VI ვეფხ. ტყ. სიტყვ. განმარტ.); გამოყვერილი ცხენი (საბა); არაბული ცხენი (აბულ. შაჰ-ნამეს

ლექსიკ.). ამირან - დარეჯანიანში ყველგან იხსენება ტაიკი, მაგრამ 280 გვ. ნათქვამია: „არაბული ცხენი მასთან (ერთ ტაიკთან, ლ.) არ გამოიჩნდებოდა“. ალბად ტაიკი არაბულის სინონიმი არ არის. „შეჯდა ინდო ჰაბუკი შავსა მისსა ტაიკსა“ (ამირ. დარეჯ. 60), ან: „ტაიკი მიუგს მერანსა, მიეფინების გზა-ველად (ვეფხ. ტყ. 96).

ტალახა (ინგ. ჯან.)—ნ. ელენთა.

ტალიკი (თ.)—ნ. უბელო.

ტამაზლუხი—1) საყოლი საქონელი (კახ., ქართლ.); 2) საკლავად გამოკეცილი (უმიკაშვ. დასტურ. ლექსიკ.). „ჩარფა ნაზირისა: ჯოგიდან წელიწადში კვიცი ერთი, ბატონის სატამაზლუხეს ცხერის ჰასილის ოცის-თავი“ (დასტ. 102).

ტანა (ქიზ.)—ერთი წლის ხბო. „ეს ნახევარი შაური დიდ ზროხაზედ აიღების, ტანა ზროხაზედ არ აიღების“ (დასტ. 43).

ტანახობა, ტაბახობა, ტამახობა—ასპარეზზედ მხედართაგან მღერა (საბა).

ტანაჯორი—ერთი წლის ჯორი (ჩუბ.).

ტარბაკ (ინგ.)—აპოხტი მსხვილ ნაწლავებისა (ჯან.).

ტარება (ქართლ., კახ.)—ნ. თოხარიკი.

ტარიგი—კრავი უბიწო (საბა); ჯერ კიდევ გაუნერბავი შაქი. „ტარიგნი წელიწადეულნი ორნი უბიწონი შესწირნი“ (გამოსვ. 29, 37).

ტაროღვა, მაწაუკი (თ.)—უგზოუკვლოდ მოსიარულე ცხენი. მაგ. როცა ცხენი მგზავრობის დროს ბილიკის ნაპირებზე აქეთ-იქით გადადის ბალახის საძოვნიელად, თუში იტყვის: „რა ტაროღვა, რა მაწაუკი ცხენია“-ო.

ტარსიკვანი (ხევს.)—ნ. ტარსიკონი.

ტარსიკონი (საბა)—ტარსიკვანი (ხევს.)—სამოგვე ტყავი. „და

ჰქმნე საფარველად კარვისა მის ტყავი ვერძთა ტარსიკონი“ (გამოსვ. 26, 14).

ტახი—გარეული ღორი მამალი. ხშირად ხმარობენ შინაურ ღორის (კერატის) მიმართაც. „ველურის ტახის თავს მოხარშულს წინ დაუდგემენ“ (ხელმწ. კარ. გარიგ. 1).

ტახტა (ქართლ., კახ.)—[კონდახი (ლეჩხ.)—კოტა (გურ.)]—უნაგირის კეხის წინა და უკანა ამალღებული ნაწილები. „ჰკრა ხმალი ჩაბალახსა ზედა, გაუპო თავი და მკერდამდის ჩაჰკვეთა და წინასა ტახტასა დაასვა და მოჰკლა“ (ამირ-დარეჯ. 22).

ტერფ-ბახრი—წვრილ და სწორედ დაყენებულ ტერფიანი ცხენი. „მას კვიცი ახლდა ტერფ-ბახრი, აბრაში თვალ-შეგნიერი“ (შაპ-ნამე 2026).

ტერფი (ფშ.)—ცხენის ჩლიქი. „ცხენთ ტერფით ჩამონაგლეჯი თავ-ქვე ლოდები გორდება“ (ვაჟა, გველის მკამ. 38), ან:—„ერთ წუთზედ ცხენის ნატერფალთა მტვერი განაქარება“ (ქილ: 18). აღამიანის მიმართ ტერფი ნიშნავს ფეხის გულს. „ამილახორი, სადა ძელი ცხოვრებისა ასეენია, მართ ერთითა ტერფითა უკანარე დვას“ (ხელმწ. კარ. გარ. 2).

ტერფ-მოხილნი—ცხენი, ჯორი, ვირი და მისთანანი (საბა); ერთ ჩლიქიანნი.

ტიალი წითელი (გურ.)—ნ. კაპრაში.

ტიტველა (მთ., გულ.)—ნ. უბელო.

ტილა (რაქ.)—გამხდარი მოზვერი (ბერ.).

ტილურა, ტიგურა, ტიკურა (იმ.)—ნ. ვეჟანა.

ტიყვა (ქიზ.)—ნ. სამხვედრო.

ტიხარო (იმ.)—ნ. ლომა.

ტიპილი ყველი (კახ.)—ნ. ქაქუტა.

ტივარცალი (იმ.)—ნ. კაიანი.

ტილიკაობა (ქართლ., კახ., ფშ.)

—ხტუნაობა (ნახე ტლინკი). „მე მოვკვდე, შენ კი იტლინკო, სად თქმულა, რომელ მხარესა?“ (ვაჟა, ქართ. მწერლ. 1—55).

ტილინკი — ცხენთაგან წყენით ორის უკანის ფეხის გაქნევა (საბა); წიხლი არის ცალის ფეხის კერა (მაგ. ხარის მიერ). „ქალაქიდან წამოვედით მე და ჩემი თეთრი ვირი, შეტლინკდა და გადმომავდო, ლაფში მომისვარა ცხვირი“ (ხალხ. სიტყვ. 231).

ტილილო — ნ. დუშაყი. „ვითა მშიერსა ლომსა ტილილოთა დაბმულსა წინა კანჯარი წყნარად მავალი“ (ვისრ. 64).

ტილი — ვეგის ჯდომა, თოხანი (ჩუბ.).

ტიორი (საბა)—[ქაჩაბური (საბა) — ფეხკავი (გულ.)—კობალი (მთ.)—კავი (კახ., მოხ.)—ჩომახი (ხევს.)—ჩობახი, კავზალტიანი ჯოხი (ერწო)]—სამეცხვარო ჯოხი. კობალი, კომ-

ბალი პირდაპირი ჯოხია, მხოლოდ თავი აქვს მსხვილი; კავი, ფეხკავი, კავზალტიანი ჯოხი—ბოლოში მოკაყულია, ცხვრების დასაქერად. დოლის დროს, როცა საჭიროა დედალ ცხვრებიდან ბატყების გარჩევა, ხმარობენ მოკლე ჯოხს—ყელკავს (თ., ფშ.)

ტიორტმანი (საბა, გულ.) — [ნლღევა (თ.)].—ცხენზე ბარბაცი.

ტიოტი—ნადირის ფეხი საერთოდ.

„ქეჟსა გარდავდეგ, ლომ-ვეფხი მოვიდეს ერთგან რებული. თვითო ტიოტი ერთმანეთსა ჰკრეს, სიკვდილსა არ დარიდნეს“ (ვეფხ. ტყ. 888, 889). ხშირად იხმარება ცხენის ფეხზედაც. „იმას თავით რაში ება, ტიოტი მიწას სთხრიდა იგი“ (ამ. დარეჯ. 316), ან: „ცხენი იმისა, ტიალი ლურჯა ტიოტვედა დგებოდა“ (ფშ., ივერ. 1887 № 172).

ტიოული (იმ.)—გრძელი ბაწარი. დატიოულება—საქონლის. საბალაზოზე დაბმა (ბერ.). (შეად. ტიოილო).

ტირედა (ქიზ.)—ქრელი ცხენი.

ტირედანა (ფშ.)—ნ. ნისლა.

ტირი (ინგ.)—გძელკულა, უღუმო ცხვარი (ჯან.).

ტიროპი—ცხოველთ ზურგი (საბა).

ტირუხუნი, ტუხინი —ლორის ხმიანობა (ჩუბ.).

ტიუ (იმ.)—ნ. ტურკორძა.

ტიუ (მეგრ.)—ტიუა (ლეჩხ.)—ნ. ტური.

ტიურტილი—ნ. სკორე.

ტიუსვა, ტრუსვა — ცეცხლის ალზე თმის, გინა ჯაგრის, ან ბურ-

ტულის მოწვა, მორუჯვა (აბულ.).
„თმა მოიტუხა ცეცხლითა, არამც
თუ ფერი იყარა“ (შაჰ-ნამე 49).

ტუხი—ღორის მოწოდება (საბა).
ტუაპუჩი—ცხვის ტყავი მოქნი-
ლი სამოსად (საბა).

ტყირპი (ფშ.)—ტყლიპი (იმ.)
—ნ. ელენთა. „ცხვარი რომ დაი-

კლვოდეს... შათირებს ტყირპი და
ფილტვი მესაკლავესა“ (დასტ. 24).

ტყუპი—მაგ. ტყუპი ბატკანი, ე.
ი. როცა ერთი ცხვარი ერთდრო-
ულად გააჩენს ორ ბატკანს. თუ
ცხვარმა მხოლოდ ერთი ბატკანი
გააჩინა, გარე კახეთში ამისთანა-
ბატკანს ეძახიან „მარტივი“-ს.

უ.

უა (გურ. ბერ.)—ნ. ქოთაო.
„ბუზებითა შეიფარა, ვგონებ რკუა
ანუ უა“ (კრებ. 1898 № 1—II
განყ.—37).

უბელო ცხენი (საბა, კახ., გურ.)
—[ტიტველა (მთ., გუდ.)—ში-
შველა, ტალიკი (თ.)]—შეუ-
კაზმავე ცხენი.

უგი (საბა, გუდ., მთ., ფშ.)—
[უზგი (იმ.)—კიდო (მობ., ზეგს.)
—კადა (თ.)]—უბატკანოდ მე-
წველი ცხვარი.

უზანგი, უზანგო (ქართლ.,
კახ., თ.) —ნ. აგუანდა. „ცხენი
ურევდა მკერდამდის, მხედარი
უზანგამდიო“ (თ., ხალხ. სიტყვ.
78), ან: „უჭირებს გარსაკრავებსა,
ფებსა სდგამს უზანგოზედა“ (თ.,
მომამბე 1897 № II—110).

უზდელა (გუდ.)—ნ. გერგი.
უზუჯი (საბა)—[ბერწი (ქართლ.,
კახ.)—აზატი (გუდ.)—აზადი
(მთ., ფშ.)—უსხი (რაჭ., ბერ.)
—უშვი (საბა)]—უშობელი სა-
ქონელი, რომელიც ან დროებით

არ აჩენს შვილს სხვა და სხვა
მიზეზების გამო, ან თუ ვადაზე
აღრე დააგდო ნაყოფი. „ბულა ვერ-
სად ვიშოვნე და ლამის ძროხა
ბერწად დამირჩეს“ (კახ.), ან: „ნელა-
ბიკო, თორემ მაგ ცხენს გააბერ-
წებ“ (კახ.). როცა საქონელი სა-
ერთოდ უნაყოფოა, მას ქართლ-
კახეთში ეძახიან ურწანს, —„წლე-
ულ რალაც არ მოიგო ამ ახალმა
ცხენმა და მეშინიან ურწანი არ
გამოდგეს“ (კახ., იტყვიან ახლად
ნასყიდ ცხენზე).

ულაყბაში—ულაყების ზედამხე-
დველი (ჩუბ.).

ულაყი—1) შესაბამელი საქონე-
ლი (ინგ. ჯან.); 2) საკიდარი სა-
ქონელი (ზეგს.). ამავე აზრითაა ნა-
ხმარი ქართლ-კახეთის სიგელ-გუ-
ჯრებში „არა ულაყი“, რაც უნდა
უღრიდეს დასავლეთ საქართველოს
სიგელ-გუჯრები ხმარებულ „არა
ტვირთი“-ს. დ. ფურცელაძე „Грива.
церк. гудж.“-ში გვ. 79 ულაყს
სთარგმნის—осел, რაც შეეცდომათ

უნდა ჩაითვალოს. 3) დაუკოდავი ცხენი (ქართლ., კახ.). ულაცი იმით განსხვავდება აჯილღისაგან, რომ უკანასკნელი არა ულაცი მომშენებელი. „სამღივანბეგო ასრე აიღება: ულაც ცხენზედ სამი აბაზი, ქაკ ცხენზედ ორი აბაზი“ (დასტ. 59), ან: „მაშინ ნახავთ, რომ ყიზილბაშის შესაჯღომი ულაცი ცხენები სულერთიან დასწყვეტენ, ქაკ-ცხენებში გაერევიან და ყიზილბაშის ურდოს სულ აურევენ“-ო (აღა-მამად-ხანის შემ. თბილ. 16).

უმართისი (მოხ., ხევს.)—ნ. ქარაბიკა.

უნაგირი—[უნეგირი (გურ.)—უნგირი (სვან.)]—ცხენზე შესადგმელი, რომელშიაც ზის ცხენოსანი.

უნგი (იმ.)—ნ. უგი.

უნე—ნ. ჰუნე.

უნე—ლრუ, ПОЛОСТЬ. „და დასცა მას იოაბ მახვილი უნეხა შინა მისსა და განსცვივნა ნაწლები მისნი“ (2 მეფ. 20, 10).

ურა (გურ., იმ.)—ნ. უხენდი. „ჭკრა შუბი შალიკაშვილმან მაჩაბელსა და გარდააქრუნა ცხენიდან და შესძახა: „აწყვერის ღვთის მშობელმან, თუმცა ურას კეიქს არ მჯდარ ვიყავ, გამეთხარამცა მუნით კერძ“ (ვახუშტი, საქ. ისტ. ჩუბ. II—158).

ურა (გურ., იმ.)—[უსხი (გურ., იმ.)—მთხოზი (ხევს.)—ქვსვივი (თ.)]—საქონელი, რომელიც

ადამიანის დანახვაზე ფთხებდა და ახლოს არ უშვებს.

ურუხი—ხესტავთ გვარი (საბა); საქონლის მოდგმა, ჩამომავლობა. (შეად.—თოხუმი).

ურჩხა—პიროპლაზმოზი; საქონლის ცხელება.

ურჩხი (საბა)—ნ. სამხვედრო.

ურწანი (ქართლ., კახ.)—ნ. უხვი. „კამეზი მყვანდა ურწანა, ნიკორა ზაქი მოიგო, უფრო ფასად გაიყიდა, რაკი ქვეყანამ გაიგო“ (ქართლ., ხალხ. სიტყვ. 315).

უსულადო (კახ.)—[ღვთისთ დაკლული (ქიზ.)—მურდალი (ხევს., ფშ., თ.)]—უდანოთ მომკვდარი საქონელი.

უსურმაგი (ხევს.)—უწმინდური, ცხოველი, რომელსაც ადამიანი არა სკამს (ა. შან.). „ვირი, ციცაი, ცხენი, ჯორაკაი, რაც ცას ქვეშ უსურმაგნია, სრუ გადაგიკალ სულში“ (ბეს. გაბ. 137).

უსხი (საბა, გურ.)—[ლალი (მთ.)—სანოროცი (მოხ.)—გაკეთებული (ხევს.)—ჩაკურატებული (იმ.)—კურატი (კახ., ფშ.)]—დასაკლავად მსუქანი საქონელი. „ერთი ქოსა იყო გლახაკი და ერთი უსხი ჰყვა მსუქანი“ (სიბრძნე-სიტყ. 5P).

უსხი (გურ., იმ.)—ნ. ურა.

უტევანი—ნაბიჯის სიგძე (თეიმ., ვეფხ. ტყ. ლექსიკ.). „ერთსა წაეწვი უტევანსა, წაეგრძელდი და წაეელ გრძელად“ (ვეფხ. ტყ. 430).

უღელი ხარი (ქართლ., კახ.)— ერთი წყვილი ხარი. „ცალ ხარს კიდევ—ნახევარი დღისა. აი უღელი ხარი რომ მყვანდეს, მაშინ სხვა იქნებოდა“ (შ. არაგვ., ქართ. მწ. I—66).

უღენჭო კვერცხი (გურ.)—ნ. თინთილა.

უღლადი (ფშ.)—კისერ მაგარი საქონელი.

უშვი (საბა)—ნ. უზვი.

უშობელი (ქართლ.) — [ხამი (ერწო)]—ახალგაზრდა ფური, რომელსაც ჯერ არ მოუგია ხბო. „უშობლის ხორცი გაქამე, მოზერის არ მოგაკარეო“ (მოგზ. 1901 № 908).

უცხენმალესი—მალ-ცხენ, სწრაფ-ცხენ პატრონი. „ყოვლგან ჰრბო-

დეს საძებარად ვინცა იყო უცხენ-მალეს“ (ვეფხ. ტყ. 172).

უწვიმარა (გულ., იმ.)—[ქელი-ვერი (საბა)—ფერდი (მთ., მოხ.)—ნაფერდალი (ერწო)] —საქონლის მუცლის ხორცი, გულის კოვზიდან—ზარკლებამდე და ორივე მხარეს—ფერდამდე. უწვიმარას ეძახიან, რადგანაც ეს ალაგი წვიმისგან არა სველდება.

უწყვიტი, საწკვერტი (იმ.)—ნ. საღრტილი.

უხდური—ნ. სახდური.

უხედნი ცხენი (ქართლ., კახ.)— [ურა (გურ., იმ.)—ხამი (თ.)] —ცხენი, რომელზედაც ჯერ არავინ მჯდარა და არც უნაგირი და-ულდამთ.

ფ

ფაზარი (საბა)—ქვის მაგვარი, რომელიც ხანდისხან გვხვდება საქონლის ნაღველში.

ფათირი (ქიზ.)—მეცხვარეების მიერ საჯზე გამოცხვარი პატარა რგვალი პური.

ფათლახი (გულ., მთ.)—ნ. ბახი.

ფათქუნი (იმ. ბერ.)—ფრინველის მიერ ფრთების შემოკვრა.

ფალ (ინგ.)—ნ. მძევალი.

ფალანგი (ფშ.)—[ფარდა (გ-კახ.)]—ხორცის ფარდა, რომელიც ჰყოფს მუცლის და გულ-ფილტვის უპეებს; დიაფრაგმა. (ჩუბინაშვილით—ფაშფუშებია).

ფალჩუმი (გულ.)—ნ. ფარჩუმი.

ფანფარა (ფშ., კახ.)—[ჯინჯილი (გ-კახ.)] —მატყლის კონა, რომელბადაც დაეწყობა ხოლმე გაუპარსავ ცხვრის მატყლი; შტაპელი.

ფანფარი (გულ., მთ., მოხ.)—ნ. ფაფარი.

ფარა (მოხ.)—ნ. გუნდი.

ფარდა (გ-კახ.)—ნ. ფალანგი.

ფარეხი (ფშ., კახ., ქართლ.)— [ბინა (მოხ.)]—ცხვრის და ლორის საზამთროდ სადგომი ბინა. „გამოგვიყვანე შენ ფარეხთაგან სამწყსოთასა“ (დაბადება), ან—ნ. ბოსელი.

ფარი (ქიზ., გ-კახ).—ნ. ჩობალი.
ფარიგული (ქართლ.)—ამოკუჭუ-
ლი, მაგ. საქონლის ზურგი (ა.
შან.).

ფარიკა (საბა)—[ჩუჩა დამსი-
გარი (თ.)]—მამალ ცხენის ასოს
სენია (საბა); ЧЛЮЧНАЯ ДИОДОНА.

ფარმანდი (რაქ.)—ნ. ღუშაყი.
ფარნა—თეთრი ფერის ძროხა
(საბა).

ფარტენა (მოხ.)—[ნამტენა
(ხევს.)—ხერეული (თუშ.)]—მე-
სამედ გადაჩეილი მატყლი სარ-
თავედ გამზადებული (ა. შან.).

ფარჩუმი (მოხ.)—ფალჩუმი
(გუდ.)—მათრახის გაპტყელებული
ბოლო. „მათრახს ბოლოზე ფეკთ-
დება მეში ფარჩუმი, ორ-სამ პი-
რად“ (ყაზბ. 112).

ფაფარი (საბა, ქართლ., კახ.)—
[ფანფარი (გუდ., მოხ., მთ.)—
ფაფალ (სვან.)]—ცხენის კისრის
თმა. „თვალი შეენოდა ლამაზად,
ყელ-ყური, ძეა—ფაფარი“ (შაპ-
ნაშე 2029).

ფაფხვა (საბა)—[თათხვა
(მთ.)]—ცხენის მიქუსვლ-მოქუსვლა
ზედ ჯდომით (საბა).

ფაშა (გუდ., მოხ.)—[ფაშურა
(ერწო)—ფაშიანი (მთ.)—ყვი-
ჭიპა (იმ. ბერ.)—მუცელა
(გურ.)—პალვიანი (ძვ.)]—მუ-
ცელ ჩამოშვებული, დიდ მუცელა
საქონელი.

ფაშატი (ქართლ., კახ.)—ნ. ჭა-
კი. „რაც შამშადილის, ყაზახის და

ბორჩალოს ჯოგებშია ფაშატი
ცხენები, სულ ერთიან ყიზილბაშის
ურდოში დაურევ“ (ალა-მამად-
ხანის შგმ. თბილ. 16).

ფაშკანური (ერწო)—ნ. შიგანი.
ფაშვი—[ფაში (ფშ.)]—მცოხ-
ნავ საქონლის კუქის პირველი გან-
ყოფილება. «თორღამ გამოშიგნა
(ირემი), ფაშვი წმინდათ გარეც-
ხა და გადაუგლო თავის ამხანაგს“
(ყაზბ. 274).

ფაშვნიერი (ძვ.)—ნ. შიგანი.
„ხოლო ტყავი მისი და ფაშვნიე-
რი დასწვა ცეცხლითა“ (გამოსვ.
29, 13).

ფაში (გუდ.)—[პალვი (საბა)—
ჩუმპე (საბა)—ქენდერი, (რაქ.
ბერ.)]—საქონლის დიდი მუცელი.

ფაშურა (ერწო)—ნ. ფაშა.
ფაცახი (საბა)—[ირმის ბეწ-
ვა (გუდ., მთ.)]—მსხვილ-ბეწვა მა-
ტყლი.

ფაწალა (საბა) ნ.—ელენტა.
ფაწილი (გ-კახ.)—ნ. ელენტა.
ფეინი — ცხენის ჩონჩორიკი
(ჩუბ.).

ჭ ფელიკი (რაქ., იმ.)—[ფეშხო
(გუდ., ქართლ., კახ.)—განკეფი-
ლა (მთ.)—ფეშხვა—(ქიზ.)—
მხარ-გვერდი (მოხ.)]—დაკლულ
წვრილ-ფეხა საქონლის ნახევარ-
ი, სიგრძეზედ ხერხემლით გაჭ-
რილი.

ფენტხი (იმ.)—ნ. ფერდი.
ფერღელა—1) შავი ფერის ლო-
რი, რომელსაც ფერღზე თეთრი

ხალი აქვს (კახ.); 2) ძროხა, რომელსაც ფერდზე თეთრი ხალი აქვს (ფშ.); 3) თეთრი ძროხა (საბა).

ფერდი—[ფენტხი (იმ. ჰყ.)]—საქონლის და ადამიანის ნაწილი უკანა ნეკნიდან მენჯამდე. „მასცა უკრა ისარი, ფერდის ჯაკვი გაუხეთქა და შიგ გაავლო ვით სამოსელსა“ (ამირ. დარეჯ. 300), ან: „როცა გავა გავაო, ფერდიც გავად გავაო“ (გ-კახ. ხალხ. სიტყვ. 148).

ფერთხელა (ქართლ.)—საქონლის ფერდის ტყავი, რომელიც ძალიან თხელია. „ქალამანი ამოვასხი დეკეულა, ფერთხელაო“ (ქართლ. ხალხ. სიტყვ. 226).

ფერო—თეთრსა და შავს საშუალი (საბა). „მოთეთრო თხათა შორის ღ ფერო კრავთა შორის მოპარულ იყოს ჩემგან“ (დაბ. 30, 35).

ფერცხალი (თ., ხევს., ფშ.)—ნ. ნეკნი. ქალი ეუბნება ქმარს: „არ იცი ესე, ვარ შენი ფერცხალი ამოღებული“ (ბესიკი 107).

ფესანგა (ფშ.)—ხარი, რომელსაც თხელფერდზე თეთრი ხალი აქვს: თუ ძროხას აქვს—**ფერდელა**.

ფესანგი—ქრელი ცხოველი, შავ-თეთრი (საბა). (შეად. ფესანგა).

ფეხველა (გურ.)—ნ. ღორთველა.

ფეშანგი—ჩალვადრის მთელი ქარავნის წინამძღვარი ცხენი, რომელიც გაწყობილია ალის-კბილვით, ექვებით და ჯინჯილებით; ფეშანგს უკან მოჰყვება მკორე,

უფრო სადათ გაწყობილი ცხენი—**დონდარი**; უკანასკნელს კი—**მაელი ქარავანი** (ბერ.).

ფეშხვა (ქიზ.—ნ. ფელიკი. „თუ მთელი არ მოვიტანი, ფეშხვა არც კი ავიცილნი“ (ხალხ. სიტყვ. 381).

ფეშხო (ქართლ., კახ.)—ნ. ფელიკი. „ერთი კაცი მივიდა ყასაბთან, უთხრა . . . ერთი ცხვრის ფეშხო მომეც და ხვალ ფასს მოგცემო“ (სიბრძნ. სიცრ. 210).

ფეხკავი (გულ.)—ნ. ტორი.

ფთქვენა (ზ.—იმ.)—ცხენის ფრუტუნი. „შუალამეა ბნელაო, ცხენმა დაიწყო ფთქვენაო“ (ხალხ. სიტყვ. 19).

ფილი (იმ.)—ლორის ქონი.

ფილტვი (ქართლ., კახ.)—[ფირტვი (მთ., მოხ., ფშ.)—ფიქუა (იმ.)—ფიქვა (გურ.)]—ცხოველის სასუნთქავი ორგანო. „და კაცმან მოითხრა მშვილდი და სცა მეფესა შორის ფილტვსა და მკერდსა“ (2 ნეშტთა 18, 33).

ფიჟვა (გურ.)—ფიქუა (იმ.)—ნ. ფილტვი.

ფირტვი (მოხ., მთ., ფშ.)—ნ. ფილტვი. „ვინც ღვინოს კარგად არ დაღვეს, ფირტვი ექნება წამხდარი“ (ხალხ. სიტყვ. 283), ან;—**ამოგლიჯა** მას გულ-ფირტვი, უკუნიქვა მკლავსა ზედა“ (შაჰ-ნამე 2327).

ფლოქვი (იმ.)—ნ. ჩლიქი.

ფოთოლა-გრუზა (კახ.)—ძალიან ხუჭუჭ ბალნიანი ღორი.

ფოთოლ-ქაჩი (თ.)—ტყავის გარსაკრი.

ფოლი (იმ.)—ნ. ქაჩაჩი.

ფორაჯო (ჩუბ.)—ნ. ჯაგარი.

ფორლიკო (იმ., სვან.)—ნ. ქუ-კუცა.

ფრაშ-ფრაში (ფშ.) — არწივის და სხ. დიდრონ ფრინველთ მხრე-ბის ქნევა. (აქედან—შაფრაშ-ფრა-შება—ა. შან.).

ფრაზი (კახ.)—ლორი, რომელ-მაც ან შემთხვევით არ იმაკა, ან ურწანია. „წლეულ გაფრაზდა“ (კახ.), ე. ი. წლეულ არ დამაკდა.

ფრთა, ფთა (კახ.)—[თბე (ხეცს.)—ფთე. (ფშ.)]—ფრინველის წინა კიდური; რომლითაც ფრინავს.

ფრთოსანი — ფრთების მქონე. „ყოველი მფრინვალე, ფრთოსანი“ (დბ. 7, 14), ან: „რამზე შეგსვა, ფრთოსან რამზედა“ (შიო თავადი 46).

ფრთხლა — პირუტყვის შეში-ნება (საბა).

ფრინდომა (თ.)—[ქირკილი (მოხ.)—წკიპარტა (იმ., გურ.)—მტ. (სვან.)]—მატლი, რომელიც უჩნდება ყველს, თუ მარილ-წყალი ნაკლებ სიმლიერისაა.

ფრტიალი—ფრთების ცემა(ჩუბ.).

ფრუტუნე (ქართლ., კახ.)—ცნენის ხმიანობა ნესტოებით. „გან-თავისუფლებული ცხენი შესდგა და ფრუტუნით ბალახს წიწქნა დაუ-წყო“ (ყაზბ. I—161).

ფრჩხილი (ძვ.)—ნ. კლანკი. „არწივი ფრთა დიდი, მკლავ მა-

გარი, საესე ფრჩხილებითა“ (ეზე-კია 17, 3).

ფრცხილი (ძვ.)—ფრჩხილი (?). „ყოველსა საცხოვარსა, რომლისა განყოფილ იყოს კლიკი და ფრც-ხილითა ფრცხნიდეს“ (ლევიტ. 11, 3), ან: „ფრცხენს ფრცხილი-თა კლიკისასათა“ (ლევიტ. 11, 7).

ფხელი—შარდი. „რათა კამონ-სკორე მათი და სვან ფხელი მათი“ (ესაია 36, 12).

ფუთქარი (იმ.)—ქათმის ტილი (ბერ.).

ფუნე, ფუნა (გურ., საბა)—ნ. სკორე. „და ფუნესა შინა სკორი-სა კაცობრივისასა დაჰულნე იგი-ნი“ (ეზეკია 4, 13).

ფურ (ინგ.)—ნ. ფური.

